

619 /  
1988/2

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ISSN 0130-1624

# დროება

თებერვალი  
№ 2 1988



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

საქართველოს  
საბჭოთავო  
ბიბლიოთეკა

20781



მეფოლადე  
ვალიკო  
თედელაური

# რუსთავის მეტალურგიული ქარხანა

**მ**ეურნეობრიობის ახალმა მე-  
თოდებმა, რომლებიც ითვა-  
ლისწინებენ სრულ სამეურნეო  
ანგარიშსა და თვითდაფინანსე-  
ბაზე გადასვლას, როგორც  
ყველგან, ისე რუსთავის მეტალურგიულ  
ქარხანაშიც მოითხოვა წარმოების ორგა-  
ნიზაციის ძირეული გარდაქმნა. ამ საქმი-  
სადმი ახალი მიდგომის პირველი ნაბიჯი  
განდა სახელმწიფო მიღების შემოღება.  
სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987  
წლის ივნისის პლენუმზე აღინიშნა, რომ  
ანგარებითი ინტერესებისა და მოქმედე-  
ბის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლაში  
ღირსეულ მაგალითს გვიჩვენებენ იმ სა-  
წარმოების შრომითი კოლექტივები, სა-  
დაც შემოღებულია სახელმწიფო მიღება.  
ეს იოლი საქმე არ არის და იგი მილიონ-  
თა ინტერესებს შეეხო. მიუხედავად ამისა,  
მუშათა კლასმა მკაფიოდ განსაზღვრა თა-  
ვისი პოზიცია: სახელმწიფო მიღება საშუ-  
რი საქმეა, იგი სჭირდება მთელ საზოგა-  
დოებას, ყოველ ადამიანს.

— პარტიის ცენტრალური კომიტეტის  
ივნისის პლენუმზე სავესებით სამართლიან-  
ად ითქვა მუშათა კლასის წამყვან როლ-  
ზე იმ დანებებით ცვლილებებში, რომლე-  
ბიც მიმდინარეობს შრომით კოლექტი-  
ვებში, — ამბობს მიღმგლინავი ოლეგ სე-  
ფერთელაძე. — ჩვენ მივესალმებით და  
მხარს ვუჭერთ სახელმწიფო მიღების გავ-  
რცელებას მომიჯნავე ორგანიზაციებში,  
რადგანაც ამ პირობებში უფრო მეტად  
უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი. თუ-  
კი მასალა და ნედლეული ვარგისი იქნება,  
მაშინ საბოლოო პროდუქციასაც ხარის-  
ხიანს მივიღებთ. სწორედ სახელმწიფო  
მიღებას უნდა ვუმადლოდეთ, რომ შარ-  
შან ჩვენი წარმოების პროდუქციაზე პრე-

ტენზია არ ყოფილა.

ერთი სიტყვით, პროდუქციის ხარისხის  
არასაუწყებო კონტროლზე გადასვლამ მუ-  
შების, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის,  
წარმოების ყველა რგოლის ხელმძღვანე-  
ლის აზროვნების გარდაქმნა და საკითხი-  
სადმი ახლებური მიდგომა მოითხოვა.  
ქარხნის სახელმწიფო მიღების კომისიამ  
შარშან გაცილებით მეტი პროდუქცია ჩა-  
იბარა, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწი-  
ნებული, მათ შორის პირველი წარდგინე-  
ბით 97,7 პროცენტი.

— ისიც უნდა ითქვას, რომ ცალკეულ  
თვეებში იყო გეგმის შეუსრულებლობისა  
და რეკლამაციის შემთხვევებიც — მოგ-  
ვითნობის სახმილების ხელმძღვანელი გი-  
ორგი მახარაძე, — მაგალითად, შარშან  
მეორე კვარტალში ქარხანამ მიიღო შვი-  
დი ათასი მანეთის სამი რეკლამაცია ისე-  
ვეთ პროდუქციაზე, რომელმაც სახელმწი-  
ფო მიღება გაიარა

— რა სარგებლობა მოუტანა სახელმ-  
წიფო მიღებამ საწარმოს? — ვეკითხებით  
მას.

— ამით ბევრი სიახლე დაინერგა სა-  
წარმოს სხვადასხვა უბანზე: ქარხნის ცენ-  
ტრალურ ლაბორატორიასთან ერთად  
სრულფასოვანად დისკო-ხერხის ტექნო-  
ლოგია, რამაც გამოიცილა ნამზადის არა-  
სწორი ჭრა. სხმულების გაცხელების ფორ-  
სირების მიზნით საცეცხლე ჭებში შეიც-  
ვალა სანთურების კონსტრუქცია. გარდა  
ამისა, ხარისხოვანი ლითონის სიმრუდის  
აღსაკვეთად ასევე შეიცვალა მაცივარი.

— საინტერესოა, როგორ არის ორგა-  
ნიზებული შემოსული ნაწარმის ხარისხის  
პირველადი კონტროლი?

— ამ პირობებში უდაოდ გაიზარდა თი-  
თოეული მუშაკის პასუხისმგებლობა. მაგ-

№ 2 (614), თბილისი, 1988

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან  
ყოველთვიური საზოგადოებრივ-  
პოლიტიკური და სალიბერალური-  
სამხატვრო ჟურნალი

## ნომერი ში:

მურად ალაშვილი. გზა რენტაბე-  
ლობისაკენ.

ნათელა გიორგობიანი. ტრადიციის  
ერთგულეობა ანუ ამბავი ერთი ოჯა-  
ხისა.

ნიკოლოზ ჰაუზი. მკურნალი.

ეთერ მაჭავარიანი. ბრძოლა ბრძელ-  
დობა.

პარლო კობერიძე. ჯაშუში.

სერგო თურნავა. მსოფლიოს ქართ-  
ველოლოგიური ცენტრები.

ილია II. დრო ჩვენი მასწავლებე-  
ლია.

ართურ კონან დოილი. ველოსიპე-  
დისტი ქალი.

ვახტანგ ბერიძე. თბილისის მებახის  
ტაძარი.

ლევან სანიკიძე. წინსვლა წარსული-  
საკენ.

შალვა სვანი. მასპინძელია საქარ-  
თველო.

ჯემალ მხერგიანი. ქარის მოტანი-  
ლი ქარს ალარ მიაქვს.

თამაზ ჩხენკალი. ელიას მთის ძირში.  
პროსკორდო.

საქართველოს კვ ტა-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1988 წ.


## მთავარი რედაქტორი

ოთარ ჭინჭაძე

## სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ  
ბერიშვილი, ვანო ვახტაძე, ნათელა  
გიორგობიანი, ოთარ დემეტრაშვილი, სერგო  
დურმიშიძე, ვახტანგ მსხვერვალი, ჯემალ მხ-  
ერგიანი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი),  
ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღაძე, ნუგზარ  
ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უნა ჯაფარიძე.

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.  
ბიულეტენი



მეჭურე შალვა რაინდიშვილი

რამ პირუთვნელად უნდა ითქვას, რომ ხარისხის პირველადი კონტროლი ჯერ კიდევ მთლიანად ვერ გასწვდა შემოსულ მასალებს. მაგალითად, დღესდღეობით არა გვაქვს საშუალება, რომ გამოვაკლინოთ ნამზადსა და მიღებში გაპარული მიკრობზარები...

როგორც ვხედავთ, ქარხნის ავკარგინობაში ვადაწყვეტ როდესაც ასრულებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ტექნოლოგიური მომზადება, ურომლისოდაც მნიშვნელოვან წარმატებებზე ფიქრიც კი ზედმეტი.

მაინც რა ხდებოდა ქარხანაში გარდაქმნის დაწყებამდე? გასულ ათწლეულში საწარმომ აშკარად დათმო მოწინავე პოზიციები და ჩამორჩენილთა შორის აღმოჩნდა. ამას მოჰყვა მტკივნეული პრობლემების გაღრმავება, მეტალურგის პრესტიჟის დაცემა, კადრების დენადობა, ყოველწლიურად ათობით მილიონი მანეთის ზარალი, პერსპექტივის არაკონკრეტულობა...

სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას სათავეში ჩაუდგა გურამ ქაშაყაშვილი. მართალია, მანამდე ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანას ხელმძღვანელობდა, მაგრამ რუსთაველი მეტალურგებისათვის იგი არ იყო უცხო და მუდამ გულთან მიჰქონდა მათი ავ-კარგი.

ეს არც არის გასაკვირი. 1950 წელს, როდესაც რუსთავის მეტალურგიულმა პირველი ფოლადი გამოადნო, გურამის ბიძა, ნიკოლოზ ქაშაყაშვილი ქარხნის მთავარი ინჟინერი იყო და საწარმოსთან დაკავშირებულ ბევრ საინტერესო ამბებს უყვებოდა თავის ძმისწულს. ხშირად ქარხანაშიც დაჰყავდა.

მეტალურგის ნათლობაც გურამმა სწორედ ამ ქარხანაში მიიღო. მუშაობდა ჩამომსხმელად, ოსტატად, უბნის უფროსად, პარტიურის მდივნად, ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილედ, დაბოლოს მარტენის საამქროს უფროსად. აქვე გახდა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი.

ერთი სიტყვით, საწარმოს მტკივნეული პრობლემები ახალი დირექტორისთვის უცხო ხილი არ იყო. ამჟამად ქარხანაში ძირითადი გეზი აღებულია რეკონსტრუქ-

ციისაკენ. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ აქ საკუთარ ბალანსზე არასოდეს არ მიუღიათ იმდენი ახალი მოწყობილობა, რამდენიც დღეს. ტექნიკურ მეცნიერებაში არსებობს ასეთი ტერმინი — ტექნოლოგიური ვაკუუმი. ასეთ მდგომარეობაში ქარხანა ისე დიდხანს იყო, რომ, როცა მისი ტექნიკური გადაიარაღება დაიწყეს, თითქოს ვეღარც კი აუღიოდა ახალ-ახალი მოწყობილობების მიღება-დამონტაჟებას.

— მაგრამ არ გვეგონოთ, ყველაფერს განურჩევლად ვღებულობთ და ვნერგავთ, — განმარტავს გურამ ქაშაყაშვილი. — ჩვენ თითოეულ მანქანას ზედმიწევნით ვსწავლობთ და მერე ვანგარიშობთ — რამდენად მიესადაგება ჩვენს პირობებსა და საჭიროებას. ასე რომ, რეკონსტრუქცია მიმდინარეობს არა როგორც თვითმიზანი, არამედ როგორც რეალისტურად შედგენილი პროგრამა, რომლის განხორციელება გაზრდის პროდუქციის ნაყოფიერებას, გამოუმუშავებული პროდუქციის ხარისხს, ბოლოს მოუღებებს ჩვენს საგადასახადო ბალანსის დეფიციტს. დღეისათვის უკვე განხორციელდა პირველი რიგის სამუშაოები მილსანამზადო დგანის „900/750“-ის რეკონსტრუქციისათვის, მისი კაპიტალური შეკეთების პერიოდში დამონტაჟდა 2200 ტონა საგლინავი მოწყობილობა. ასევე ამუშავდა ახალი მაცივარი და მაკრატელი დგანისათვის „320“ და მაცივარი მილსაგლინავ აგრეგატზე „400“, დამთავრდა ყველა მარტენის ღუმელების რეკონსტრუქცია. მილადიდვის საამქროში ძველი ცივსაგლინავი დგანები შეიცვალა.

გარდა ამისა, მილსაგლინავ საამქროში განსაზღვრულია აგრეგატების „140“ და „400“ ცხელი ნაწილების რეკონსტრუქცია. ამავსე საამქროში ამუშავდა ფირმა „ჭაიდის“ მილსაჭრელი ჩარხების მესამე ხაზი. დაიდგა ავტომატიზებული ნაკადური ხაზები ტუმბო-კომპრესორული და შემომრგავი მილების წარმოებისათვის.

გარდაქმნის პროცესში საწარმოს სპეციალისტები ახლებურად უდგებიან საქმეს. ისინი არ დაელოდნენ, სანამ ინსტიტუტი შემოგვთავაზებდა რაიმე სიახლის დანერგვას და თვითონ მიმართეს მეცნიერებს თავიანთი წინადადებებით. ასე ჩაისახა კეთილი თანამშრომლობა მეცნიერულ დაწესებულებებთან. მაგალითად, მარტენის საამქროებმა ათვისეს ახალი მეთოდი, რომელიც ქარხნისათვის შეიმუშავა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტმა. ეს არის ეგრეთ წოდებული თხევადი ლითონის ინერტული გაზებით დამუშავება საჩამომსხმელი ცივცხვი.

ამჟამად რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მიერ გამოდნობილ თითოეულ ტონა ლითონზე ორი მანეთი იზოგება, რაც წელიწადში თითქმის სამი მილიონი მანეთის მოგებას გვაძლევს. ეს სიახლე მაგნიტოგორსკის, უდანოვის, ვოლგოგრადის, კრივოი როვის და ქვეყნის სხვა ქარხნებმაც გადაიღეს. სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს სისტემაში ეკონომიკურმა ეფექტმა წელიწადში მიიღწია თორმეტ მილიონ მანეთს, ხუთწლეულში კი 180 მილიონს აღემატება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეთოდით დაინტერესდნენ საზღვარგარეთის ქვეყნებშიც.

— ბატონო გურამ, დღესდღეობით ქარხანა მომგებიანია თუ წამგებიანი?

— სამწუხაროდ, წამგებიანია, და ეს იმიტომ, რომ უკანასკნელ წლებში წარმოება არასწორად ვითარდებოდა. მაშინ როდესაც მყარი ნედლეული უზრუნველყოფის მიუხედავად, აქ ინერგებოდა ტრადიციული მეტალურგია, რომელიც საჭიროებდა დიდი რაოდენობის ნედლეულსა და კონდიციურ საწვავს. მაგრამ საიდან უნდა მივიღოთ ისინი, თუკი, მაგალითად, დაშქესანი გვაპარავებს მოთხოვნილების მხოლოდ მესამედით? მაღალი და ნახშირი შემოგვაქვს შავი და აზოვის ზღვების ოთხი პორტიდან. გამოვიანგარიშეთ და მარტო სატრანსპორტო ხარჯები წელიწადში ოც მილიონ მანეთს აღწევს! მთლიან სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლისათვის ყველაზე აქტიულოური და გადაამწყვდით რჩება საწარმოს მუშაობის რენტაბელობა. ამიტომ მარშან გავაჩერეთ ერთი ბრძმედი, ფურცელსაგლინავი დგანი და წარმოების ზოგიერთი სხვა წამგებიანი უბანი, რამაც საშუალება მოგვცა ფინანსური დეფიციტი 10 მილიონი მანეთით შეგვემცირებინა. მაგრამ ახალ პირობებში ქარხნის ნორმალური მუშაობისათვის ეს საკმარისი არ არის. საჭიროა დაკონსერვდეს ჩვენი ქარხნის წამგებიანი წარმოებები და არა დონბასისა თუ ქვეყნის სხვა რაიონების საბრძმედე ღუმელები და კოქსური ბატარეები, ვინაიდან იქ ქვეანახშირისა და მადნეულის საბადოები საწარმოთა ახლოს არის განლაგებული და გადაზიდვის ხარჯებიც მინიმალურია. ამიტომ, ცხადია, ასეთი ქარხნები მომგებიანია.

სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს მიერ საკითხის ასე გადაწყვეტა საშუალებას მოგვცემს, დაგვემილი წავების მაგივრად ათობით მილიონი მანეთის მოგება მივიღოთ. მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით ეს დაზოგავს 36 მილიონ მანეთზე მეტს. თვითანახლურებასა და თვითდაფინანსებაზე გადასვლის რეალურ გზას ვხედავთ ჩვენს ქარხანაში ელექტროფოლადსადნობი კომპლექსის დაწერგვაში, რომელიც გათვალისწინებულია სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტლებით. ეს სიახლე ერთდროულად გადაჭრის საწვავის შორიდან შემოტანისა და გარემოს გაუქუქვიანების პრობლემას...

— მაგრამ აქ თავს იჩენს ელექტროენერგიის პრობლემა.

— ამ მიმართულებით საწარმო განვითარდება კომპლექსურად. ახალი წარმოების ამოქმედების პარალელურად დაგეგმილია ქარხნის ენერგეტიკული პოტენციალის გაზრდაც და ჩვენი თბოელექტროცენტრალის სიმძლავრე გადააჭარბებს 200 ათას კილოვატს. ეს კი ელექტროენერგიით უზრუნველყოფს არამარტო ჩვენს წარმოებას, არამედ უახლოეს რაიონებსაც.

— ბატონო გურამ, კიდევ რა პრობლემები მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვანად?

— საჭიროა განვავითაროთ ყველა რანგის კადრების ეკონომიკური აზროვნება, რაც უაღრესად აუცილებელია მეურნეობრიობის ახალი მეთოდების პირობებში. კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანებების) შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1988 წლიდან, საშუალებას გვაძლევს, უფრო მოქნილად ვიმოქმედოთ რენტაბელობის მისაღწევად. ეს კი საფუძველი გახდება სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლისათვის.

მუხრან ალაშვილი



ცხილის ტოტებისაგან შეკრული, ერთმანეთს საოცრად მიმსგავსებული თაიგულები დიდ, ფართო, სუფთა ლასტებზე მხატვრული გემოვნებით განულაგებიათ. ზედ თეთრად არის მითოვილი აბრეშუმის უამრავი ქათქათა პარკი. გაივლით ერთ ოთახს, მეორეს... მეხუთეს... მეშვიდეს, ყველგან სინათლე, სიფაქიბე.

— როგორ, ერთი შეხედვით თითქოს უბრალო, პროზაული საქმე და ასე სავესტო პოეზიით? — გაკვირვება ვერ დავფარე და ხმამაღლა ვთქვი. ჩემი სიტყვა, ეტყობა, ეუხერხულა ბელა ნემსიწვერიძეს, წულუკიძის რაიონის სათაო პარკსაშრობის უფროს ავრონომს. იგი სათვალეს ისწორებს. დიგლა სიმონიძე კი, სათაო პარკსაშრობის დირექტორი, უხერხულ დუმისს გაერიდა და ეზოში გავიდა. მხოლოდ დარეჯანი,

იმსახურა ოსანა აივაზაშვილის პრიზი და მრავალი მედალი. ნორა ადამიამ როგორც კი დაამთავრა საშუალო სკოლა, დამოუკიდებელი შრომითი გზა დაიწყო.

გაუძლო პირველ სიძნელებს. თავიდანვე საუკეთესო შედეგები ჰქონდა, მაგრამ ერთხელ კიდევ დაკარგა ქალიშვილმა მოსვენება. ეს მაშინ იყო, როცა ვადაწყვიტა, ოჯახი შეექმნა. მომავალი მეუღლე, ვალოდია ჯანელიძე, სწორად გაიგებდა თუ არა მის გატაცებას, ამოუდგებოდა თუ არა მხარში, ამას მხოლოდ ცხოვრება აჩვენებდა.

და კიდევ ერთ გაზაფხულს შეხვდა ნორა ადამია გულისკანკალით, მაგრამ რაც იმ გაზაფხულმა, იმ მაისმა მოუტანა, ამან საბოლოოდ განსაზღვრა მთელი ოჯახის ბედისა და მომავალიც. ლაღად, თავისუფლად და იმედიანად გაატარა მას შემდეგ

დაიწყებს ჩვეულებრივ, ყოველდღიურ საზრუნავით სავესტო ცხოვრებას. გაზაფხულის მოლოდინს კი კვლავ პატარა ნიჭი სავესტო შეინახავს გულში.

შემოდგომაზე, როდესაც უკვე ცნობილი გახდა, რომ წულუკიძის რაიონმა ას ოცდათორმეტი პროცენტით შეასრულა გეგმა და რესპუბლიკაში მეორე ადგილზე გამოვიდა, კვლავ შეეხვდა ნორა ადამიას. მაინტერესებდა, კმაყოფილი იყო თუ არა შედეგებით.

— ჯერ კიდევ შორს ვართ, ძალიან შორს იმ წარმატებებისაგან, რომელიც ჩვენს რაიონს ადრე ჰქონდა, — თითქოს მკრთალმა ზოლებმა იმატა ნორა ადამიას შუბლზე. იქ ნათლად შეიძლება ამოკითხვა: „ჩვენ ვინც ვართ, ძველები ვართ. ისედაც ბევრი მეაბრეშუმე გამოვყავალა. ზოგი იმ წლების სიძნელებს შეუშინდა, ზოგიც ცოცხალი აღარ არის...“

— განადგურებული თუთის ხეების ადგილი სხვა ნარგავებმა დაიკავა. ახლა ვცდილობთ ყოველი თავისუფალი ადგილის გამოყენებას. მაშინდელი დონის მიღწევა კი მაინც ჭირს. სამრეწველო რაიონების მომრავლებამაც თავისი გააკეთა, ალბათ, — ხმამაღლა განაგრძო სათქმელი.

# საბჭოთავი პრეტენზია

## ანუ აგვანი ერთი ოჯახისა

ნათელა გიორგოზიანი

განთქმული მეაბრეშუმის — ნორა ადამიას პედაგოგი ქალიშვილი, არ „იტეხს იხტიმარს“ და ჩვეული, ხალისიანი ღიმილით მაცნობს თავიანთი ოჯახის შემოქმედებას.

ვიცოდი, რომ ეს ოჯახი დღესასწაულივით ელის ამ დროს და ერთი თვით ადრე ემზადება. მარტის მიწურულში იწყება ფაციფუცი. რეცხავენ ლასტებს, უკეთებენ დეზინფექციას, აფენენ სუფთა ქალაღებს. ოთახებში დგამენ ლუმენებს, თერმომეტრებს, ფსიქომეტრებს, რომ ზუსტად დაიცვან ტემპერატურა. ასუფთავებენ ყოველ კუთხე-კუჩქულს.

— ერთი თვის მანძილზე, სანამ აბრეშუმის ჭია ხუთ ასაკს გაივლის, ჩვენს ოჯახში არც ვრეცხავთ, ვერც რაიმე სხვა საქმისთვის ვიცლით, — ყვება დარეჯანი. — სადილსაც კი იშვიათად ვაკეთებთ. ბავშვობიდანვე ისე მიგვაჩვია დედამ, რომ ეს დრო ჩვენი ოჯახისათვის განსაკუთრებულია. ჩემი და, მარინე, ექიმი, თბილისში ცხოვრობს. მაისი რომ დადგება, მასაც გული ელევა, შევებულებას იღებს ხოლმე და აქ ჩამოდის. არც შეუძლია სხვაგვარად. შეილებსაც ასე ვზრდით.

დარეჯანი შეჩერდა. კარებში მალაღი, შავგვრემანი ქალი გამოჩნდა. იგი ნორა ადამიას, ქალი შრომით დაფასებული, რომელსაც წილად ხვდა მთავრობის მაღალი ჯილდოები — საპატიო ნიშნის, შრომის წითელი დროშისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენები, ორჯერ და-

ქალმა, დედამ და მეუღლემ თითქმის ოთხი ათეული წელი. ორ მზრუნველ ხელს ორი ძლიერი, ვაჟკაციური ხელი მიემატა. მერე მათი გოგონების პაწია, სათუთმა თითებმა იგრძნეს, რას ნიშნავს სიყვარულით განათებული შრომის სილამაზე...

დიდ სიხარულს მძიმე წლები მოჰყვა. საქართველოში გაჩნდა ავადმყოფობა: თუთის ფოთლის სიხუჭუჭე. თითქმის მთლიანად განადგურდა თუთის ხეები. ერთი კია: ფანატურად მოყვარულმა ადამიანებმა ყველა სიძნელე გადალახეს, მეზობელი რაიონების ტყეებიდანაც დაიწყეს თუთის ფოთლის მოზიდვა. საყვარელ საქმეს ზურგი ვერ შეაქციეს. მათ შორის იყო ნორა ადამიაც. სძლიეს სენს, თუთის ახალი, გამრჩე ჯიშებიც მოამრავლეს. 1984 წლისათვის, როდესაც წულუკიძის რაიონისათვის მეაბრეშუმეობა კვლავ მაპროფილებელ დარგად იქცა, ნორა ადამიას უკვე საკუთარი თუთის პლანტაცია ჰქონდა. ერთი თვის განმავლობაში ნორა ადამია ფეხზე დგას. აბრეშუმის ჭიას ხომ დამითაც არ სძინავს. ოთახიდან ოთახში, ლასტიდან ლასტზე თუთის ფოთოლთან ერთად თავისი გულის ნაწილსაც ტოვებს.

...სახლში ხუთიოდე დღეს იქნება უჩვეულო ბუჩქების ბალი. მერე, როცა ყველაფერი დამთავრდება, აკრეფენ ლასტებსა და მიაწყნარებენ სახლ-კარს, ნორა ადამია დაუბრუნდება სამსახურს, თავის კოლმეურნეობას. ჩაუღრმავდება ციფრებს და

— სადღა ის ენთუზიაზმი და გატაცება. ახლა ეძნელებათ, ბატონო, საუცხოოდ მოწყობილ ბინებში ჭია შეიყვანონ, ერთ-თვიან ლამისთევასა და ყოველ ორ-სამ დღეში ნადების წმენდას არ კადრულობენ, ერიდებიან...

უსიყვარულოდ არც ერთ საქმეს არ მოებმება თავი. მეაბრეშუმეობა მაინც განსაკუთრებული სიყვარულის ნიჭს მოითხოვს. აბრეშუმხვიას მოვლის სურვილი გულის სიღრმიდან უნდა მოდიოდეს. შეილებს, შვილოშვილებს, შვილთაშვილებს თუ არ გავუღვიძებთ წინაპართა ამ მიძინებულ ნიჭს, წარმატებებზე ლაპარაკი ზედმეტი იქნება. უფროსკლასელებისაგან ჩამოყალიბებული რგოლები იმედებს იძლევიან, მაგრამ გადაწყვეტი სიტყვა მაინც მომავალმა უნდა თქვას.

ჩემს შრომას, ყოველი ჩვენთავანის დღევანდელ მიღწევას მხოლოდ მაშინ ექნება აზრი, თუ ჩვენი საქმით, ჩვენი სიცოცხლით რაიმე მაგალითს მივცემთ ახალგაზრდობას, რომელიც მათ კეთილ, სწორ გზაზე დააყენებს...

ნორა ადამიამ ყოველი თავისი თანამოსაქმის სათქმელი თქვა. მართლაც, ტრადიციები ვინ უნდა განაგრძოს, თუ არა ახალგაზრდობამ.

...იმერეთის დაბლობზე, ცხენისწყლის მარცხენა ნაპირას, არის დიდი, მშვენიერი სოფელი — მთხოჯი. მისმა შეილებმა არაერთხელ გაახმაურეს მისი სახელი და არა მარტო საქართველოში. და თუ სამშობლოს სიყვარული მშობლიური სოფლისა და რაიონის სიყვარულით იწყება, მაშინ მომავალმა თაობამ პირველ რიგში მშობლიური კუთხის საფიქრალითა და საწუხარით უნდა იცხოვროს. ბოლოსდაბოლოს, ეს მისი მოვალეობაა.



ექიმი ჩაფიქრდა, მერე გაიხსენა:  
— ერთ კარგ მასწავლებელს ვიცნობდი. მასზე ამბობდნენ, ღმერთმა აღმზრდელად გააჩინაო. ბუნებასაც დაეჯილდოებინა სამისოდ და თვითონაც უშეცდომოდ აერჩია პროფესია. მის ვაჟს მათემატიკა იზიდავდა და მშენებელი ინჟინერი გახდა. ოღონდ არჩეულმა პროფესიამ ისეთი აღიარება ვერ მოუტანა, როგორც მამამისს პედაგოგობამ. ერთხელ, მასთან სტუმრობისას, შევესწარი, როგორ ეხმარებოდა იგი თავის ვაჟიშვილს გაკვეთილების მომზადებაში და დავრწმუნდი: ისიც, სახელოვანი მამის მსგავსად, მასწავლებლის ნიჭით ყოფილა დაჯილდოებული. კაცს თუ თავისი პროფესია სიცოცხლის ნაწილად არ ექცა, იგი უბედური აღამიანია.  
— ექიმისათვის ეს ორმაგი უბედურებაა, — ჩავერთე საუბარში.  
— უთუოდ, — დამეთანხმა იგი. — ალა-

კიდევ ხომ არ მოუმართავთ თქვენთვის მსგავსი ავადმყოფობის გამოწვევებს?  
— არც ისე ბევრს, მაგრამ უკლებლივ ვეკვები. ნერვულ აშლილობას მძიმე შედეგები მოსდევს. მასსოვს, სვანეთიდან მოიყვანეს ქალი, რომელიც ფსიქიკური ტრავმის შემდეგ დაბრმავებულიყო. ამ ავადმყოფობას „ისტერიული სიბრმავე“ ჰქვია — თვალეები ახელილი აქვთ, მაგრამ ვერაფერს ხედავენ. სულ რამდენიმე წუთში დაუბრუნდა მას მხედველობა.  
— სხვა პროფესია რომ აგერჩიათ, ხომ უპროფესიოდ დარჩებოდით, — ვეუბნები, — თუმცა, ისიც მშვენივრად ვიცი, რომ თანდაყოლილი ტალანტი ყველაფერს არ ნიშნავს. მას შრომით მოპოვებული ცოდნა და გამოცდილება უნდა განამტკიცებდეს.  
— რა როლს ასრულებს თქვენს მუშაობაში ფსიქოლოგიური მომენტი. ან შინაგანად როგორ განეწყობით ხოლმე ავადმყოფთან მიმავალი? — ვეკითხები.  
— ასეთ დროს ყოველთვის ვლევ. მაწუხებს ფიქრი, იბღლიანი იქნება თუ არა ჩვენი საუბარი. მივიდივარ აუჩქარებლად, მშვიდად. დაახლოებით ერთ საათს ვსაუბრობ ავადმყოფთან. ამ დროის განმავლობაში ვაანალიზებ შედეგს — შეეცვალა თუ არა მას განწყობა. დაეტყო თუ არა გამოკეთება. თუ ყოველივე კარგად წარიმართა, ეს ნიშნავს — ირწმუნა ჩემი. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფისთვის და, რაც მართალია, მართალია ჩემთვისაც.

# ავადმყოფი

ნიკოლოზ კაპიცი,  
ავსტრალიის მხარაღმთა კავშირის მდივანი

**ავ**ტარა ვოვას სიცოცხლე მორევში ჩათრეულ ყვავილს დაემსგავსა. ოჯახის სიხარული ადრეულ ბავშვობაში მიღებულმა ტრავმამ ფსიქიკურად დააავადა. ყოველ ავადმყოფობას წამალიც მოეპოვება, ოღონდ ძებნა სჭირდებაო, უთქვამთ. ჰოდა, წლების მანძილზე საავადმყოფო გახდა ვოვასათვის მშობლიური სახლი, ხოლო ექიმები და ექთნები, მახლობელი აღამიანები. მისი სავსებით გამოჯანსაღება კი მაინც ვერა და ვერ მოხერხდა.  
სოხუმიდან თბილისში სამკურნალოდ ჩამოსულს, თურმე ექიმი დაეკითხა:  
— აქ რატომ ჩამოხვედით, თქვენთან ხომ ბიძინა მგალობლიშვილია?  
თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა. იქაც იგივე გაუშეორეს:  
— თქვენ ხომ ბიძინა მგალობლიშვილი გყავთ?  
— მას შემდეგ ოცი წელი გავიდა. ახლა ბიძინა მგალობლიშვილი ჩემთვის უახლოესი აღამიანია. მე ხომ მისი შემწეობით დავუბრუნდი ცხოვრებას, შევიყვარე იგი და ლექსების წერაც გავბედე, — ამბობს უკვე ცნობილი, ნიჭიერი აფხაზი პოეტი ვლადიმერ ახიბა.  
...ბიძინა მგალობლიშვილი არც პროფესორია, არც აკადემიკოსი. ის ექიმია! აი, რა არის მთავარი.  
ადვილად ამყარებს მოსაუბრესთან უშუალო, გულთბილ კონტაქტს. გაცნობიდან სულ რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე გულანდობლად ვსაუბრობდით. გასაოცარ აღამიანურ თვისებებთან ერთად ამჟღავნებს დიდ ერუდიციას, უყვარს იუმორი. მედიცინა მისი ცხოვრებაა.  
— ექიმმა ყველას თანაბრად უნდა უწილადოს სიბო და ყურადღება. ეს ჩემი სულიერი მოთხოვნაა, — მეუბნება.  
— სამწუხაროდ, ცხოვრებაში ყოველთვის ასე როდი ხდება, — ვთქვი სინანულით.

მიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ხომ ექიმის ხელშია. ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა! წარმოვიდგინოთ, რა შეცდომა შეიძლება დაუშვას ექიმმა, რომელმაც შემთხვევით აირჩია თავისი პროფესია. მითუმეტეს, როცა თავად სჯერა, რომ ექიმია!  
— თქვენ როდის ირწმუნეთ, რომ ექიმი ხართ?  
არ ელოდა ასეთ კითხვას. კარგა ხანს დაფიქრდა. მერე ერთი ეპიზოდი გაიხსენა თავისი ცხოვრებიდან:  
— ეს იყო 1952 წელს. მაშინ ახალგაზრდა ვიცაყვი. ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში ვმუშაობდი. ერთხელ საკონსულტაციოდ გამომიძახეს მეორე საავადმყოფოში. მიხვენეს მძიმე ავადმყოფი, რომელსაც მკურნალი ექიმის მტკიცებით, მიელიტი (ზურგის ტვინის ანთეზა) უნდა ჰქონოდა. სამი წელი ლოგინად იყო ჩავარდნილი. გავსინჯე ავადმყოფი. მივხვდი, რომ მიელიტი მას გადატანილი არ ჰქონდა. დაწვრილებით გამოვიკითხე ყველაფერი და აი, რაში ყოფილა საქმე სინამდვილეში: ჩვიდმეტი წლის გოგონა მშობლების დაუკითხავად ცოლად გაჰყოლია თავის რჩეულს. ლტოლვილებს ტყე-ტყე ხეტილისას წამოსწევინა ქალის მშობლები, ვაჟის თვალწინ გაუშისვლებიათ საკუთარი ქალიშვილი და უცემიათ. იქვე ჩაჰკვეცია თურმე მუხლები...  
დიაგნოზი — ისტერიული დამბლა.  
— მომეცით ავადმყოფი, — ვუთხარი იქ მყოფთ, — მალე წამოვაყენებ ფეხზე. რითაბიძირეს და, თუმცა სასწაულისა არა სჯეროდათ, უარი არ უთქვამთ, გადმომცეს. საკაცით მოიყვანეს დისპანსერში. ფსიქოთერაპიის დახმარებით სულ ცოტა ხანში ფეხზე წამოვაყენე და მანქანით წავიყვანე საავადმყოფოში, სადაც იგი ადრე მკურნალობდა. ალბათ წარმოიდგენთ, როგორ გაოცდნენ, როცა ჩვენ ოთახში შევედით.  
და ეს მოხდა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ დასვეს სწორი დიაგნოზი.  
— საოცარი შემთხვევაა. — ვთქვი ნაამბობით გაკვირვებულმა. — მას შემდეგ

კიდევ ხომ არ მოუმართავთ თქვენთვის მსგავსი ავადმყოფობის გამოწვევებს?  
— არც ისე ბევრს, მაგრამ უკლებლივ ვეკვები. ნერვულ აშლილობას მძიმე შედეგები მოსდევს. მასსოვს, სვანეთიდან მოიყვანეს ქალი, რომელიც ფსიქიკური ტრავმის შემდეგ დაბრმავებულიყო. ამ ავადმყოფობას „ისტერიული სიბრმავე“ ჰქვია — თვალეები ახელილი აქვთ, მაგრამ ვერაფერს ხედავენ. სულ რამდენიმე წუთში დაუბრუნდა მას მხედველობა.  
— სხვა პროფესია რომ აგერჩიათ, ხომ უპროფესიოდ დარჩებოდით, — ვეუბნები, — თუმცა, ისიც მშვენივრად ვიცი, რომ თანდაყოლილი ტალანტი ყველაფერს არ ნიშნავს. მას შრომით მოპოვებული ცოდნა და გამოცდილება უნდა განამტკიცებდეს.  
— რა როლს ასრულებს თქვენს მუშაობაში ფსიქოლოგიური მომენტი. ან შინაგანად როგორ განეწყობით ხოლმე ავადმყოფთან მიმავალი? — ვეკითხები.  
— ასეთ დროს ყოველთვის ვლევ. მაწუხებს ფიქრი, იბღლიანი იქნება თუ არა ჩვენი საუბარი. მივიდივარ აუჩქარებლად, მშვიდად. დაახლოებით ერთ საათს ვსაუბრობ ავადმყოფთან. ამ დროის განმავლობაში ვაანალიზებ შედეგს — შეეცვალა თუ არა მას განწყობა. დაეტყო თუ არა გამოკეთება. თუ ყოველივე კარგად წარიმართა, ეს ნიშნავს — ირწმუნა ჩემი. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფისთვის და, რაც მართალია, მართალია ჩემთვისაც.  
აკადემიკოსი ავლიზ ზურაბაშვილი წერს:  
— დოცენტ ბიძინა მგალობლიშვილს ჩვენ ვიცნობთ, როგორც მაღალკვალიფიციურსა და ერუდიტულ სპეციალისტს, რომელიც ნაყოფიერ კლინიკურ მუშაობასთან ერთად მეცნიერულ-კვლევით საქმიანობასაც ეწევა.  
ბიძინა მგალობლიშვილი მრავალი ნაშრომის ავტორია. კარგა ხანის მანძილზე კითხულობდა ლექციების კურსს ასაკობრივ ფიზიოლოგიასა და ანატომიაში ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ფართო საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა აგრეთვე, როგორც აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფსიქიატრ-სპეციალისტი და ავტონომიური რესპუბლიკის ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა სამეცნიერო-სამედიცინო საზოგადოების თავმჯდომარე. მინიჭებული აქვს „აფხაზეთის ასსრ ჯანდაცვის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.  
...კიდევ დიდხანს ვისაუბრე გულშია მას-ბინძელთან. ვილაპარაკეთ ლიტერატურაზეც, რომელიც, მისი თქმით, უდიდეს ემოციურ მარაგს აძლევს აღამიანის სულს. თავად მას ეხმარება ავადმყოფობასთან ბრძოლაში ისევე, როგორც ფერწერული ნამუშევრები თუ მუსიკალური და თეატრალური ნაწარმოებები. ისიც ვერ დაფარა, რომ თურმე ლექსებსაც წერს და ზოგიერთი მათგანი პერიოდულ პრესაშიც იბეჭდება.  
დავემშვიდობე დიდებულ აღამიანსა და მკურნალს. მაღლიერებით ჩამოვართვი ხელი და თან გამომყვამ ამაღლებული განწყობილება.

# სკოლა

# ბრძოლა

ეს ამბავი იტალიის ქალაქ ტურინის მისადგომებთან მოხდა.

სალამოვდებოდა.  
ტყე-ტყე მიმავალმა პარტიზანელთა ჯგუფმა სულის მოსათქმელად აბიბინებულ მდელიოზე ჩაიმუხლა.  
გაოფლილმა ბიჭებმა თუთუნი გააბოლეს.

მთებიდან დაძრულ პარტიზანებს რთული დავალება ჰქონდათ შესასრულებელი. სარწმუნო წყაროებით დადგინდა, რომ ტურინოდან გამთენიის ხანს გერმანიაში ავზავნიდნენ იარაღითა და საწვავით დატვირთულ რამდენიმე ეშელონს.  
დრო აღარ ითმენდა.

პარტიზანებს წუთი მილიონად უღირდათ.

— აბა, დავიძრათ!  
პარტიზანთა ჯგუფის მეთაური ალესიო მაფიოდი იძლეოდა ბრძანებას.

ის-ის იყო პარტიზანები წამოიშალნენ, რომ ყოველი მხრიდან ატყდა ავტომატებისა და ხელის ტყვიამფრქვევების გაბმული კაკანი.

ეჭვს გარეშე იყო, რომელიღაც გამცემის მეოხებით, ფაშისტებმა ზუსტად იცოდნენ პარტიზანების ადგილსამყოფელი.

ალყაში მოქცეული პარტიზანების ირგვლივ რკალი თანდათან ვიწროვდებოდა.

— სხვა გზა არ არის, ალყა უნდა გავარდვიოთ! — გასძახა ხეებს ამოფარებულ პარტიზანებს ალესიო მაფიოდი. — აბა მომყევით!

არჩევანი სწორი იყო. სამხრეთის მხარეს ტყე უფრო დაბურული ჩანდა და ბუჩქნარიც მოხშირებული მოსდებოდა.

პარტიზანები გააფთრებით ეკვეთნენ მტერს.

ისინი სამხრეთისაკენ მიიწვედნენ.

— სერგო დაჭრეს, — ხელყუმბარის სატყორცნელად გამზადებულ პარტიზანთა მეთაურს ყურში ჩასძახა ფორთხვით მიახლოებულმა ვიტორიო ბლანდინომ.

ჭრილობა, ეტყობოდა, მძიმე იყო.

ხესთან მისვენებულ სერგო ჩხვირკიას მიტკლის ფერი დასდებოდა სახეზე. დაჭრილი გონს ჰკარგავდა, წამოწვევას ლამობდა, მაგრამ სასომინდლი ისევ უმწეოდ და უგონოდ ეცემოდა მიწაზე.

ახლა, როცა ყველაფერი სისწრაფესა და ხეებშუა გასხლტომაზე იყო დამოკიდებული, ცხადია, დაჭრილი თანამებრძოლის ხელით ტარება შეუძლებელი ხდებოდა...

— უნდა წავიყვანოთ!

— ზურგით გავათრიოთ!

— ან გადავარჩინოთ, ანდა ერთად დავიღუპოთ!..

ყოველი მხრიდან გაისმოდა შეძახილები.

თანდათან ჩამოხნელდა.

— ბიჭო! — თანამემამულეს გადაფარებულმა ვლადიმერ რევიამ ხელით მოუწმინდა შუბლზე გამოჟონილი სიმწრის ოფლი გაფითრებულ სერგოს, — არ შეშინდე, ჩვენ კიდევ მოვესწრებით ზემის!.. დაჭრილმა გაილიმა.


— თავს ნუ ვიტყუებთ... იჩქარეთ... მე აქ დავრჩები... მოიცა, — სერგო ჩხვირკიამ თითის აწევით შეაჩერა ვლადიმერი.

— ტოტები და ფოთლები მომაცარეთ და წადით... სხვა გზა არ არის...

— რას ამბობ?! — თითის აწევით შეაჩერა ვლადიმერი.

— იქითა მხარეს დაიხიეთ უკან... ფაშისტები გვერდს ამივლიან და შეიძლება გადავარჩიოთ...

— გავიდი?! — თითის აწევით შეაჩერა ვლადიმერი.



ვ. რევია

— არ მომეკარო! — გაჭირვებამ ძალა შემატა დაჭრილს. ხელი ჩააცურა, ჯიბე მოიქეჭა, პისტოლეტი ამოიღო და შემართა.

— წადით, თორემ ახლავე თავს მოვიკლავ!..

წამიერი ღუმილი ისევ სერგო ჩხვირკიამ დაარღვია.

ოდნავ აწია თავი. მის გარშემო მიწაზე გართხმულ პარტიზანებს გაუსწორა თვალი და ტყვიების ზუზუნში ამოღერდა:

— წადით, თორემ ვისვრი!

დაჭრილის ხმაში ფოლადივით კვესავდა მტკიცე გადაწყვეტილება...

ომის ცეცხლოვანმა და ლაბირინთივით ჩახლართულმა გზებმა სად არ ატარა რიგითი ჯარისკაცი ვლადიმერ რევიამ.

ქერჩის ნახევარკუნძულზე ერთ-ერთი ფიცხელი ბრძოლის დროს იგი ფაშისტებმა ტყვედ ჩაიგდეს და პოლონეთის ქალაქ სედლიცში გააგზავნეს საწამებლად.

ომი მძვინვარებდა.

საბჭოთა არმია ზედიზედ ათავისუფლებდა მტრისაგან დროებით ოკუპირებულ რაიონებს და შეუჩერებელი შტურმით მიიწვედა ფაშისტთა ბუნაგისაკენ.

თავგზააზნეულმა გერმანელმა ფაშისტებმა საბჭოთა ტყვეების ნაწილი იტალიაში გადაისროლეს, ჯგუფ-ჯგუფად დაანაწილეს და სტრატეგიული დანიშნულების სხვადასხვა სამხედრო ობიექტზე განამწყესეს.

ვლადიმერ რევიამ რამდენიმე საბჭოთა ტყვესთან ერთად, ტიფით ნაავადმყოფარმა ძლივსძლივობით მოახერხა გასხლტომა, ბანაკიდან გაიქცა და იტალიელი კომუნისტების დახმარებით პარტიზანთა ჯგუფს შეუერთდა.

დადგა შურისგების უამი.

იტალიის სახალხო გმირის ჯუზეპე ვარიბალდის სახელობის პარტიზანთა ბრიგადაში, რომელსაც კომუნისტები ალესიო მაფიოდი და ვიტორიო ბლანდინო მეთაურობდნენ, ძმურად მიიღეს ფაშისტთა ტყვეობიდან გაქცეული ქართველები.

იტალიაში საერთო მტერთან ბრძოლაში გმირულად ისახელეს თავი ქართველმა პარტიზანებმა ვალოდია რევიამ, შოთა მანავაძემ, ნიკოლოზ აბუსერიძემ, სიმონ გუგუშვილმა, ბორის ქაჩაიამ, გიორგი მათიაშვილმა, ლეო მარგვეჯმა, სერგო ჩხვირკიამ, ივანე ბაღლაშვილმა, გივი მიქიაშვილმა, ბორის შურლაიამ და სხვებმა.


ქართველთა ჯგუფის მეთაურობა ალესიო მაფიოდიმ ვლადიმერ რევიას დააკისრა, როგორც გამოცდილსა და მამაც მებრძოლს.

„ჩვენი ვალოდა“, — ასე შეარქვეს იტალიელმა პარტიზანებმა ვლადიმერ რევიას.

ფაშისტთა წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში, ჭირსა და ლხინის თანაზიარობამ, გასაჭირში მხარში ამოღვომამ, იმ დაუვიწყარ, ცეცხლოვან დღეებში ერთად ყოფნამ მუშტივით შეკრა და ძმებივით დააახლოვა იტალიელი და ქართველი თანამებრძოლები.

45 წელი ცოტა როდია.

მიუხედავად ამისა დღესაც ვინც ცოცხალია, გულით დაქვეს ბრძოლის ველზე ნაზიარები სიყვარული და მეგობრობის არდავიწყება...



**პარლო კობერიძე**

ძმომ ვასო, ვასილ კუპრაძე! შარშან, შემოდგო-  
მაზე, კალაურის „ყველაწმინდის“ სანახავად რომ  
ავდიო, მაშინ იყო, სიტყვამ მოიტანა და მისაყუ-  
დურე: როცა ომის წლებზე ანუ შენს ბავშვობაზე  
დაწერილ ცრემლით, დარღობ, წუხილით სავსე მოთხ-  
რობებს ვიხსენებ, ერთადერთი კითხვა მებაძღვება  
ყოველთვის — როგორ დამაჯერებ, იმ უსაშველოდ  
გაგრძელებულ ხუთ წელიწადში სასიერო, სასაცი-  
ლო, საღიმილო არაფერი მომხდარა, ანდა თავს არ  
გადავახდენიათ?! იმდროინდელ კვლობაზე იმდენი  
სამხიარულო რამე ამოტივტივდება ხოლმე, ნუ  
იტყვი. მაგრამ აქედან რომ გავუყურო, უბრალო-  
დაც აღარ მეღიმება. და მაინც ვიხსენებ ერთ სა-  
სიერო ამბავს, მხოლოდ იმიტომ ვიხსენებ, სხვა  
დროს რომ აღარ მისაყვედურდ.

**აპტორი.**

მესამე დღეა, ბარდნის, უკვე კიბის მე-  
ორე საფეხურზე ამოვიდა თოვლი. გილ-  
ხინდეს, ზამთარს რა ჯობია, მიეფიცებ  
აგუგუნებულ ლემელს და ჩაყვინთე ზღაპ-  
რებში. ზღაპრებსა და შიშით გაუღენთილ  
ჭორებში.

მესამე დღეც თოვალში რომ განახევრდა,  
ხვალაც ასე თუ ჩამოიქცა ღრუბელი, აუ-  
ტყდა საყვავეებს ლაწალუწიო — სოფლ-  
საბჭოს თავმჯდომარემ, სათო ოსეფაშვი-  
ლმა, როსტომა ბელელაშვილთან გაგზავნა  
ალმასრულებელი: წაიდ, ჰკითხე, როდის  
გამოიღარებსო. ამ როსტომა ბელელა-  
შვილს არც უმთვარობა უშლიდა ხელს,  
არც უვარსკვლაობა, არც ნისლი, არც  
თოვლ-ჭყაბი და არც არაფერი, ისე ზუს-  
ტად გამოიციობდა ხოლმე დარსა და უდა-  
რობას, ისღა დაგრჩენოდა, ეჭვს ჩაეფიქრე-  
ბინე, მგონი თვითონ არის მბრძანებე-  
ლი. იმ სამი კოლექტივიდან, ჩემს სო-  
ფელში რომ იყო, მარტო ერთის, „მნათო-  
ბის“ თავმჯდომარეს — სოლო ბიბიანა-  
შვილს აღმოაჩნდა ჰკუა — კაცი ააყოლა:  
დათესავდა როსტომა სულაცს — ესეც  
დათესავდა, გასხლავდა როსტომა ვენახს  
— ესეც გასხლავდა. მერე კარტოფილის  
დათესვაო, ლობიოსო. ვენახის შეწმენ-  
ლო, გაგვირის შეფრქვევაო, ყანის გაჭ-  
რაო, რთველიო... ყველაფერს როსტომას  
გეგმა-გრაფიკით აკეთებდა და, სხვასთან  
შედარებით ააშენა კოლექტივი! აგრო-  
ნომს მარტო იმიტომ ვერ ელეოდა, შტა-  
ტის გაუქმება არ შეეძლო და კიდევ —  
თამბაქოს საშოვნელად დაარბენინებდა,  
ანდა დანაყეულზე რომ იყო აქტივის მოწ-  
ვევა; აღმასრულებელს წაახმარდა ხოლმე  
უბან-უბან სირბილში...

დაბრუნდა აღმასრულებელი და მოახსე-  
ნა სათოს, როსტომამ, ამაღამ, პირველი  
მამლის ყვილისას გამოიღარებსო.

გახარებულ სათოს სამხედრო მაგიდის  
გამგემ გიგლო ხუროშვილმა წინა კვირას  
ხევიდან მოსული სასწრაფო და საგანგე-  
ბო დავალება მოაგონა. რვა საათამდე სა-  
ქმე არაფერი გვაქვს (მენახირე ონე ფა-  
ნიაშვილთან ინდაურზე იყვნენ დაპატიუ-  
ბულები), მოდი, ბარემ მოვიშოროთო.  
ღმერთმა გიშველოს, დროით გამახსენეო —  
ესეც გაუნარდა სათოს და მაშინვე დაიძა-  
ნა სოფლობა.

შვილ საათზე კლუბად წოდებული ექ-  
ლესია სავსე იყო მოხუცებით, ომისათვის  
უვარგისი სოფლის აქტივითა და წვრილ-  
ფეხობით. ვილაყვებმა აღრევე დაიჭირეს  
თადარიგი, ვიღერ გვიბრძანებენ, ბარემ  
ჩვენვე გავტოვდეთო — ორი ლამაზა მოი-  
ტანეს, ქალადღით წაგრძელებული შუშა  
ედგა ორივეს. დრო არ ჰქონდათ და საპა-  
ტიო პრეზიდენტში არავინ აურჩევიათ,

სამნი ისხდნენ მარტო: სათო, გიგლო და  
სოლო. სამწუხაროდ, სხვა რაღაცეები  
მარე ვერ გამოცხადდა — მიზნად ამოხს-  
და იმისაო, ჩაილულულა გიგლომ და, ვი-  
დრე სათოს მისცემდა სიტყვას, ვერ თვი-  
თონ გაეცინა. ის ორი თავმჯდომარე მთე-  
ლი კვირა შინიდან ვერ გამოდიოდა: ერთ  
ქალთან დაძვრებოდნენ ორივენი, ავარია  
შეემთხვათ ანუ ერთდროულად მიუკაცუ-  
ნეს კარზე, სიმთვრალემაც თავისი დამახა-  
სიათებელი სიტყვა თქვა და აკი ცხვირ-  
პირი დაუღეწეს ერთმანეთს.

სათომ, როგორც სჩვეოდა, მოკლედ,  
საქმიანად გააცნო ხალხს ასე მოულოდ-  
ნელად შეკრების მიზნები:

— ამხანაგებო, დასამალ-დასაფარი არა-  
ფერია, მტერი აქვია, კავკასიონის გადაღ-  
მა. მართალია, ჩვენი მშობლიური წითე-  
ლი არმია მედგრად, უკანასკნელი სისხ-  
ლის წვეთამდე ებრძვის გააფთრებულ  
ყვითელ გველებს, მაგრამ ხომ შეიძლება  
სტრატეგიული მიზნით უკან დაიხიოს და  
მტერი აქაც მოვივარდეს? ამიტომ ფხიზ-  
ლად უნდა ვიდგეთ მსოფლიოში ყველაზე  
თავისუფალი, სამართლიანი, ჰუმანური,  
მშვიდობისმოყვარე ჩვენი დიადი საშო-  
ბლოს სადარაჯოზე, ათასი თვალი და ათა-  
სი ყური უნდა გამოვიბათ, რომ საიდანმე  
ჩაუშუი არ შემოგვეპაროს. მოვკვდეთ, ამ-  
ხანაგებო, მაგრამ მკერდით შევკრათ ჩვე-  
ნი სოფლის შესასვლელ-გასასვლელები,  
— დაამთავრა სიტყვა და, რაკი სინათლე  
თვალს სჭრიდა, ლამპის მხრიდან აიფარა  
ხელი, — თუ ვერ გაიგეთ რამე, ნუ მოგე-  
რიდებათ, ხალხხო, მკითხეთ.

ნინია წამოჩიფჩიფდა, მეურმე:  
— თუ მოვკვდი, უფროსო, მკერდით  
როგორც შევკრამ?

სათო დაიბნა, გიგლოსკენ დაიხარა, იქ-  
ნებ რამე მიჩიხოსო.

— მართალს ამბობს, — ჩაულაპარაკა  
გიგლომ, — მაგრამ, უთხარი, სიტყვის  
მასალაა-თქო.

— ეგეთ ნათქვამს სიტყვის მასალა ჰქვი-  
ან, — თქვა სათომ და მაშინვე გამოცო-  
ცხლდა. — მთავარი დამევიწყდა: ვინც  
ჩაუშუს დაიჭერს, გულზე დასაკიდ ჩილ-  
ლოსაც მივკემთ და პრემიასაც, ოღონდ —  
ნატურით: ხორბალი იქნება, სიმინდი,  
ლობიო...

უფროსები ახმაურდნენ, მოწაფეები  
გაფაციოდნენ.

— როგორ გავიგოთ, ვინ ჩაუშუა და  
ვინ ჩვენიანი? — იკითხა აბელა მჭედელ-  
მა; პირველ რიგში იჭდა, მაინც მხედავენ-  
ო და, არ ადგა.

— უცხო სოფელში რომ მიდინართ,  
აქეთ-იქით არ იყურებით ხოლმე? — გა-  
უწყრა სათო.

— გამოცდილი ჩაუშუი ეგრე გაივლის  
რო?

— ეგეც მართალია!  
ახლა ცალფეხა შიო ხელაშვილმა ააკა-  
კუნა ყავარჯენი — პირველ მსოფლიო  
ომში დატოვა ცალი ფეხი და ომის უთავ-  
ბოლობის ამბავი სხვაზე უკეთ მოეხსენე-  
ბოდა:

— მტერი იმის მტერია, რო ვერავია.  
ამიტომ, ისიც ხო შეიძლება, ცოლ-შვი-  
ლით წამოვიდეს საჭამუშოდ?

— ყველაფერია მოსალოდნელი! —  
ხალხის გასაგონად თქვა გიგლომ და სა-  
თოსაც აღარ დასჭირდა გამოკრება.

— ერთიც ვნახოთ, დავიჭირეთ, სად  
უნდა მივიყვანოთ?

— საბჭოში — უპასუხა, სოლომ. — სა-

დილაა.  
ქალაქს ვერ კიდევ სძინავს.  
გარბინებული ქუჩები მოულოდნელად  
ახშიანდნენ.

საქრავების ხმა თანდათან ახლოვდება,  
მელორდის ვილაცამ შეუწყო ხმა, ერთს  
მეორე აჰყვა, მეორეს — მესამე...

ცოტა კიდევ და ირგვლივ სულის შემ-  
ძვრელი იტალიური სიმღერა აქლერდა.  
ცხრანი მღეროდნენ.

მოდიოდნენ, ლალად, ღიმილით გაწე-  
დილ ხელებში ყვავილების თაიგულებით.  
იტალიის რომელიმე ქალაქი არ გეგო-  
ნოთ.

ეს ამბავი თბილისში მოხდა, ჩუღურე-  
თში, შოთა გამცემლიძის ქუჩაზე, № 23  
სახლში.

აი, ომის ვეტერანს, პარტიზანთა ჯგუფის  
მეთაურს, გამოჩენილ მებრძოლს ვლადი-  
მერ რევას შორეული იტალიიდან ამას  
წინათ თავისი თანამებრძოლები ეწვივნენ.

— რენცო! — ყვირის თვალცრემლი-  
ანი მასპინძელი და წინ გავარდნილი რენ-  
ცო სიცილით ეხვევა. — რიკარდო-მო-  
ლეტო, ვინჩენცო, ჯუგლარი, ბრუნო ვა-  
რინო...

პარტიზანთა მეთაურები ალესიო მა-  
ფიოლი და ვიტორიო ბლანდინო ვერ  
დინჯად დგანან, შემდეგ ველარც ისინი  
იოკებენ გულს და აცრემლებულები ეხ-  
ვევიან მასპინძელს...

მყუდროებას დაუსადგურებია ნათელ  
ოთახში. სხედან და წარსულს იხსენებენ.  
წამით ჩამოვარდნილი ღუმილი მასპინ-  
ძელმა დაარღვია.

— შეხედეთ, ვინ მოვიდა!

ღია კარებში ოჩამჩირიდან თანამებრ-  
ძოლებთან შესახვედრად ჩამოსული პირ-  
მოლიმარი სერგო ჩხვირკია იდგა.

ვლადიმერ რევამ და სერგო ჩხვირკიამ  
სტუმრები პირველ რიგში ვაკის პარკში,  
უცნობი ჯარისკაცის საფლავთან მიიყვა-  
ნეს.

სად არ ჰყავდათ.

თბილისის თითქმის ყველა კუთხე-კუნ-  
ჭული დაათვალიერებინეს. აჩვენეს ახალ-  
მშენებლობები, მოატარეს ძველი თბილი-  
სის უბნები, წაიყვანეს მთაწმინდაზე და  
მცხეთაში, არმაზსა და გორში...

მოგონებებში, თბილისის ვაცნობაში,  
ლხინსა და საუბარში სწრაფად გაიბრინა  
რამდენიმე დღე.

დადგა გამომშვიდობების უამი.

მეგობრები ისევ ცრემლიანი თვალით  
ეთხოვებინ ერთიმეორეს.

გადაწყდა: მომავალი შეხვედრა იტა-  
ლიაში ექნებათ. სტუმრებმა აღუთქვეს,  
კეთილი მასპინძლობისათვის ვეცდებით,  
სამაგიერო გადავიხადოთ და ჩვენი ბრძო-  
ლის ადგილები დავათვალიერებინათო.


რენცო ისევ იღიმება, ვინჩენცო-ჯუგლა-  
რი ცრემლებს იშვრალებს, რიკარდო რა-  
ლაცა იწერს, ბრუნო ქართულ სიმღერას  
„სულიკოს“ ღიმილებს...

პარტიზანთა ყოფილმა მეთაურმა ალე-  
სიო მაფიოლიმ, ვინემ თვითმფრინავის  
ტრაპზე ავიდოდა, ხელაწვდილმა დახ-  
ჰქა:

— ბრძოლა არ დამთავრებულა! ბიჭე-  
ბო, მშვიდობისათვის ბრძოლა გრძელ-  
დება!

**ეთერ მაჰაპარიანი.**





ლი ღამით თავშებურებული ხალხი სალაუბოზე გამოეფინა და რია-რია დაიწყო. ახლა აღარავინ იცის დახამდებილებით, ვინ წამოიწყო პირველად ეს სასერიო ამბავი, არადა, ადამო მეზერიშვილის მეტი ვინ იქნებოდა: გარჯის ფასიციცის, მზიარულებისაც. ისეთი ოხერი ვინ-მეა, ამ სიბერეშიც აუჩემებია, ცხოვრება ტანჯვა-ცრემლებისააო და, სასერიო დაინახოს, მოიფიქროს, გაიგოს. სიცილს როგორ მოიკლებს! მაშინაც ადამოზე ჰქონდათ ეჭვი, თვითონ არ გამოტყდა და ამიტომ ვერც გაბედულად დაადეს ხელი, თანაც ისე ეჭირა თავი, ვერ იფიქრებდი, ხუმრობსო.

მოკლედ, დილაა. ვილაც კაცი მოდის თელავის მხრიდან. სალაუბოზე გაჩერდა და თუთუნი ითხოვა — სიღარიბეს მოუკვდეს პატრონი, გუშინდელს აქეთ არ გამიბოლებიაო. ადამოს ეთქვა, ლავოდებური თუთუნი მაქვს, ერთი გახვევა რა საკადრისია, აქვე ვცხოვრობ. მთელი თვის სამყოფს მოგართმევო.

წაჰყვა. მიხვდნენ სადაც მიჰყავდა და ქირქილით აედევნენ. ადამო თვითონ ხომ არ ეწეოდა და არ ეწეოდა პაპიროსს, სხვისი მოწვევაც ვერ აეტანა. აქეთ ვინდობთ ღმერთი, იქით როგორ ეკვლევივინებით. მაგ მომგონამოსაწყვეტსო. ის ჭარმაგი საბჭოში მიიყვანა ადამომ. იმ დღისით სოლო ბიბინაშვილი იყო მორიგე, მაგიდას მისჯდომოდა და თვლემდა. ადამომ მოახსენა, ჯამუში დაევიჭირო. შეხედა სოლომ იმ კაცს, წამოხტა და გადაეხვია, რომელი ჯა-

ყოველთაო უშიშროების საფუძველზე ყოველთვის იარაღიანი მორიგეა იქა.

ეკლესიის მოფამფალეული კარი ჭრილით გაიღო. — ონე ფანიაშვილი შემოვიდა და იქვე დაეყუდა. გიგლომ პალტოს კალთა ჩამოუწია სათოს, თავი დაანრევიდა:

— ონე ფანიაშვილი მოვიდა — მზად არისო. დახურე კრება.

— ეხლავე, — წაუჩურჩულა სათომ, მერე ცოცხლად გასწორდა წელში, — ამხანაგებო, განსაკუთრებული სიფხიზლე უნდა გამოიჩინოს სოფლის მოსწავლე-ახალგაზრდობამ. თქვენს გამჭრიახ თვალს არ უნდა გამოეპაროს არც ერთი გარეწარი ჩაშუში. მართალია, ღამე ვერც მტერი ხედავს, მაგრამ ადგილგადასაცვლების მიზნით მოსალოდნელია, ღამეც იმოძრაოს, ამიტომ არც გასაკვირია, ღამეც შეგხვდეთ ჯამუში. მაშ გაუმარჯოს ჩვენს ბრძოლას პირსისხლიანი მტრის ალაგმის თაობაზე! კრებას დახურულად ვაცხადებთ.

ღამის პატრონები მაგიდასთან მივიდნენ...

იმ საღამოსვე თვალგებად იქცა სოფელი, მაგრამ სიცივემ გარეთ არ გამოახედა და მნიშვნელოვანი ანუ სალაპარაკო არაფერი მომხდარა. მეორე დღეს, დილაღრიან, სათარზე მოდენილიყო ნიკა კონიაშვილი. თურმე ტყეში რომ შევიდა და აღმართიც დაიწყო, ცხენიდან ჩამოხტა, ხედავს: გზას გარდი-გარდმო სჭრის კაცის ნაკვალევი, დააკვირდა — ახალთახალი, ძირდაკბილული ჩექმები სტმია. ერთი ნაკვალევი კიდევ ან ძროხისაა ან ხარის, ანლა კამეჩის.

რალა ესათრებოდა, იქვე, ჯაგრცხილაზე მიუბამს ცხენი და კვალში ჩადგომია მაშინვე. ვინ აღარ ვიცოდით, რომ ჯამუშები ისეთ ფეხსაცმელს იცვამდნენ, ძროხის, ხარის, კამეჩის ნაჩლიქარი გეგონებოდათ.

ასე ჰგონებია ნიკასაც. ადევნებია იმ ორივე კვალს: ხან ღელეში გაჩხირულა,

# ჯამუში

## პირობები

ხან ბარდებში, ხან ცოცხალ ღობეში, მერე ორივე ნაკვალევი ნიკა ბერაძის ეზოშიც შესულა და გამოსულა კიდეც.

ბევრი რომ არ გაეავრძელოთ, იმ კვალს კოლექტივის ბოსლებთან მიუყვანია. ღია კარში შეუხედავს — შუაღვიცხლთან კუნძი მიუდგამს ჩიორა პაპას, მენახირეს, ახალთახალი ჩექმები გაუხდია და წინდის ფეხებს რიგრიგობით უშვერს ცეცხლს. იქაურობა ნაკელის, ბოლისა და ტრუსის სუნიით არის სავსე და კიდევ, საქონლის ფშვინვით. თურმე მიხვდა ჩიორა პაპა, ამ უღროო დროს რატომაც დაადგა თავზე ნიკა, ეუბნება — არ ვიცი, ამ ყიამეთში რა ბუტული შეუძვრა ჩემს ზვარას, ვიდრე თვალის გასაჭრელად ინათებდა, გაჭკრა თავი ბოსლიდან და სოფლის თავი მიმარბენ-მომარბენინაო.

მობრუნებული უკან ნიკა კონიაშვილი. დაიქანცა გაუკვალავ, მუხლამდე თოვლში სიარულით. ავიდა ტყეში, მაგრამ სადღა მისი ცხენი?! სიცივეს შეუღობნებია, აუწყვეტია და დაშვებული თავქვე. ამ ნიკას ცხენის ნაკვალევს კიდევ ტყისმცველი ადევნებია. იმ კვალს შინ რომ დაუბრუნებია ნიკა, თურმე მისი ეზოდან უკვე გამოდიოდა ტყისმცველი, არაყი გადაეხუხა და ფეხები ჰქონდა არეულო.

ამასობაში მოდღევედა კიდევაც, გრძე-

შუში, ჩემი ქვისლიაო.

დგას ეს ამდენი ხალხი, დიდი გულისყურით ისმენენ და ხედავენ, ქვისლები როგორ ესიყვარულებიან ერთმანეთს.

— საბუთები გაუსინჯე, — ურჩია ადამომ.

— ვისა, კაცო, ამას?! — გაეცინა სოლოს.

— მაგას, ჰო, მაგას!

— აკი ვითხარი, ჩემი ქვისლია-მეთქი.

— ქვისლები კი არა, ალალი ძმები იყვნენ გეგამპკორები...

— მერე, მე როდის ვთქვი, ნუ იქნებით-მეთქი.

— ერთი ძმა ბოლშევიკი იყო, მეორე კიდევ მენშევიკი რაო, რაკი შენი ქვისლია, არ გეკადრება გერმანელებთან იყოს შეკრული?

— ვისზე ამბობს მაგას! — ნაგნის ბუღეზე გაიკრა ხელი სოლომ, მაგრამ ქვისლია დაამშვიდა:

— მართალს ამბობს, ომია ახლა და ნამეტანი სიფხიზლეა საჭირო, — ხალათის გულის ჩიბიდან პასპორტი ამოიღო და ადამოს მიაწოდა, — ა, ბატონო, შეამოწმეთ.

შეამოწმეს — საბჭოთა მოქალაქე აღმოჩნდა. თურმე სოლოს გარდა სოფლსაბ-

ქოს თავმჯდომარესაც იცნობდა, სამხედრო მაგიდის გამგესაც — ის-ის იყო მოვიდნენ კიდევაც ორივენი და მაგრად, შინაურულად ჩამოართვეს ხელი. სოლოსავით არ გაბრაზებულან, პირიქით, ადამოს დიდად მოუწონეს სიფხიზლე...

სიცილით ჩამოვიდნენ კიბეზე, გამოვიდნენ გზაზე, ხედავენ: დაგვალული იაგორა მოდის, ვილაცის აღუღუნებული, დაჩუქული ძუძუთა ბავშვი უჭირავს ხელში, ახანავებს. უკან კოჭლი კაცი, ქალი და კიდევ არაერთი ცხელი, სამი-ოთხი წლის ბიჭი მოსდევს.

— საით გაგიწევიათ? — იაგორას ეკითხება ვიო კალატოზი.

— იქა, — იაგორა საბჭოსკენ აქნევს თავს, თვალსაც უკრავს და კიბეზე აღის. უკან ღიმილ-ქირქილით ბრუნდებიან ყველანი.

— ამ ხისთავიანსაც რომ სიცილის საღერდელი აეშლება, განკითხვის დღეა მოახლოებული და ეგ არის! — თავი დაღუნა, კისერში ხელი წაიყო და მოურიდებლად იფხანს ადამო.

თავმჯდომარის კაბინეტში პირველი იაგორა შედის, აღუღუნებულ ბავშვს სათოს მაგიდაზე დააწვენს და რიხიანად ამბობს:

— ჯაშუში დავიჭირე!

— რას მიედ-მოედები?! — მაგიდაზე დაწვენილ ბავშვს დაშტერებია სათო.

— მაგისი მამა, ეგე, გვერდით რო გიდგას, ეგა მგონია ჯაშუში, — გზებით ქალღალღში გახვეულ თამბაქოს ისე ექაჩება, გან-გან იწევს ყურები.

— ვისზე ამბობს მაგას? — აქეთ-იქით იხედება უცხო კაცი.

— შენზე. თუ არ გემცხეთა, რატომ სხვამ არ იკითხა ეგა?

— ჩაქრე პაპიროსი! — უყვირის სათო.

— წაგავლემ ხელს და ვადაგიძახებ ფანჯრიდან! — ამბობს უცხო კაცი, ხელის წამკვლებსა კი არაფერი ეტყობა.

— რით ამტიციებ რო ჯაშუშია? — მშვიდად ეკითხება სათო.

— ზედ გვიგია მალაციძის სახლთან მკითხა, გვიგია მალაციძე სადა ცხოვრობსო. შენი რა არის-მეთქი. დეიდაშვილიაო. დავიჯერო, აქამდე არ ყოფილა დეიდაშვილთან?

— მართალს გეუბნება, — უცხო, კოჭლ კაცს მშვიდად შეხედა სოლომ.

— პატარაობისას ვიყავი, მაგრამ ვეღარ ვინიშნე სახლი.

— საღაური ხარ? — ეკითხება სამხედრო მაგიდის გამგე.

— ჩაილურელი.

— შენლა გაკლდა და შენც დაიწყე მაიმუნობა? — იაგორას წამოუხტა სათო, — ვითომ ბეცია, ეს უბედური!

— მადლობის მაგიერია? — მოიღუშა იაგორა. — თქვენ არ ამბობდით, ცოლ-შვილითაც დადიან საჯაშუშოთა?

ემანდ, აქ არ გავეციხოსო, სეირის მაყურებლები ერთბაშად გაიკრიფდნენ დერეფანში და, კიბეზე რომ დაემყენნ, მაშინ კი ისე ახარხარდნენ, ვიო მჭედელი კიბესთან მღვარ თამელს მიაწყდა და ვიო კალატოზი რომ მიეშველა, ისიც გადაიყოლა თოვლში.

კიბეზე ვითომ გაბრაზებული ჩამოდის იაგორა:

— მე, კაცო, ფხიზლად ვდგევარ სამშობლოს სადარაჯოზე. ესენი კიდევ ლახლანდარობაში არ მითვლიან?!

იმ დღეს მთლად აირია მონასტერი: ჯაშუშობაში ეჭვიტანილი ორი სხვაც მი-

იყვანეს საბჭოში. სიცილს მოწყურებულ ხალხი საბჭოს ახლომახლო და სალაყბოზე ტრიალებდა. შიო პაპა ამბობდა, შიო ხელაშვილი, კარგა ხანია, ამდენი აღარ მიცინიაო. მისი აღმატებულების, რუსეთის არმიის პორუჩიკი კონსტანტინე თულაშვილიც კი ჩაოსდა სიცილით. ახლა ამაზე შეიწყვიტა გული სოფელმა — სად ესა და სად ასეთი თავმეუქაველობაო: ომში მოხალისედ მოითხოვა წასვლა; უარი უთხრეს, რალა დროს შენი ომიაო და, მას აქეთ აღარც უნახავთ გაცილებული, ღიმილით კი ნამდვილად იღიმებოდა ხანდახან. ის ორი ჯაშუშიც, იაგორას შემდეგ რომ მიიყვანეს, ნაცნობები აღმოჩნდნენ: ერთი სამხედრო მაგიდის გამგის პაპიდაშვილი იყო, ერთიც — რაიკომის ინსტრუქტორი, სოფელი რომ შეეშალა და მეზობელ რაიონში ჩაატარა აქტივის კრება, ისა. მერე თავს იმართლებდა, იქაც ჩემი სამშობლოაო. ნამდვილად.

მოწაფეებმაც გამოვიდეთ თავი: ვილაც კაცი იდგა სკოლის ეზოში, პატარა ეკლესიასთან, ღელეს გადაპყურებდა. მერე მთისკენ გაიხედა, ღელის გადაღმაც, რალაცაზე აცმაცუნებდა ტუჩებს. სკოლის გამგეს, პატივცემულ შანშეს არ დაენახა. ის-ის იყო, უნდა გავევდლო წინ და ჩავვეთრია საბჭოში. თურმე განათლების განყოფილებიდან ყოფილა. ის აინტერესებდა, როგორ მიმდინარეობდა ჩვენს სკოლაში ფრონტის დასახმარებლად ტანსაცმლისა და ხმელი ხილის შეგროვების საქმე...

მაგრამ ეს ყველაფერი იმასთან მონაგონი იყო, შემდეგ რაც მოხდა, საღამო ხანზე: ქვევიდან მოდის მეველე ზურია ეგეტაშვილი, კისერი აქვს მოღრეცილი და ღრეცილა ზურიას ეძახის სოფელი. ზურია იმ ერთი კვირის წინ სოხუმიდან უმცროსი ძმა ჩამოიყვანა, ტუხა — კიევთან დაჭრილიყო მძიმედ. ვილაც მადლიანმა ექიმმა გამოუგზავნა წერილი, სოხუმის ამა და ამ ჰოსპიტალში წევს შენი ძმა, ჩამოხედო. წავიდა ზურია, ბიძაშვილებიც გაიყოლა, რა წასაღები წაიღეს, ჩამოთვალა, არ დაიჯერებთ. წვალება-ჯახირით ჩაიღწიეს სოხუმში, ტუხაც გაახარეს, სხვა დაჭრილებიც. ჰოსპიტალის უფროსს, სამედიცინო სამსახურის გენერალს შეეხვეწა თურმე, შინ გამატანეთ ძმა, იქ უფრო კარგად მოვუვლიო. გამოატანეს. ეს ერთი კვირაა, სუფრა არ აულაგებია ზურიას, ამდენ ხარჯს რა გაუძლებდა, ორივე ძროხა არ გაეყიდა. ტუხა არ სვამს, ჭრილობები აწუხებს ისევ, ზურიას კი სოხუმიდან ჩამოსვლის აქეთ არ გამოუფხიზლებია.

რყევა-რყევით მოდის ზურია. სადალაქოდან დაინახეს და აკი გარეთ გამოეფინა ენის მოსაფხანად შეგროვილი ხალხი:

— საით მიჩორჩებთ ვერან?

— საბჭოში, — თავაულებლად ამბობს ზურია.

— იმ ოხრობაში რა გინდათ, კაცო? აქ მოდით, ან სახედარზე ვილაპარაკოთ, ან სახედარის პატრონზე.

— აეს მიმყავს იქა, — ძმას მხარზე არტყამს ხელს.

— რაშია საქმე? — ადამო ეკითხება.

— შენი ძმა ვარო, მიმტიციებს. დაქცევანა ქვეყანა და, რა ვი, დაეჯერება? მართალი გითხრათ, ჯაშუში მგონია.

— ტუხაზე ამბობ?

— აბა, სხვა ძმა სადა მყავს? ვუყურებ, ტუხაა, არადა, თან ეჭვიც მეპარება, — გზას განავრძობს. სიცილით მიჰყვება ტუხა; ისევ სამხედრო ფორმა აცვია, დაბინ-

ტული მარჯვენა ისევ ჩამობმული აქვს, რომ იცინის, მარჯვენა ხელს მკერდზე იდებს და წველში იხრება.

— ყურები დაიგრძელეთ [და მუც] [დაც] გრძელეთ, — საქმიანი ნაბიჯით მიდის ზურია.

— შენს ყურებს თუ დაგრძელებია აკლია, იმასაც ვიკითხავთ, — ხითხითებს ვიო კალატოზი.

— მეც მაგას არ ვამბობ?

— რას ასდევ, ტუხა, დავიჯერო, არ იცი შენი დამთხვეული ძმის ამბავი?

— სამი კვირის შემდეგ ომში უნდა გადაეშვა ისევ, რა ვიცი, კიდევ დაგებრუნდები? ჰოდა, ამის გულისთვის რომ ვაწყენინო, არ ივარგებს.

ადამო ზურგიდან წამოეწია ზურიას, შინელის კალთაში ჩააფრინდა ორივე ხელით, გამოჰკრა და ისე მოისროლა, ყინულით მოლიპულ გზაზე დაცემულიყო ასე, გულამა, ისიც საკითხავია, კიდევ შეუღრენდა ადამოს?

— მე რო სიფხიზლე გამოვიჩინო, შენ რა გაკლდება, ძალიდავდებულა?

— კაცო, — ტუხას ეუბნება ადამო, — დღეს ოთხჯერ დავიჭირეთ ჯაშუში, მაგრამ ეგეთი ძალიან აშკარა არც ერთი არ ყოფილა. ხო იცით, ტყუილსაც თავისი კანონები აქვს.

— მეც ამას ვეუბნები და ვერკი გავაგებინე! — იცინის ტუხა.

ეხვეწნენ, ემუდარნენ, ეჩიხინენ და ძლივს დააჯერეს, მეტი მოგდისო. მეტი მოუვიდოდა.

ამ დღის ამბავი სამ დღეს ეყო სოფელს — ცოტას აკლებდნენ, ბევრს უმატებდნენ და სიცილის გუნებაზეც დგებოდნენ. ამით ის დამატიციეს, რომ ადამიანი მაინც ადამიანია და სიცილიც ყოველთვის უნდა, თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი გაუგონარი გაჭირვების დროსაც კი!..

მეოთხე დღეს ერთბაშად მოისხიბა სოფელმა სიცილი, გაისუსა, გაინაბა — თან სჯერა, თან არა სჯერა: მართლა არ დაიჭირეს ჯაშუში? ნამდვილად უთავბოლობა ყოფილა ომი, თორემ აქ, ამ ჩამყუდროებულ სოფელში რა უნდოდა ჯაშუშს? მაგრამ დაიჭირეს და თუ გინდა, ნუ დაიჯერებ!

პაპიდაჩემის მეზობელი სერგო მეფარიშვილი ყოფილიყო სათარზე. მარტო წასულა. არც ავლისას შეხვედრია ვინმე, არც ჩამოვლისას. შუადღეა. მოდის თურმე, მოაქვს სათარი. ნატბევარის ტყეს რომ ჩამოსცდენია, ფრუტუნით გაჩერებულა ცხენი. გაუჭავრდა თურმე, აჩუ, ჰე, რა იმდენი სათარი მოგები, ჯერ არ დავეძრულვართ და უკვე დაქანცაო. მაინც არ გატოკებულა ცხენი.

გაოცებულა სერგო, სად ესა და სად ასეთი გაჭირო. დააკვირდა: ცხენი რალაცას მიმტრეპებია ფრუტუნით. თვალი გააყოლა: გოგოა, თეთრი ტანისამოსი აცვია, თავშალიც თეთრი მოუხვევია, მუხლამდე თოვლში დგას, ჩამობარდნილ მაყვლის ბარდს ეფარება და ვერც ეფარებაო. თურმე სულ ერთიანად ცახცახებს გოგო. გამოლაპარაკებია სერგო. გავიგონია, ხმას არ იღებს?! ხელი რომ წაუვლია, დანდობილად გაყოლია გზაზე. ფეხებზე დაფხედ: წინდა-ქალამანი ეცვაო. მორჩილი წიფლის ტოტები ჩამოუკაფია სერგოს, ორკაპა სათარზე დაულაგებია, ზედ დაუსვამს ეს სიცივითა და შიშით ათახთანებული გოგო, ცხენისთვის აღვირში ჩაუვლია ხელი, წინ გაძლოლია, ემანდ, არ



# საქართველოს კომუნისტური ცენტრები

ცნობები საზღვარგარეთის ქართველოლოგიური ცენტრების შესახებ რედაქციას მოაწოდა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა, საფრანგეთის არტურ რემბოს კულტურის ცენტრისა და კანადის საზოგადოების „ეკრიტიკურ ფრანსეზ დან ლე მონდის“ წევრ-კორესპონდენტმა სერგო თურნაძემ.

ქართულ-საზღვარგარეთულ კულტურულ, ლიტერატურულ და მეცნიერულ ურთიერთობას ღრმა ფესვები აქვს. ქართველთა ურთიერთობა საზღვარგარეთის კულტურის მოღვაწეებთან ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან დაიწყო. ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში მოხსენიებულნი არიან უცხოური კულტურის მოღვაწეები, ხოლო უცხოურ წყაროებში — ქართველები. ეს კონტაქტები დღითიდღე ვითარდება.

**პარიზი.** 1948 წელს ნინო და კალე სალიბემა დააარსეს ქართველოლოგიური ჟურნალი „ბედი ქართლისა“, რომელიც 1957 წლამდე ქართულ ენაზე გამოდიოდა.

1957 წლიდან ჟურნალი გახდა სამეცნიერო, გადიდა მისი ფორმატი. ყოველწლიურად გამოდიოდა 360-გვერდიანი ნომრები ძირითადად ფრანგულ ენაზე. ამავე დროს მასში იბეჭდებოდა სტატიები გერმანულ, ინგლისურ, იტალიურ ენებზე.

კალისტრატე სალიას ჟურნალის ტრადიციების გაგრძელების საქმეს სათავეში ჩაუდგნენ ქართველი ხალხის დიდი მეგობარი აკადემიკოსი ჟორჟ დიუმეზილი და პარიზში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე გიორგი შარაშიძე. 1985 წელს გამოვიდა ამ ჟურნალის პირველი ნომერი სათაურით: „რევიუ დე ზეტიუდ ევოროპენ ე კოკაზიენ“ (ქართული და კავკასიური ეტიუდების ჟურნალი).

ამჟამად ჟურნალს ხელმძღვანელობს პროფესორი გიორგი შარაშიძე.

სორბონის უნივერსიტეტში დაარსდა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა.

**ჩიკაგო.** ჰოვარდ არონსონმა უნივერსიტეტში დააარსა ქართული ენის კათედრა. ნეშვილის უნივერსიტეტში მუშაობს ალის ქარმაილ ჰარნი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწეობენ სხვა ქართველოლოგებიც:

**ვაშინგტონში,** ჯორჯ მესონის სახელობის უნივერსიტეტში, მუშაობს დი ენ ჰოლისკი.

**პოვარდის უნივერსიტეტში** — პროფესორი ლუის სოლანო;

**კალიფორნიის უნივერსიტეტში** — პროფესორი ვანტანგ ჯობაძე;

**ოქსფორდის უნივერსიტეტში** — ნოელ პოლკი;

**ტუკსანის უნივერსიტეტში** — კიმ ბრეთვიტი.

**კვებეკში** (კანადა) მოღვაწეობს ქართველოლოგი პოლ ფედვიკი.

**ენა** (გდრ) ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტისა და თბილისის უნივერსიტეტის საერთო ხელმძღვანელობით გამოდის ქართველოლოგიური ჟურნალი „გეორგია“. მისი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარეა ენის უნივერსიტეტიდან პროფესორი ჰაინც ფენრიხი და თბილისიდან — პროფესორი მარია ლორთქიფანიძე.

**მიუნხენის უნივერსიტეტში** ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას ზელმძღვანელობს პროფესორი იულიუს ასფალგი. იგი აგრეთვე კითხულობს ლექციებს ძველ ქართულ ლიტერატურაში. იულიუს ასფალგს დიდი შემოქმედებითი კონტაქტები აქვს დამყარებული ქართველ მეცნიერებთან.

გერმანიაში ნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე:

**ბერლინის უნივერსიტეტში** — შტეფი იუნგერ-ხოტივარი, არჩილ ხოტივარი, კრისტინაე ლინტენფელდი, ერნსტ ბადშტუბნერი, ჰუბერტ ფენზენი, ედიტ ნოიბაუერი;

**შალეს უნივერსიტეტში** — ჰაინრიხ ნიკელი;

**იტცეპოში** (ჰამბურგთან ახლოს) — გამოცემილობა „საქართველოს“ დირექტორი ნიკოლოზ ჯანელიძე;

**ოლდენბურგის უნივერსიტეტში** — ვინფრიდ ბოედერი;

**ბონის უნივერსიტეტში** — კარლ ჰორსტ შმიდტი;

**საარბრიუკენში** (გფრ) — მარტინ ბუხჰორნი;

**დუისბურგში** მოღვაწეობს თურქი ქართველოლოგი ბაქირ ბაიყურთო.

მარჯორი და ოლივერ უორდრობების ტრადიციებს ინგლისში ბევრი ქართველოლოგი აგრძელებს.

**ლონდონის უნივერსიტეტში** მუშაობენ — დავით მარშალ ლანგი, ქეთრინ ვივიანი, სტივენ ჯონსი, დონალდ რეიფილდი, ჩარლ დოვსეტი;

**ბირმინგემში** — ნევილ ბერძოლი;

**ბულში** — ჯორჯ ჰიუიტი;

**ედენბურგის უნივერსიტეტში** (შოტლანდია) — რობერ სტივენსონი;

**გლაზგოში** — რობერტ ჰარსონი.

ბელგიაში ქართველოლოგიას საფუძველი ჩაუყარა პროფესორმა პოლ პეტერსმა.

მას კავშირი ჰქონდა აკადემიკოს კორნელი კეკელიძესთან, რომელიც კონსულტაციებს აძლევდა.

**ლუვენის უნივერსიტეტში** მოღვაწეობს პოლ პეტერსის მოწაფე, მისი საქმის გამგრძელებელი ჟერარ გარიტი, ჟურნალ „მუზონის“ დირექტორი. იგი სისტემატურად აქვეყნებს ნაშრომებს ქართული ლიტერატურის საკითხებზე.

ნაყოფიერად მუშაობს აგრეთვე ჟერარ

გარიტის მოწაფე, პროფესორი ვან მარმელ ესბროკი, რომელიც ნშირად, ქვეყნებს გამოკვლევებს ქართული მწერლობის მნიშვნელოვან საკითხებზე.

ქართველოლოგიაში მუშაობს აგრეთვე პროფესორი ე. ლაფონტენი;

**ვიტონში** — ქართული ლიტერატურით დაინტერესებულნი არიან მწერლები: ჟორჟ ბუიონი და ანდრე გლოდი. ჟორჟ ბუიონმა გამოსცა წიგნი „საქართველო — ოქროს საწმისის ქვეყანა“, რომელშიც მას განხილული აქვს ქართული ლიტერატურის განვითარების გზები ძველი დროიდან დღემდე.

**ლუქსემბურგში** — მოღვაწეობს ქართული კულტურის დიდი მეგობარი, მწერალი და მეცნიერი — როზმარი კიფერი, რომელიც ორჯერ იყო საქართველოში. მან მგზნებარე სტატიები და ნაშრომები მიუძღვნა მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის ქართველ მწერლებს.

აღსანიშნავია აგრეთვე ლუქსემბურგის საერთაშორისო ჟურნალის „ნუველ ევროპის“ მთავარი რედაქტორის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის მიმომორინას დანტერესება ქართული ლიტერატურით.

**ციურიხი** (შვეიცარია). პროფესორმა კიტა ჩხენკელმა დააარსა იქ ქართველოლოგიური ცენტრი, უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა ქართული ენის კათედრა და საფუძველი ჩაუყარა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას. მანვე გამოსცა ორტომიანი „ქართული ენის შესავალი“ და შეადგინა ქართულ-გერმანული ლექსიკონი.

დღეს კიტა ჩხენკელის საქმეს აგრძელებენ მისი მოწაფეები: ლეა ფლური, იოლანდა მარშევი და რუთ ნოიკომი. მათ შესანიშნავად იციან ქართული ენა და ლიტერატურა.

იტალიაში ნაყოფიერად მუშაობენ ცნობილი ქართველოლოგები:

**ვენეციის უნივერსიტეტში** — ლუიჯი მაგაროტო;

**მილანის უნივერსიტეტში** — ნინო ყაუხჩიშვილი, ჯორჯ ძიფერი, ერიდანო ბასარელი...

**მადრიდის უნივერსიტეტში** (ესპანეთი) — დომინგე მატეო;

**ბილბაოს უნივერსიტეტში** — პროფესორი ხაბიერ კინტანა, ენრიკე უნდიანო;

**ტოკიო** (იაპონია) — რიოჰეი კონიამა, ქართული წიგნების გამომცემელი, ქართული კულტურის პროპაგანდისტი, ოტანო ფაუსი, იაპონურ ენაზე ვეფხისტყაოსნის გამომცემელი.

**ვარშავის უნივერსიტეტში** (პოლონეთი) მუშაობენ ქართველოლოგები იან ბრაუნი და იეჟი ზაგურსკი;

**სოფიაში** (ბულგარეთი) — ივანე ბიწაძე, ლილიანა სტიფანოვა;

**პრადში** (ჩეხოსლოვაკია) — ვაცლავ ჩერნი, იარომირა ნელდა;

**ბუქარესტში** (რუმინეთი) — ვიქტორ კერნაჩი;

**ბუდაპეშტში** (უნგრეთი) — ლაიოშ ტარდი, მარტინ იშტვანოვიჩი, ნანა სალაძე.

დიდ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევიან უცხოელი მეცნიერები და მწერლები ქართული კულტურის მნიშვნელოვან საკითხებზე. ქართველოლოგთა რიცხვი საზღვარგარეთ თანდათანობით მატულობს.

ქართველოლოგიური ცენტრები ნაყოფიერად მუშაობენ სსრ კავშირის რიგ ქალაქებში.

— აქედან ჩვენ უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ველოსიპედისტი უთუოდ ჩარლინგტონ-ჰოლის საკარმიდამოს მიმართულებით წავიდოდა. ეს, თუ არა ვცდები, გზასთან ახლოს უნდა იყოს. კიდევ რისი თქმა გსურთ?

— მეტი არაფრისა, მისტერ ჰოლმს, ამ ამბავმა ძალიან ამაღელვა. მე მანამდის ვერ დაფიქრებდი, სანამ რჩევას არ მომიცემო.

ჰოლმსი მცირე ხნით გაჩუმდა.

— ხომ ვერ მეტყვი, თქვენი საქმროსად მუშაობს?

— კონვენტრში, კომპანია „მილენდელექტრიკში“.

— იქნებ იგი გზვერავთ?

— რას ამბობთ, მისტერ ჰოლმს. არავითარ შემთხვევაში. მე მას კარგად ვიცნობ.

— სხვა თაყვანისმცემლები თუ გყავთ?

— სანამ სირილს გავიცნობდი, კი, იყო რამდენიმე პიროვნება.

— შემდეგ?

— შემდეგ ეს საზიზღარი ვუღლი გამოჩნდა. თუ შეიძლება, თაყვანისმცემელი უწოდოს მას კაცმა.

— სხვა არავინ?

ლამაზი ქალი უხერხულად შეიშმუშნა: — შეიძლება ეს ჩემი შეხედულებაა. მაგრამ ხანდახან მგონია, რომ მისტერ კარრიუტერსი ჩემს მიმართ გულგრილი არ უნდა იყოს. ჩვენ ხომ მთელი დღეები ერთად ვართ. ის ნამდვილი ჯენტლმენია. ნებისმიერი ქალიშვილი უსიტყვოდ მიხედება ამას.

ჰოლმსი მოიღუწა:

— მას დიდი შემოსავალი აქვს?

— დიახ, ის საკმაოდ მდიდარია.

— სახლიდან ხშირად დადის ქალაქში?

— კვირაში ორ-სამჯერ. ყველაფრით უზრუნველყოფილია. მხოლოდ სამხრეთაფრიკული ოქროს საბადოების აქციებით არის დაინტერესებული.

— მისის სმიტ, გთხოვთ ყველა წვრილმანიც კი დაუყოვნებლივ შემატყობინოთ. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაკავებული ვარ, მე მაინც თავს მოვუყრი ცნობებს თქვენი საქმის შესახებ. თანაც გაფრთხილებთ: ჩემი ნებართვის გარეშე არავისთან სიტყვა არ დაძრათ. ნახვამდის, ვიმედოვნებ, ახლო მომავალში თქვენზე კარგ ამბებს შევიტყობ.

ჩვენი კლიენტი წავიდა.

— რას იზამ. ასეთ ლამაზ ქალიშვილს რომ მოტრფილები ჰყავდეს, გასაკვირი არაა, — თქვა ჰოლმსმა და ჩიბუხს მოუჭიდა.

— ესე იგი, მათგან რომელიღაცამ გადაწყვიტა, ქალიშვილს უდაბურ ადგილას ველოსიპედით უთვალთვალოს. ჩემო უოტსონ, ამ საქმეში არის საინტერესო დეტალები. და ამაზე მოგვიხდება დაფიქრება.

— თქვენ, ალბათ, იმის თქმა გსურთ, უცნობი პიროვნება მაინცდამაინც გზის ერთ უბანზე რატომ ხვდება ქალიშვილს! ასეა ხომ?

— სავსებით სწორია. პირველყოფლისა, ჩვენ უნდა გავიგოთ, ვინ ცხოვრობს ჩარლინგტონ-ჰოლში? გავარკვიოთ, რა კავშირში არიან ერთიმეორესთან მისტერ კარრიუტერსი და ვუღლი? რატომ დაიწყეს ასეთი გულმოდგინებით რაღაც სმიტის ნათესაეების ძებნა? ერთი რამ ვერ გამიგია: რისთვის უხდინან მისის სმიტს ჩვეულებრივზე ორჯერ მეტ თანხას? მისტერ კარრიუტერსს, რომელიც სადგურიდან ექვსი მილის დაშორებით ცხოვრობს, დასახარული. იხ. „დროუზა“ № 1



არსთურ კონან ლოილი  
**ველოსი-  
ველოსი  
ქალი**

რატომ არა ჰყავს ცხენი? კი, ჩემო უოტსონ, ეს ძალიან საოცარი ამბავია.

— ჰოლმს, ნუთუ ფორნემში გაემგზავრებთ?

— არა, ძვირფასო უოტსონ, იქ თქვენ წახვალთ. ბოლოსდაბოლოს, ეს შეიძლება უბრალო ინტრიგაა. ამისთვის მნიშვნელოვან საქმეს ვერ გადავდებ. ორშაბათს დილაღრიან ფორნემში გაემგზავრებით. ჩარლინგტონ-ჰოლის ახლოს ჩასაფრდით. უთვალთვალოთ და იმოქმედოთ თქვენი შეხედულებისა მიხედვით. ვაიგეთ, ვინ ცხოვრობს ჩარლინგტონ-ჰოლში. ამ კითხვებზე პასუხის ვასაცემად რაიმე საიმედო ფაქტები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. დაბრუნებისას დაწვრილებით მიაპხეთ ყველაფერი. ახლა კი, უოტსონ, ენას კბილი დავაჭიროთ.

მისის სმიტისაგან ვიცოდით, რომ ორშაბათს უკან მომავალი მატარებელი ვატერლოს სადგურიდან ცხრა საათსა და ოცდაათ წუთზე გამოდიოდა. ამიტომაც სახლიდან ადრე, ცხრა საათსა და ცამეტ წუთზე გამოვედი. ფორმენის სადგურზე ამიხსენს, სად მდებარეობდა ჩარლინგტონ-ჰოლი. ჰოლს ადგილად მივაგენი, მას ერთი მხარიდან უდაბური ადგილები ეკრა. მეორე მხარეს კი ურთხელის ცოცხალი ღობე გასდევდა. აქედან იწყებოდა პარკი, რომელშიც უმარავი ხე ხარობდა. პარკის მთავარი შესასვლელი ქვებით მოქეჩილი. ორივე შემთხვევაში ბილიკა შევნიშნე. ჩემი სამალავიდან სახლი არ ჩანდა. გარემო ერთიანად გატილებულიყო.

ვაკე ადგილზე კურდღლისცოცხა ჰყავდა. დაბუჩქული კურდღლისცოცხა ალაგ-ალაგ პატარა კუნძულებით გამოიყურებოდა. გაზაფხულის მზე სხივებად იფრქვეოდა.

მე ერთ-ერთ ასეთ კუნძულზე „გავმადრდი“. აქედან უკვე კარგად ჩანდა კარმიდამო და გზის ორივე მხარე.

გზაზე არავინ ჩანდა. მე რე უცებ ველოსიპედისტი გამოჩნდა — სადგურისკენ მიდიოდა. შავი კოსტუმი ეცვა. შავი წვერიც გამოვარჩიე. ველოსიპედისტი ჩარლინგტონ-ჰოლის მამულის დასაწყისში ჩამოხტა და ურთხმელეებს შორის დაიშალა.

თხუთმეტი წუთის შემდეგ სადგურიდან მომავალ მისის სმიტსაც მოვკარი თვალი. ჩარლინგტონ-ჰოლს რომ მიუახლოვდა, ქალმა უკან მოიხედა. იმავე მომენტში ის კაციც გზაზე გამოვიდა და სასწრაფოდ შეჯდა ველოსიპედზე. გამოზომილი შუალედის დაცვით უკან მიჰყვა ქალს. ადამიანის ჭკაუნება არსად იყო. ჰორი-

ზონტზე მხოლოდ ორი ადამიანის ფიგურა ილანდებოდა: პირდაპირ მიმავალი კონტაგოზონა და წვეროსანი მდევარი, რომელიც ქალიშვილს ორასიოდე იარლით თუ იყო დაშორებული.

ქალმა უკან მოიხედა და სიჩქარეს უკლო. მამაკაცი იგივე გაიმეორა. ქალმა უცებ მამაკური და მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო: სწრაფად შემობრუნა ველოსიპედი და სწრაფად წავიდა უკან. მდევარმაც სწრაფად შემობრუნა ველოსიპედი და ასევე სწრაფად გატრიალდა უკან.

ქალმა ხელახლა შემოატრიალა ველოსიპედი და თავისი გზა გააგრძელა. თავი ამაყად აეწია, თითქოს მდევრის დანახვაც კი აღარ უნდოდა. მდევარიც ასევე მოიქცა. ეს კია, მათ შორის მანძილი არ დარღვეულა. მოსახვევში ორივე გაუჩინარდა.

მე სამალავი არ მიმიტოვებია და სწორედაც მოვიქეცი: კაცი უკან ბრუნდებოდა. იმ სახლის ეზო-კართან ცოტა შეყოვნდა. ველოსიპედიდან ჩამოვიდა. ხეების ქვეშ შეისვენა. მომეჩვენა, თითქოს ჰალსტუხს ისწორებდა. შემდეგ მოახტა ველოსიპედს და სახლის მიმართულებით მიმავალ ხევისისაკენ გაემართა. მე ღობისაკენ ვაიქეცი. ხეებში ჩამდგარი ტიუდიორის სტილის ძველი, ნაცრისფერი სახლი შევათვალიერე. ხევიანი მალაღ ბუჩქებით მთავრდებოდა. ასე რომ, ველოსიპედისტი მალე მხედველობიდან დაგვარგე.


ასე იყო თუ ისე, ჩემი გონიერებით კმაყოფილი ვახლდით. ფარნემში სასიამოვნო შეგრძნებით დავბრუნდი. უძრავ ქონებათა განმეგებელმა ადგილობრივმა აგენტმა ჩარლინგტონ-ჰოლის მკვიდრზე ვერაფერი ცნობები ვერ მომაწოდა. სამაგიეროდ მირჩია, ფირმა პელ-მელისათვის მიმემართა.

ფირმის წარმომადგენელი ხორცმცხსმული ცნობისმოყვარე კაცი აღმოჩნდა. ჩემს თხოვნაზე, რომ ჩარლინგტონ-ჰოლი დამეჭირავენინა, უარი მივიღე. თურმე სახლი ერთი თვის წინ, ხნეირ, მოკრძალებულ ჯენტლმენს, ვინმე უილიამსონს, აეღო იჯარით.

სხვა ვერაფრის გაგება ვერ მოვახერხე, რადგან ფირმა თავის საქმიან ოპერაციებს მკაცრ საიდუმლოებაში ინახავს.

სალამოს შერლოკ ჰოლმსმა გულდასმით მოისმინა ჩემი ნაამბობი. მისგან შექებას

(გაზრძალება 88-16-17-18 გვ.)



# დ რ მ ჩვენი მასწავლებელია

„მიუახლოვდით ღმერთსა და მოუახლოვდით მამას“

(ნაბობი 4,8)

დრო ჩვენი მასწავლებელია. იგი ნათლად გვიჩვენებს, რა ვაკეთოთ და რა ვაფუძვლოთ ჩვენი მიზნით. თუ ყოველივეს საღი თვალთ შევხედავთ, უფრო კარგად ვაგვიგებთ სიხარულისა და მწუხარების ფასს, უფრო მეტად ვივარძნობთ ღვთის ძალას, ადამიანთა ტკივილსა და უძლურებას, საკუთარ სისუსტეს და სწორ გზაზე დავდგებით.

ჩვენი წარსული საწინდარია ჩვენი აწმყოსი და მომავლისა. ამიტომაც უნდა ვიცოდეთ იგი.

საქართველოს ეკლესიის ისტორია პირველი საუკუნიდან, მაცხოვრის ჯვარცმის დღიდან იწყება. იესო ქრისტეს წამებას ესწრებოდნენ მცხეთელი ებრაელები ელიოზი და ლონგინოზი, რომელთაც ღვთის კურთხევით ერგოთ ღვთისმშობლის ხელით ნაქსოვი კვართი უფლისა ჩვენისა. ელიოზმა ეს უდიდესი სიწმიდე საქართველოში ჩამოიტანა. მცხეთაში მოსულს თავისი და, სიდონია, მიეგება, რომელმაც გულში ჩაიკრა კვართი და მსწრაფლ სული განუტყუა. მიცვალებული ვერაფრით განაშორეს მაცხოვრის სამოსს და იძულებულნი გახდნენ, მასთან ერთად დაეფლავებინათ იგი.

აქედან დაიწყო პირველი ქადაგება ჩვენი იესო ქრისტეს გამო.

სიდონიას საფლავზე მერე ლიბანის ნაძვი ამოვიდა, რომელიც IV საუკუნეში სვეტიცხოვლის სასწაულით იდიდა.

კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი დღემდე მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარშია დარჩალებული.

როგორც ვგამცნობს წმიდა დამოციემა მაცხოვრის ადგილის შემდეგ, სულთმოფენობას, მოციქულებს და ღვთისმშობელს უფლის მადლით და სულწმიდის ძალით მიეცათ უნარი ქადაგებისა და სხვა და სხვა ენაზე მეტყველებისა. კრებაზე, რომელზეც უნდა გადაეწყვიტათ, თუ ვინ რომელ ქვეყანაში წავიდოდა საქადაგებლად, წილისყრით იბერია ღვთისმშობელს ერგო. ამიტომაცაა საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი, ღვთისმშობელია ჩვენი მფარველი, ჩვენი დიდი დიასახლისი. მაგრამ, რადგან მოახლოებული იყო მისი მიძინება, მაცხოვრის ბრძანებით ყოვლადწმიდა მარიაში იერუსალიმში დარჩა; მის ნაცვლად კი ჩვენთან წამოვიდნენ მოციქულები ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი. მათ ჩამოიტანეს ღვთისმშობლის ხატი, იქადაგეს სახარება და ქრისტეს რჯულზე მოაქციეს მრავალნი.

სვიმონ კანანელი საქართველოში გარდაიცვალა და აქვე დაკრძალეს. მისი საფლავი დღემდე დაცულია სოხუმთან, ახალი ათონის ახლოს, მდინარე ფსირტის ქვაბულში.

სახელმწიფო რელიგიად კი ქრისტიანობა IV საუკუნეში გამოცხადდა მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას დროს, მოციქულთა სწორის, წმინდა ნინოს ქადაგების ძალით და მადლით. წმიდა ნინო იყო კაბადოკიელი, წარმოშობით ქართველი. მას გამოეცხადა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, მისცა ვახის ჯვარი და დალოცა ამ უდიდესი მისიის შესასრულებლად; წმიდა ნინო თავისი თმით შეკრა ჯვარი ვახისა, რომლის ძალითაც დაამხობა ამ უმანკო ასულმა კერპნი: არმაზი, ზადენი, ვაცი და ვაი, მოდრიკა მოუდრეკი ქედი ჩვენი წარმართი წინაპრებისა და ქრისტეს მცნების მორჩილნი ჰყო იგინი.

ჩვენი მცველი და მფარველი, წმიდა ნინოს ნაწინავე შეკრული, ღვთისმშობლის ბოძებული ჯვარი ვახისა თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარშია დაცული. ხოლო „სულისა წმიდისა ქნარის“, დედა ნინოს ნეშტი კახეთის მადლიან მიწაში, ბოდბის წმიდა გიორგის ეკლესიაში განისვენებს.

იმ ადგილზე, სადაც პირველ საუკუნეში კვართი იყო დაფლული, პირველმა ქრისტიანმა მეფემ, წმიდა მირიანმა ააგო პირველი ტაძარი — ჩვენი სათაყვანებელი სვეტიცხოველი და სათავე დაუდო ქრისტიანული სახელმწიფოს საეკლესიო ორგანიზაციის, რომლის პირველ ეპისკოპოსად იკურთხა იმპერატორ კონსტანტინე დიდის მიერ გამოგზავნილი იოანე.

საქართველოს ეკლესია შევიდა ანტიოქიის სამოციქულო ეკლესიის იურისდიქციაში, რადგანაც ანტიოქიის კათედრა იყო უძველესი, ხოლო მისი საკეთმპყრობელი ითვლებოდა სრულიად აღმოსავლეთის მამამთავრად.

V საუკუნეში წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალის დაუღალავი მეცადინეობით საქართველოს ეკლესიას ანტიოქიის პატრიარქის, პეტრე II კნაფის (464-490 წწ.) დროს მიენიჭა ავტოკეფალია — დამოუკიდებლობა.

სვეტიცხოველში აკურთხეს საქართველოს პირველი კათოლიკოსი პეტრე და მისი თორმეტი მღვდელმთავარი. თითქოს სიმბოლურია, თორმეტი მოციქულის სახელზე აგებულ ტაძარში თორმეტი ეპისკოპოსის თავად იქნა დადგენილი პეტრე. მყარ საძირკველზე დაფუძნებული ქართული ეკლესია სულ მალე კიდევ უფრო განმტკიცდა და გაძლიერდა, რაზეც თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ უკვე VI საუკუნეში ჩვენთან 33 საეპისკოპოსო იყო.

ეკლესიის დამოუკიდებლობამ ხელი შეუწყო ეროვნული სულის განმტკიცებას და ღვთისგან ბოძებული სულიერი მადლის გამოვლენას.

საფუძველი და წყარო ყოველივე სიკეთისა არის ღმერთი. ეკლესიის დანიშნულებაა, დაეხმაროს პიროვნებს უფალთან მიმავალი გზის პოვნაში და ცხოვრების სწორი გზის არჩევაში. ეს კი ყოველად აუცილებელია ჩვენს მეტად რთულ დროში, როცა მოვლენები კონსერვაციის სისწრაფით იცვლება, როცა მსოფლიო სასუსეა წინააღმდეგობებით.

„სიბრძნით აღემართენით“, აი, უკვე თითქმის ორი ათასი წლის მანძილზე მოგვიწოდებს სახლი ღვთისა. უნდა აღვივლოთ სიბრძნით, რათა შევძლოთ კეთილისა და ბოროტის გარჩევა, შევძლოთ ცდუნებათა დაძლევა და ჩვენი გულის მომზადება ღვთაებრივი ნიჭის მისაღებად, მადლის შესაცნობად.

მაგრამ სიბრძნე ორგვარია: მიწიერი და ღვთაებრივი. რომლით შევიმოსოთ?

მიწიერი სიბრძნე უმეტესწილად ადამიანთა ქვენა გრძობებითაა ნაყარნახევი, ანგარებით, ამპარტავნობით ნიშანდებული. ამ სიბრძნით მოპოვებული ბედნიერებაც მოჩვენებითია, ფუჭი და წარმავალი.

სულ სხვაგვარია ჭეშმარიტად ბრძენი ადამიანის ხედვა და ცხოვრების წესი. ასეთი პიროვნებისთვის არ არსებობს სხვისი მწუხარება და სიხარული. ყოველივეს განიცდის, როგორც საკუთარს. მისთვის არ არსებობს უმნიშვნელო მოვლენები, ყველაფერში ღრმა აზრს და ღვთის განგებებს ხედავს. ბრძენი სრულყოფის კიბეზე აღის და სხვათაც ეხმარება ზესვლაში. ეს ის კიბეა, წმ. პეტრე მოციქულმა რომ გვიჩვენა: „მოთმევით და ყავთ სარწმუნოებასა შინა თქუენსა — მეცნიერებაი, მეცნიერებასა შინა — მოთმინებაი, მოთმინებასა შინა — ღმრთისმსახურებაი, ღმრთისმსახურებასა შინა — ძმათ მოყვარება და ძმათმოყუარებასა შინა — სიყუარულ“ (2 პეტრე 1,5-7). სიყვარული უნდა ვისწავლოთ ერთმანეთისგან, უნდა გამოვამტკიცოთ ურთიერთგაგების უნარი, ფართოდ უნდა გავაღოთ გულის კარი და გავხსნათ ჩვენი შინაგანი სამყარო. ჩვენ კი საპირისპიროდ ვიქცევით; სულ უფრო ვიკეტებით ეგოიზმის ნაპუჭში, ამიტომაც ცუდად გვესმის ერთმანეთის. იგივე ხდება თაობათა შორისაც.

ყველაფერი მაინც ოჯახიდან იწყება.

ოჯახი არის ის გარემო, სადაც ჩვენი ქვეყნის ხვლირდელი დღე ყალიბდება. ოჯახი მცირე სახელმწიფოა თავისი კანონებით მცხოვრები, სადაც არ შეიძლება იყოს ანარქია, არ შეიძლება იყოს ლაღატი.

ქმარი თავია ოჯახისა, მუშურყველი ავტორიტეტი,

იმედი და საყრდენი როგორც ცოლის, ისე შვილებისათვის.

ქალი, უპირველეს ყოვლისა, დედაა, მშვენიერად ცხოვრება, სიცოცხლის მიმნიჭებელი, ახალი ადამიანისათვის.

სამწუხაროდ, ხშირად გვხვდებით ისეთი დედები, რომელნიც გაურბიან თავის მოვალეობას, სიხარულს ოჯახის გარეთ ეძებენ, შვილებზე ნაკლებად ზრუნავენ და ცდილობენ, ნებისმიერი გზით შეინარჩუნონ უზრუნველყოფა. ამის მისაღწევად საშინელ დანაშაულსაც არ ერიდებიან — უდროოდ უსპობენ სიცოცხლეს ნაყოფს. ეკლესია ღვთის კანონზე დაყრდნობით ერთხელ კიდევ მოაგონებს ყველას, რომ ეს არის უდიდესი დანაშაული ღვთის, ერისა და თვით სიცოცხლის წინაშე. ყოველი ჩანასახი მისი განვითარების პირველი დღეებიდან უკვე დაამიანი. ამიტომაცაა იგი ისეთივე ძვირფასი და გასაფრთხილებელი, როგორც ნებისმიერი პიროვნება, ამიტომაცაა მისი მოსპობა კაცის მკვლელობის ტოლფარდი.

გასთვდეთ, ცოდვა დაუსჯელი არ რჩება ამ სოფლად. უშუალოდ რჯულის დამრღვევთ ან მათ შთანმოშავლთ მოვკითხებათ იგი უცილოდ. დაინდეთ ისინი, მოჩვენებითი კეთილდღეობისათვის სუ შეიწირავთ მათ ბედნიერებას და ნურც საკუთარ თავს განუმზადებთ მარადიულ სატანჯველს, რადგან ღვთისა და ერის წინაშე ჩადენილ ამ უმძიმეს ცოდვას ძნელად თუ ვინმე გამოისყიდის.

არ შეიძლება, გულისტკივილით არ აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ბოლო დროს სულ უფრო მატულობს დარღვეულ ოჯახთა რიცხვი. მიზნური კვლეურწმუნობაა. ცოლქმრულ კავშირს არა აქვს რელიგიური ხასიათი. ისინი მხოლოდ სიამოვნებას მიეღობენ და ავიწყდებთ, რომ ოჯახი არის მოწოდება, რომლის წმიდა ვალდებულებებიც მათ ღირსეულად უნდა აღასრულონ, რადგან ვალდებულებების გარეშე სიყვარული ცხოველურ ყოფას უახლოვდება. ავიწყდებთ, რომ ისინი არიან არა მხოლოდ წუთისოფლისთვის გაჩენილნი, არამედ მარადიული ცხოვრებისთვის მოწოდებულნი, ამიტომაც ხელი უნდა შეუწყონ ურთიერთს ნაკლოვანებათა დაძლევისა და განწმენდაში, რათა ერთმანეთის საშუალებით და ამავე დროს ერთად მოიპოვონ სასუფეველი ღვთისა.

თუ გვსურს, ბედნიერი ვიყოთ, უნდა ვისწავლოთ და ჩვენს შვილებსაც ვასწავლოთ მოთმინება, შენდობის უნარი, თანაგრძნობა, ერთგულება, სიმატლის გზით სიარული, ცოდნის სიყვარული.

ზოგჯერ ჰგონიათ, რომ ცოდნა და რწმენა ერთმანეთს უპირისპირდება. სინამდვილეში კი არ არსებობს ცოდნა, რომელიც რწმენასთან არ იყოს დაკავშირებული, და ასევე არ არსებობს რწმენა, რომ ცოდნაზე არ იყოს დამოკიდებული (კლომენტ ალექსანდრიელი).


მორწმუნე, გაუნათლებელი ადამიანი მონაა ღვთისა, მორწმუნე და მცოდნე კი — მეგობარი უფლისა. მხოლოდ მეგობარი უფლისა, — მორწმუნე, კულტურული და განათლებული პიროვნება შეიძლება ადლო ადლო ჩვენს რთულ დროს, შეძლებს, სასიკეთოდ მოიხმაროს მეცნიერებისა და ტექნიკის დღევანდელი მიღწევები. მხოლოდ ასეთი ადამიანებისგან შემდგარი საზოგადოება დასძლევს გლობალურ საშიშროებას, მთელ კაცობრიობას მოსპობით რომ ემუქრება.

ამიტომაც დიდია ეკლესიის ძალა და გავლენა მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. გვწამს, ღვთისა და კაცის კეთილი ნება ამ საერთაშორისო პრობლემას დადებითად გადაწყვეტს, — გადაწყვეტს უპირველეს ყოვლისა, სამართლიან ურთიერთობისა და სიკეთის კანონებზე დაყრდნობით, რის საფუძველსაც რწმენა იძლევა.

ამიტომაც მოგვიწოდებს ანგელოზთა საგალობელი:

„დიდება მალათა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სთონება“.

*წილი II*  
სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი



ილია II  
სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი

# მსოფლიოს ქანთვანაოლოგოიკი ზანსკანი

მსოფლიო  
ზოგადი







თბილისის მკეთების ტაძარი

ფოტო თარხან არჩვაძისა

# თბილისის მეტეხის ტაძარი

მეტეხის ტაძარი, შეიძლება ითქვას, თბილისის უმნიშვნელოვანესი და ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ძეგლია. დიდი მხატვრული შთაბეჭდილება, რომელსაც ის ახდენს, მიეწერება არა მარტო მის „საკუთარ“ თვისებებს, არამედ მთელ ხუროთმოძღვრულ ანსამბლს. ამ ანსამბლში კი მასთან ერთად შედის ძველი ნარიყალა და საკვირველი სილაამაზის ბუნებრივი გარემო — ციცაბო კლდეები მტკვრის მარცხენა ნაპირზე. მარჯვენა ნაპირზე თვითონ ის მთა, რომელზედაც დედაქალაქის ციტადელია აღმართული.

ეს განუყოფელი სურათია და ძველი თბილისის დაუფიქრარ სილუეტს ქმნის. ძველისძველი ტრადიციის თანახმად, მეტეხი მიჩნეული იყო საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთ უძველეს ეკლესიად. ვახუშტი ბატონიშვილი მის აგებას ვახტანგ გორგასალს, ე. ი. V საუკუნის II ნახევარს მიაწერდა: „იტყვიან ამის აღშენებას გორგასლისასა“.

გადმოცემისავე თანახმად, აქ უნდა ყოფილიყო დაკრძალული ვარსკენ პიტიახშის მძეულე, ქრისტიანობისთვის წამებული შუშანიკი. საკურთხევლის მეზობელ სათავსში მისი საფლავის ძეგლიცაა. მაგრამ შემთხვევითი არ არის, რომ ვახუშტი ტაძრის მამულებლის ვინაობას მაინც სავსებით დარწმუნებით ვერ მიგვითითებს: „იტყვიან“ გორგასალის აშენებულიაო.

მართლაც, არსებული ისტორიული წყაროები ასეთ ადრინდელ ხანაში ტაძრის აგების, ან შუშანიკის დაკრძალვის შესახებ არაფერს გვეუბნებიან. იოანე საბანის ძის თხზულების — „აბო ტფილისის მარტვილობის“ მიხედვით, რომელიც VIII საუკუნის დასასრულის ამბავს მოგვითხრობს, ახლანდელი მეტეხის ადგილას, ქალაქის არსებობის პირველდროიდანვე, ყოფილა სასაფლაო — „სავადებელი“. ეს უბანი ძველთაგანვე ისინი სახელით იყო ცნობილი.

მარჯვენა ნაპირთან, ე. ი. საკუთრივ ქალაქთან, მას აკავშირებდა ხიდი, რომელზედაც ჭვარი ყოფილა აღმართული. აქ ეკლესია რომ არსებულებოდა, მას აუცილებლად მოიხსენიებდნენ, თხზულებაში კი მის შესახებ არაფერია ნათქვამი. ეს არ ნიშნავს, რომ ახლანდელი ეკლესიის ადგილას უფრო ძველი საეკლესიო ნაგებობა არ მდგარა: პირიქით, მისი არსებობა უეჭველია, ეს წერილობითაც არის დადასტურებული.

XI საუკუნეში ისანი უკვე ქალაქის უბანია და მას საკუთარი გალავანი აქვს შემორტყმული. სახელწოდება „მეტეხი“ წერილობით წყაროებში პირველად XII საუკუნის ამბებთან დაკავშირებით გვხვდება. მატიანეების თანახმად, გიორგი მესამისა და თამარის დროს უკვე არსებობდა „მეტეხთა ღვთისმშობლის ტაძარი“ (სახელწოდება ამ ფორმით იხმარება, მრავლობითში) და სამეფო სასახლე. სასახლე, უეჭველია, მას შემდეგ უნდა აშენებულიყო, რაც დავით აღმაშენებელმა 1122 წელს თბილისი გაათავისუფლა და სრულიად საქართველოს დედაქალაქად აქცია. სასახლე კედლის მხატვრობით ყოფილა შემკული.

თამარ მეფის ისტორიკოსის ბასილის

ცნობით, შამქორის ომის დროს (XII საუკუნის ბოლოს), თამარ მეფემ, გაისტუმრა თუ არა ლაშქარი მტრის დასახვედრად „წარხანდა სამოსელნი ფერხთანი და ფერხივ შიშულითა ფერხითა მიიწია ტაძარსა ღმრთისმშობლისასა მეტეხთა, და წინაშე ხატსა მას წმიდასა მღებარე არა დასცხრებოდა ცრემლითა ვედრებად, ვიდრემდის სრულ ყო ღმერთმან სათხოველი მისიო“, ე. ი. სანამ ქართველთა ლაშქარმა არ სძლია მტერს.

ამის შემდეგ ისანი და მეტეხი მატიანეებში კვლავ ჩნდება თამარის ასულის რუსუდანის დროს. 1235 წელს, როდესაც თბილისის მონღოლები შემოესივნენ, ციხისთავმა მუხასქემ (დედოფალი იმერეთს გადავიდა და ციხისთავი ქალაქის დასაცავად იყო დატოვებული) „რაჟამს სცნა მოახლოება თათართა, მოწუა სრულიად ქალაქი და თვით პალატი და ისანი; და ესრეთ მოხორდა ქალაქი ტფილისისა“. ამას გვამცნობს XIV საუკუნის მემკვიდრე ქამთაღმწერელი. მაშინ დაიღუპა მეტეხის ძველი ეკლესია, ყოველ შემთხვევაში, იმდენად დაზიანდა, რომ საფუძვლიანი „მეორედ აღშენება“ დასჭირდა.

ისნის სასახლე XIII საუკუნის შუა წლებში აღადგინეს, ულუ დავითის მეფობის დროს, ტაძარი კი 1278-1289 წლებში აღადგინა დიმიტრი თავდადებულმა (იმავე ქამთაღმწერელის ცნობით: „აღაშენა პალატსა შინა მონასტერი, ისანთა, საყოფელად მეტეხთა ღმრთისმშობელისა“).

მეტეხი ცენტრალურგუმბათოვანი ტაძარია. მოლიანად იგი X-XIII საუკუნეთა ქართული ხუროთმოძღვრების ხაზს აგრძელებს, მაგრამ ზოგი ნიშანდობლივი თავისებურებით გამოირჩევა. მისი გეგმა-გუმბათის დასაყრდნობი ოთხი ბოძით, აღმოსავლეთის სამი შვერილი ნახევარწრიული აფსიდით, მოწმობს, რომ აქ განმეორებულია მანამდის არსებული ეკლესიის მოხაზულობა (XIII საუკუნეში ასეთი გეგმის ეკლესიებს აღარ აშენებდნენ).

ფასადები უხვადაა მორთული ჩუქურთმებით. ისინი მრავალსაუკუნოვანი წესის თანახმად, განლაგებულია სარკმელთა საპირეებში, რელიეფურ ჯვრებში, კარნიზებზე. ადრინდელი მოტივია საკურთხევლის სარკმლის ქვეშ მოთავსებული, კუთხით დაყენებული, მოჩუქურთმებული კვადრატებიც.

აქ ჩნდება ახალი მოტივებიც. მაგალითად, ჰორიზონტალური სარტყლები, რომლებიც ფასადს ცალკეულ არეებად ჰყოფს. უჩვეულოა ისიც, რომ დასავლეთის ფასადი ძალიან მცირედ არის დანაწევრებული და ერთიან მძლავრ სიბრტყეს ქმნის. ქვაზე ნაკვეთი მორთულობა ოს-

ტატთა პროფესიულ დახელოვნებას კი მოწმობს, მაგრამ X-XII საუკუნეთა და XIII საუკუნის დასაწყისის ჩუქურთმებთან შედარებით დაწვრილწებულებას, მშრალი და ერთფეროვანია.

მეტეხის ტაძრის ბედი მომდევნო საუკუნეებში სახარბიელო არ ყოფილა.

XVIII საუკუნის პირველ ათეულ წლებში იგი მაინც მოქმედი ეკლესიაა, თუმცა ამავე საუკუნის ნახევრიდან, მაჰმადიანი მეფეების — როსტომისა და ვახტანგ VI-ის დროს, მეტეხი უკვე მიტოვებულია. მიტოვების უშუალო მიზეზი, მარდენის ცნობით (XVII საუკუნის 70-იანი წლები), მების დაცემა ყოფილა. მაგრამ ვახტანგ მეხუთემ იგი ეკლესიად კი არ აღადგინა, თოფის წაღლის საწყობი გამართა შიგ.

XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე ერეკლე პირველმა მეტეხის ციხე ეკლესიითურთ „მისცა სპარსთა“ და XVIII საუკუნის შუა წლებამდე იგი უცხოელთ ეპყრათ, ხან სპარსელებს, ხან თურქებს. მხოლოდ 1748 წელს შეძლო ერეკლე მეორემ მეტეხის ციხის დაბრუნება და ეკლესიის აღდგენა. ეს ამბავი — ერთი გმირული ეპიზოდთაგანი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა, ამბავი, რომელსაც დიდი ზნეობრივი მნიშვნელობაც ჰქონდა ქართველთათვის, მოთხრობილი აქვს რამდენიმე ქართველ ისტორიკოსს (პაპუნა ორბელიანი, თმან მდივან-ბეგი, იესე ოსეს ძე, ვახუშტი, დავით ბატონიშვილი). ნაამბობია, რომ ბრძოლა ხანგრძლივი და სასტიკი იყო. „აქათ ქალაქით იყო სროლა და იქით ციხით, რომ ყურთა ხმა აღარ ისმოდაო“ (პაპუნა ორბელიანი).

გამარჯვების აღსანიშნავად მეტეხის ეკლესიის კედელზე (სამხრეთ აფსიდზე) საგანგებო წარწერა ამოჰკვეთეს:


მეფემ ირაკლიმ ეს ციხე მტერსა წაართო ძალადო,  
აილო ჯვარი ქრისტესნი, წინ მიიძღურა ფარადო,  
დაიხსნა ეკლესიანი, ახლა აქვს საყდრის კარადო,  
ღვთის მოყვარეს ხელმწიფესა ასე სჭირს ამის  
გვარადო.  
ღმრთის სადიდებლად მეოხად მეფის ერეკლისაა.

ეკლესია ამოქმედდა. მას ძვირფასი ნივთები შეწირეს. აქვე დააარსეს სკოლა. უეჭველია, ასეთი თავგადასავლის შემდეგ ციხესაც და ეკლესიასაც შეკეთება დასჭირდებოდა. საუკუნის მიწურულში მეტეხმაც გაიზიარა თბილისის თავს დატეხილი უბედურება — აღა-მაჰმად-ხანის მიერ ქალაქის აოხრების დროს ისიც გაძარცვეს.

1801 წელს, მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის იმპერიას შეუერთდა, მეტეხის ძველმა ციხემ დაკარგა წინანდელი მნიშვნელობა. 1819 წელს იგი დაანგრიეს და მის მაგივრად საპყრობილე ააგეს.

1933 წლიდან, როცა საპყრობილე გაუქმდა, მის კორპუსებში ერთხანს საქართველოს ხელოვნების მუზეუმი აფარებდა თავს. შემდეგ ეს კორპუსებიც დაინგრა, იქაურობა გაიწმინდა. 1967 წელს კი აქ დაიდგა ვახტანგ გორგასალის ძეგლი (მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი, არქიტექტორები თეიმურაზ კანდელაკი და დავით მორბედაძე).

ამ დაზიანებათა მიუხედავად, მეტეხის ტაძარი ინარჩუნებს მხატვრული და ემოციური ზემოქმედების ძალას. მეტეხი ჩვენი დედაქალაქის ერთი ყველაზე დამახასიათებელი, აუცილებელი ატრიბუტთაგანია. მეტეხის გარეშე ჩვენ ვერ წარმოვიდგენთ თბილისს, მის გმირულ ისტორიას.



ლემან სანკიძე

**ვალაქი იმანს საპატარ ზონისას**

აღკვეთვან უმზარელოსისას თვისის საინჟინერო ადგილი აქვს — ნიშნა სტეფი, ახუ შედღედელო დერტა (ოლია პაევევის ფირმელი). საეკვისლი არმეტილი კოპალის კოლორიტი უწირავსად სწორედ იმ საინჟინერო ადგილიდან იღებს სათავეს. ქალაქი არსებობას ექნება წყევს და ხალაქსა ექნება რეზან იმანს.

ქალაქის თანდაობრობითი ზრდაც, ახალი განაშენიანება — განსაზღვრა და გაფართოება, ყოველ ამოზარებულ პირებში, ისევე და ისევე იმ პირებსავეს „ნიშანეტიანი“ მშობრებისა, მათის პარტიული თანაფარობისა უნდა წარმოადგინოს. აღიანი, ეს თანდაფი რადაცინა არც უმეტივეთელ უნდა ყოფილიყო ყოლი რივიანი ზელომიდივერისთვის.

ბოლო ქუთაისის ამ მხრივ თითქმის „მოხლო იდობობის“ არც ეს დაჩვენოლა. უკანასკნელ ათწლეულთა მანძილზე ქალაქი იზრდებოდა არა მისი შიგნითი ნიშანეტიანობის, უკუმეტილი-პარტიკის შესატყვისობითა. არანად უფრო მისი შებენიანობა პირაქითი განაზღვრა. თუ გაუზარებულ, მის საინჟინერო და საწარმოებრივ სადამფუძვნებლო პრაქტიკითა, და ბოლოს და ბოლოს, ქალაქმა თავისი „ნიშანეტიანი“ თუ უმეტივეთელი დერტა — სოფელ დაქარაგმ.

და თი, თიბიბუთი წლის დღი დაიწყო მდელი ქუთაისის“ მუე მისი სიძლისა და მისი მოძიანობის იმეტი ვერო და საზოგადოებრივი დანაშაულებს ნავეობა მიღვეს, მისი თეთის ტარაი და მდელი ავროპალიისი ამ უსუსულულო შენობათა ყრუ ტუველიანი ჩაიყრება და ქალაქის თვალახედვრიდანი ატარა.

ეს შტრეტილობა ქალაქის ჩვეულებრივ იორინალურ ცხოვრებაში, კარგა ხანს იჩინავდა თავს.

და თი, თიბიბუთი წლის დღი დაიწყო მდელი ქუთაისის“ მუე მისი სიძლისა და მისი მოძიანობის იმეტი ვერო და საზოგადოებრივი დანაშაულებს ნავეობა მიღვეს, მისი თეთის ტარაი და მდელი ავროპალიისი ამ უსუსულულო შენობათა ყრუ ტუველიანი ჩაიყრება და ქალაქის თვალახედვრიდანი ატარა.

# ნიშნავა

ისევე თეთის უმეტივეთლურეს ბერებთაგან.

მეცნიერებაში უკვე გვიღრდად დადგენილი ამინის ხანა“, ჩვენგან 3500-3700 წლის წინანდელი, თეთის ბერებისგან წარმოსდგენი, ქრონოლოგიურად იგვევა, არა აბრტის ხანა“. ბუნებრივად უნდა ვფიქრობდეთ, რომ მომდევნო თობის (მეფისა, ფსონტიკი, ისინი) თავისდათავად იქვე იქვე საეღვებულო ყოფილ შემთხვევაში, სადაც 3500-3300 წლებს შორის მინდნე, ხოლო „არგიანვერტის“ მთავარი ქალაქი ქუთაისი გახლავდა. მთელი კომპანა სწორედ ამ „მეცნიერ“ ქალაქის განმრეხ ტროლოვს.

და რეზილ ნახვანით ვამბობთ: ქუთაისი ისე იხივება შიგარე-კომპანას სარეზილეს ურდვის „არგიანვერტისა“, რაგონად მის მომდევნო „ტრონიანელ ცილში“ და აქვე, სხვათა შორის, „ტრონიანელი ცილის“ ახალიგით, სრული ურდვითი შეიძლება „არგიანვერტის“ გეგრა სახელად „ქუთაისური ცილი“ იქნება.

ინდივიდი არ უნდა იყოს ეს პარალელი და ახალიცა. ნივლე წარუბრტის, ზეგნებისა და მკაცრი ამეტივეთელი ლიბლიკი წარუბრტის მოიგება ახალიგის ისიკ განაზღვრების, რომ ტრონიანელებს, იღობის პიპოლარობასა საინჟინერო მინდობა და მინდნე მისი შეიბების, სპირიტისა მინდობა უქმეს. ხოლო „არგიანვერტის“ ვერტობი ახალიგის რილიცელი მით უფრო სრული ამეტივეთელი „არგიანვერტის“ მთავარი მინდობისა „არგიანვერტის“ ავტობის ცნობებით გაყოფილ ტრონიანელ და საწარმოება, ვიზრე ილიდად „არგიანვერტის“ უმეტივეთელ საწარმოებაში ამ უმეტივეთელ „არგიანვერტის“ სავსე ქალაქი ცილისა ახალიგის რილიცელი თავის წარწარმებში თავიდან ბოლომდე ყოფილ მასესს, ლიკას, თუ ტრონიანის, წარმოადგენს კუდენტრანდელ ავგინი მეცივეთელი სუსხუბით.

ეთი სიტუელი „არგიანვერტისა“ უფრო მეტივეთელი ლიკასა ვანია, ვიზრე უმეტივეთელი ამ უმეტივეთელ „არგიანვერტისა, ჩვენგან სწორედ ბოლოს „უგადრების“ ვანისზე მტაცელ სადამფუძვნებელი მეცივეთელი სარქობის დადგენისა, სახელდებით, ქუთაისის საყვის განსაზღვრებაში. ურდვლიდა მიეცემათ:

„არგიანვერტისა“ მის უმეტივეთელ ავტობის სულ დასახელებული სავსე ირმეცდაათი კომპანა — პირისია, ზარობის, ცილას, ფერე, კლაზე, ფილა, გირბინე, ტრონიკა, კამეტი, ოპონტი, ოპონტი, ვიკლია, კამეტი, არეტივეთელი, არეტივეთელი, სპეტიკი, აქეტი, პლიოსი (ტრონიკა), ტიგეა, პელზე, მუბეტი, კომპანა ამ მეტივეთელ, საწარმოელი სამთაის

# წარსულისავე

ნი, ოლენე, პიორნი, ოლოსი, პავისი, ვიზი, ლიფენე, მეტობა, პიპოლ, მინე, თებე, აბილისი, პირტეა, დერტა, ლიბლიკი, ტრონიკი, ოპონტი, სესპისია, კრონიალისი, კრონია, კრონოსი, კროსი, ფლონტი, დრეპანი, ვიფერი, ამილა, ვისი და... ქუთაისი. აქედან ოცდაათამეტი ქალაქი პიპოლს ნახვანითა თითოეტი, დანარჩენებთან კი — ოლოსი 9-ეტი, ოპონტი 7-ეტი, პიორნი 6-ეტი, პავისი 5-ეტი, არეტი 4-ეტი, ფილა, ეკე-არია, სპეტიკი, არეტი, ტიგეა, მინეტი სამსამეტი, კალიბი და დრეპანი ორეტი, ხოლო ქუთაისი 33-ეტი.

მაგრამ შიგარე მინე ისა, რომ ამ მითილი ქალაქისან არც ერთის სახარა ჩამოხის 3500 წლებზე დაღმა. მათი საყვარელი მკვლევართა დადებითი მოძიებებისა 3500-დან 5000 წლებამდე. ამიტომ, ბუნებრივად, ამსტრის ცოლად უნდა მივიჩნიოთ აქედან მინდობილი ქუთაისის განმრეხლობა — განმრეხობა და 3500 წელზე ნაკლები ასაკის მქონედ ვამცხავებ.

კიდევ ენიჭება: აბილიონის რილიცელი არად თავის პიპოლში არავითარ აბილიონურ მოხსენების არ უქმნება და, ბუნებრივად, ვერე ქუთაისის აბილიონის ლიკასზე და წარწარმების „ურცხი სხედვად“.

არც შიგე ზედა მოხსენია აბილიონის როლიცელი თავის თანადრეული საეული — ამინის უმეტივეთელი (სტეპმარო-მეტივეთელი) ყოველ საკვირების შემთხვევაში იგი უნდა მინდობელ ძეგლათა იქვე სახელს — „არბისს“ აქიანობს („არა-სტეპმარო-მეტივეთელი ზედა“...).

ამევე, როგორც აბილიონის უმეტივეთელი მეცივეთელი წლის, პიპოლში „უგადრების“ საეული ცილისა ახალიგის (ტრონიკი, ოპონტი, სესპისია, კრონია, ფლონტი, დრეპანი, ვიფერი, ამილა, ვისი და... ქუთაისი), ვიზრე მეტივეთელი „არგიანვერტის“ უმეტივეთელი (სტეპმარო-მეტივეთელი) ყოველ საკვირების შემთხვევაში იგი უნდა მინდობელ ძეგლათა იქვე სახელს — „არბისს“ აქიანობს („არა-სტეპმარო-მეტივეთელი ზედა“...).

ამიგივე, თეთი ბერების დადგენებითი მითითებით ქუთაისი „მინოსის ხანის“ განკუთვნილება და მისი საყვი უნდა განხილვის არანაკლები 3500 წლით. აქვე სადგინო, რომ ეს თორღი ქუთაისისათვის ვაცილობით დასაგერეული და საწარმოისა უფრე მაგან და შეგან ქალაქთა უკვე აღნიშნული საიტივითი თარბობის... როგორც ეს მინდა ხლდა, ყოველი ახალი, დღით თუ მიკრძარებულულობის ამინი ამინის (მით უფრო, როცა ჩვენში იგი ცილბის არალი მინე მინე პიპოლში იმეტივეთელი — უმეტივეთელი, განხისა და განმეტივეთელი რილიცელი ზიკანი უფროვლიდად შეგერენ. „არგიანვერტის“ ბოლის და ბოლოს სადგინო და მასში ნახვანები ქალაქის არსებობაზე მსჯელობაზე მეტსარქობათა, — ამტაცი-



სუთს-სუთისათსწორად ტრონიკში უი

სუთს-სუთისათსწორად ტრონიკში უი უპირველეს და უმთავრეს ქალაქად წარმოდგენილი ქალაქი ქუთაისი. ბუნებრივად, ყოველ კალაქურად ამსტრეტი უნდა იყოს აქედან მინდობილი ქუთაისის „განაზღვრადგება“, მით უფრო 2500 წლებზე დაღვადა.

ამს დადგენილი ისიკ, რომ აბილიონის როლიცელი არც მოხსენია არც ერთი შიგე ზეგისთარა ქალაქი და, რასაკვირველია, მხოლოდ იმიტომ, რომ არც ერთი შიგარე არ აღმუშავებდა, 2700-2800 წელს. მანამამდე, ვერ სწევდებოდა „ქუთაისის ცილი“ ამბეს.

არც შიგე ზედა მოხსენია აბილიონის როლიცელი თავის თანადრეული საეული — ამინის უმეტივეთელი (სტეპმარო-მეტივეთელი) ყოველ საკვირების შემთხვევაში იგი უნდა მინდობელ ძეგლათა იქვე სახელს — „არბისს“ აქიანობს („არა-სტეპმარო-მეტივეთელი ზედა“...).

ამიგივე, თეთი ბერების დადგენებითი მითითებით ქუთაისი „მინოსის ხანის“ განკუთვნილება და მისი საყვი უნდა განხილვის არანაკლები 3500 წლით. აქვე სადგინო, რომ ეს თორღი ქუთაისისათვის ვაცილობით დასაგერეული და საწარმოისა უფრე მაგან და შეგან ქალაქთა უკვე აღნიშნული საიტივითი თარბობის... როგორც ეს მინდა ხლდა, ყოველი ახალი, დღით თუ მიკრძარებულულობის ამინი ამინის (მით უფრო, როცა ჩვენში იგი ცილბის არალი მინე მინე პიპოლში იმეტივეთელი — უმეტივეთელი, განხისა და განმეტივეთელი რილიცელი ზიკანი უფროვლიდად შეგერენ. „არგიანვერტის“ ბოლის და ბოლოს სადგინო და მასში ნახვანები ქალაქის არსებობაზე მსჯელობაზე მეტსარქობათა, — ამტაცი-

დენი თავდაობლებით (ძალიან თავდაობლებით), მაგრამ მინდა „სასაულო“ და ინგლისელი ტიპ სვედრის მეთაურობით, სანერხებოდან კოლბის მეთაურობით „ახალი აფინიბები“. მთელა და თქვენი სვედრისა ნამდვილი იყო ძელი „არგიანვერტის“ და ნამდვილად არსებობდა მასში მოხსენიებული სახელდგენილი და სხვა რაღა იყო სავიწო უცხოვლები და დასაფტურისა. ჩვენგან სწორედ მაგის მიგადასახლებითი. — ვიპოვინა ახალი „არგიანვერტის“ მეცივეთელი ორბულუპანი ორბი მჭარელი და მკაცრული მკაცრი მეცივეთელი“.

მაგარი მინე ისა, რომ ქუთაისი მინე და „არგიანვერტის მოძიანობის“ მოქმეტი. არქეოლოგია მარბრამბა ინტენსიოდ ნიშობის თითქმის მთელი საეული მისაზღვრებისა „სარქობის“, საზოგადოებრივი და მუხლბეჭდიანი, ენისა, სოფელი, ტექნიკური საწარმოებლები. სამეტი ტრონიკებრივად გატახილი ორბის ათასი ცხებრები მეტი რეზიკეტი მიწა“. ვიპოვინა და შეწყველის პიპოლში მისი მითაბიბი — უმეტივეთისა, ვანის მინის გორისა, დავითის კონხისა, რიანისა, გვეგუ-პირევიკისა. ვიპოვინა და განმეტივეთელი რილიცელი უცხოვლები ფენა, საეულიცა მიგეტილი: 1) XVII-XVIII; 2) XII-XIII; 3) VII-VIII; 4) IV-V. მათი მიქლბობა ფილიცელი ქუთაისისა. მაგრამ არქეოლოგის თვალის უკვე ახტეტი ნახაშვი მუხლად. ნახაშვი არქეოლოგი და წინამატეური დარბი სტრატოგრაფი.

# ველოსიპედისტი ქალი

მოველოდი. მოხდა კი პირიქით. სახეზე მრისხანება გამოეხატა.

— პირველ ყოვლისა, ჩემო ძვირფასო უოტსონ, სათვალთვალოდ ძალიან ცუდი ადგილი შეგირჩევიათ. თქვენ ღობის იქითა მხარეს უნდა დამალულიყავით. მაშინ გაცილებით ახლო მანძილიდან შეგეძლოთ გეცქირათ ჩვენთვის საინტერესო პირებისათვის. თქვენ კი იმ ადგილს რამდენიმე ასეული იარდით იყავით დაშორებული. ამის გამო, თქვენ მისის სმიტზე გაცილებით ნაკლები ინფორმაციის შეგროვება შეძელით.

მისის სმიტი ამტკიცებს, რომ უცნობ ველოსიპედისტს ვერა ვცნობო. მე კი ვფიქრობ: იგი მას კარგად იცნობს. მაშ, რატომ იცავდა უცნობი დისტანციას? უცნობი მოფარებული ადგილიდან შეახტა ველოსიპედს, რათა მისი სახე არ გაგერჩიათ. ხელიდან გაუშვით ველოსიპედისტი, რომელიც უმაღლესი მიიმალა სახლში. ხოლო მისი ვინაობის დასადგენად უძრავი ქონების განმგებელ აგენტს მიმართეთ.

— მაშ, რა უნდა გამეკეთებინა? — ოღონა ვაცხარებით ვკითხე.

— რა უნდა გაგეკეთებინათ? უნდა შეგვევლოთ უახლოეს დუქანში. დუქანი ხომ ჭორიკანების ბუდეა. მე დუქნიდან დაწყებული დამთავრებული ჭურჭლის მრეცხავით, თქვენ შეგეძლოთ ნებისმიერი მაცხოვრებლის ვინაობის გაგება.

მეორე დღით მისის სმიტისაგან წერილი მივიღეთ. მისის სმიტი მოკლედ ავუწერდა იმას, რისი მოწმეც მე გავხდი. ოღონდ წერილში ცალკე გამოყოფის ღირსია ერთი ძალიან საყურადღებო ფაქტი.

...„დარწმუნებული ვარ, რომ იმას, რასაც ახლა გაიგებთ, საიდუმლოდ შეინახავთ. მისტერ კარრიუტერსმა წინადადება მომცა, რათა ცოლად გავყოლოდი. ამ სახლში ჩემი დარჩენა აუტანელი ვახდა. კარგად ვიცი, იგი დიდი ქონების პატრონია. ამასთან ღრმად პატივსაცემი გრძობებითაა განმსჭვალული ჩემს მიმართ. მაგრამ მე ხომ სხვაზე ვარ დანიშნული.

მისტერ კარრიუტერსს ჩემი უარი ძალიან ეწყინა. ალბათ მიმიხვდებით, ამ სახლში სიტუაცია როგორ დაიმბებოდა...“

— ჩანს, ჩვენი კონტა კლიენტები არაჩვეულებრივ მდგომარეობაში აღმოჩენილა, — თქვა ჰოლმსმა. — ამ საქმეში უფრო მეტი საინტერესო დეტალებია, ვიდრე მე ვფიქრობდი. მგონი, არც მე მაწყენდა ერთი დღით ბუნების წიაღში გასეირნება, ვფიქრობ, დღის მეორე ნახევარში გავემგზავრო, რომ ადგილზევე გავარკვიო ზოგიერთი დეტალი.

ბუნების წიაღში გასეირნება ჰოლმსისათვის მოულოდნელი სიურპრიზით დამთავრდა. სახლში გვიან ღამით დაბრუნდა. გახეთქილი ტუჩი და სისხლით მოსვრილი ყბა სკოტლანდ-იარდის ნებისმიერ აგენტს დაინტერესებდა. ამ დღის თავგადასავალმა, ეტყობა, ჰოლმსს უდიდესი სიამოვნება მოჰგვარა. ამბის მოყოლამდე გულიანად იცინოდა.

— ცხოვრების დიდი ნაწილი ერთ ადგილზე მიხდება ჯდომა, — თქვა მან. — ამიტომ იყო ჩემთვის კარგი სუფთა ჰაერზე გავლა. — თქვენ ალბათ იცით, რომ მე არც თუ ისე ცუდად ვფლობ კრივს, ამ ძველნგლისურ სპორტის სახეობას. ეს ძალიან გამომადგა ამჯერადაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება უფრო არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოვჩენილიყავი.

დუქანში შევიარე. მედუქნეს ქარაგმუ-



მხატვარი თენგიზ სამსონაძე

ლად რამდენიმე კითხვა დაეუსვი. საოცრად ყბედი გამოდგა და ჩემთვის საინტერესო კითხვებზე, ამომწურავი პასუხიც გამცა. გამოირკვა, რომ უილიამსონი ჩარლინგტონ-ჰოლის მფლობელია. მარტოხელად უცხოვრია, თუ არ ჩავთვლით მის მონასახურებებს. ადრე მღვდელი ყოფილა. მაგრამ ორი შემთხვევა, რომელიც ამ მოკლე ხანში მის ჩამოსვლას გამოუწვევია, მღვდლისათვის საკმაოდ შეუფერებელი მეჩვენა. ამის გამო სამღვდლოების სამმართველოში მივედი და მასზე ორიოდეცნობა შევკრიბე. იქ მითხრეს, რომ მას ძალზე ცუდი რეპუტაცია ჰქონდაო. მედუქნემ ისიც დაუმატა:

— შაბათობითა და კვირაობით უილიამსონის სახლში საკმაოდ მხიარული კომპანია იკრებოდა. მათში, თურმე, განსაკუთრებით გამოირჩევა ქერაულვაშებიანი მისტერ ვუდლი, ჩარლინგტონ-ჰოლის ხშირი სტუმარი.

როგორც კი მედუქნემ სიტყვა დაასრულა, მოულოდნელად კარები გამოიღო და მეზობელი ოთახიდან ლუდის ბოთლით ხელში თვით მისტერ ვუდლის პერსონა ვინილე. ცხადია, ჩვენი საუბარი დეტალურად ესმოდა. ამიტომ იყო, რომ მყის მომვარდა და მომახალა: „ვინა ხართ? რა გინდათ ჩემთან? რატომ გაინტერესებთ ჩემი პიროვნებაო?..“ და თან ლანძღვა-გინების კორიანტელი დააყენა. თავისი მონოლოგი კი მოკლე, მაგრამ საკმაოდ ძლიერი დარტყმით დამთავრა.


ვუდლიმ ხელმეორედ მომიქნია ხელი. მის დარტყმას ჩემი პირდაპირი მარცხენა დარტყმა მოჰყვა, შედეგი ლოგიკური გახლავთ: მისტერ ვუდლი სახლში საზიდრით წაიღეს. რაც შემეხება მე, თქვენც კარგად მხედავთ და შედეგიც სახეზეა.

ასე დასაწყისად დამთავრდა ჩემი გასეირნება, თუ არ ჩავთვლი იმ სიამოვნებას, რომელიც სურვის. საგრაფოს საზღვარზე ყოფნის დროს მივიღე. როგორც ხედავთ, ჩვენი გასვლები სუფთა ჰაერზე ერთნაირი აღმოჩნდა.

ხუთშაბათს ჩვენი კლიენტისაგან კიდევ ერთი წერილი მივიღეთ.

— „ალბათ არ გაგიკვირდებათ მისტერ ჰოლმს, — წერდა მისი ავტორი, — მე ვტოვებ მისტერ კარრიუტერსის სახლს. ესოდენ კარგი გასამრჯელოც კი ვერ ამინაზღაურებს იმ დაძაბულ ყოფას, რომელიც ჩემთვის შეიქმნა ამ სახლში. ეტლი და ცხენი მოგვიყვანეს. უკვე აღარ შემეშინდება იმისა, რომ უდაბურ ადგილებში მარტომ გავიარო. ის საზიზღარი მისტერ ვუდლი ხელმეორედ გამოჩნდა ჩვენს სახლში და მისტერ კარრიუტერსის სახლის დატოვება ამან უფრო განაპირობა. ეტყობა, რაღაც ხიფათი შეემთხვა. მთელი სახე გასიებული ჰქონდა. საბედნიეროდ, მას პირისპირ არ შევხვედრივარ. ფანჯრიდან დავინახე. ის და მისტერ კარრიუტერსი დიდხანს საუბრობდნენ. კარრიუტერსი ძალიან ალღევებული იყო. ჩანდა, ვუდლი საღაც ახლოს ცხოვრობდა, დამე ჩვენს სახლში არ დარჩენილა.

დღით კვლავ დავინახე. რომელიმე ველური ცხოველი რომ დამენახა, ისე არ შემეშინდებოდა. ვუდლი ბუჩქებს შორის მიდიოდა (თუ ამას სიარული ჰქვია). ძნელია, გადმოვცეთ ის გრძობა, რომელსაც ეს კაცი იწვევს ჩემში. ვერ გამიგია, როგორ იტანს მას მისტერ კარრიუტერსი? თავს იმით ვიმშვიდებ, რომ შაბათს ჩემს მღვდლვარებას საბოლოოდ მოედება ბოლო...“



— უოტსონ, მე ვფიქრობ, ჩვენი ახალგაზრდა ლედი ინტრიგების ბაღეშია განვებული. ჩვენნი ამოცანაა, თვალყური ვადევნოთ, შაბათამდე ხელი არავინ ახლოს. ჩვენ უნდა გამოვინახოთ დრო და შაბათს ერთად წავიდეთ. ვშიშობ, ესოდენ საინტერესო მოვლენები შეიძლება არასასურველად დაბოლოვდეს.

— ვალიარებ, აქამდე ამ საქმეს სერიოზულად არ ვეკიდებოდი. ამ საქმეში იყო რაღაც უცნაური, მაგრამ საშიშად არ მიმაჩნდა. ორი აზრი არ არსებობდა: უცნობი მამაკაცი ქალთან შეხვედრის საშუალებას ეძებდა. მაგრამ მაინც ვერ გამერკვია ერთი რამ: რატომ გაუბრუნდა ქალთან შეხვედრას?

არამზადა ვუდლი სხვა ყაიდის კაცია. იმ ერთი შემთხვევის გარდა, იგი მისს სმიტს აღარ შეხვედრია. მისტერ კარრიუტკრისთან ბოლო შეხვედრის დროსაც კი არ გამოუმჯღანებია ლედისთან ხელმოკრულ შეხვედრის სურვილი. ეჭვგარეშეა, ველოსიპედისტი ჩარლინგტონ-ჰოლის ერთ-ერთი სტუმართაგანია. მაგრამ სახელდობრ ვინ არის ის? რას ცდილობს? შესაძლოა, ამ სიტუაციაში ტრაგედია იმალება? მე ამაში უფრო მაშინ დავრწმუნდი, როდესაც ჰოლმსმა წასვლის წინ ჯიბეში რევოლვერი ჩაიკურა.

ჩვენ ფართო, ქვიშიან გზაზე მივდიოდით. კრუკსბენჰოლიდან მოღუშული ჩარლინგტონ-ჰოლი მოჩანდა. ჰოლის ქვის სვეტები მუხებს შორის ამობურძველი იყვნენ. ჰოლმსთან შედარებით, მის ირგვლივ გაშენებული ტყე უფრო ნორჩად გამოიყურებოდა. გზა ყავისფერ უდაბურ ველსა და მწვანე ტყეს შორის მიიკლაკებოდა. უცებ ჩვენკენ მომავალი ეტლი შევნიშნეთ.

— ჩემი გამოთვლით ნახევარი საათი მქონდა მარაგში! — გაოცებით წამოიძახა ჰოლმსმა. — თუ ეტლი მისის სმიტისაა, მაშინ ვამოდის, რომ იგი დილის მატარებლით აპირებს გამგზავრებას. უოტსონ, ვშიშობ მას ვეღარ მივუსწრებთ.

ეტლი მიიმალა. გზა ქვევით ეშვებოდა. წინ ვავიქეციეთ. სუნთქვა შემეკრა. ჰოლმსი პირიქით, საუცხოო ფორმაში გახლდათ და ენერგიულად გამოიყურებოდა. მოულოდნელად შეჩერდა. სასოწარკვეთილმა ხელები ძირს დაიქნია. იმავე წამს მოსახვევიდან ცარიელი ეტლი გამოვარდა. ცხენები მთელი სისწრაფით მორბოდნენ, ხოლო სადავეები მიწაზე მოსტრეკდათ.

— დავავიანეთ! — წამოიძახა ჰოლმსმა. — რა იდიოტი ვარ, როგორ გამომჩინა მხედველობიდან დილის მატარებელი? მისის სმიტი მოიტაცეს, უოტსონ, გესმით, მოიტაცეს! შეიძლება მოკლეს კიდევ უოტსონ, გზაზე გადადით და ცხენები შეაჩერეთ! აი ასე. ახლა კი ეტლისაკენ! შეიძლება, ჩემი შეცდომა გამოვასწორო.

ეტლში სწრაფად ჩავჯექით. ჰოლმსმა ცხენები შემობრუნა და მათრახი გადაუჭირა. მოსახვევის გავლის შემდეგ, გამოჩნდა ჩარლინგტონ-ჰოლის უდაბური ადგილები. ჰოლმსს უნებურად ხელი ვტაცე და შევეყვირე:

— ეს ისაა! — მღელვარებისაგან ძლივს ესუნთქავდი.

— უცნობი ველოსიპედისტი საჭეზე გადმოწეულიყო და მთელი სისწრაფით ჩვენკენ მოჰქროდა. ჩვენს დანახვაზე ველოსიპედი დაამუხრუჭა და ჩამოხტა. თვალები ციებცხელებიანივით უელავდა. შავი წვერი მის ფერმკრთალ სახესთან ერთგვარ კონტრასტს ჰქმნიდა.

— ეი თქვენ, — დაიყვირა მან. — შეჩერდით. საიდანაა ეს ეტლი? გააჩერეთ ჩქარა.. ჯიბიდან რევოლვერი დააძრო:

— შეჩერდით, თორემ ზეცას ვფიცავარ, ცხენებს დავზოცავ.

ჰოლმსმა სადავეები გადმომცა და ეტლიდან ჩამოხტა.

— ჩვენ თქვენი ნახვა გვინდოდა. ვაი-ოლეტ სმიტი სად არის? — ჰოლმსი აჩქარებულად და გარკვევით ლაპარაკობდა.

— მეც ეს მინდა ვკითხოთ. თქვენ ხომ მის ეტლში ზიხართ. ამიტომ თქვენ უფრო უნდა იცოდეთ მისის ადგილსამყოფელი!

— ჩვენ ლედის მისაშველებლად ცარიელი ეტლით გამოვეშურეთ.

— ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! რა ვიღონო? სასოწარკვეთით წამოიყვირა უცნობმა. ალბათ არამზადა ვუდლიმ და ბანდიტმა მღვდელმა გაიტაცეს ლედი: თუ ლედის მეგობრები ხართ, აჩქარდით. დამეხმარეთ და უთუოდ გადავარჩინეთ.

რევოლვერით ხელში უცნობი ბუჩქებში შევიდა. ჩვენც მას მივყევით. ცხენები საბალახოდ გზასთან დავტოვეთ.

— აქეთ გავვლიათ, — თქვა ჰოლმსმა და ბილიკზე მივვიტოთათ:

— რა ხდება მანდ, ბუჩქებში?

მეჯინების ტანსაცმელში გამოწყობილი ოციოდე წლის ახალგაზრდა კაცი ძირს ეგდო. თავზე ღრმა ჭრილობის კვალი ეტყობოდა. საბედნიეროდ, ჯერ სუნთქავდა. მე სახელდახელოდ გავსინჯე ჭრილობა და დავრწმუნდი, რომ საშიში არ იყო.

— ეს მეჯინებე პიტერია! — წამოიყვირა უცნობმა. — მას მიჰყავდა ლედი. არამზადებს დაურეტიანებიათ და ისე გაუტაცნიათ მისის სმიტი. მეჯინებე ადგილზევე დავტოვეთ, ამჟამად მისი დანხარება არ შეგვიძლია.

ხეებს შორის დატყეპნილ ბილიკს ვაუყევით. როდესაც ბუჩქებს მივუახლოვდით, ჰოლმსი უცებ შეჩერდა.

— ისინი სახლში არ იქნებიან. აი მათი ნაკვალევი. მარცხნივ გადაუხვევიათ.

ბუჩქებიდან ქალის გამყინავი, შემადრწუნებელი ხმა მოისმა. იგი მალე ხმამალალ ხროტინში გადაიხარდა.

— ჩქარა, აქეთ! ისინი კეგლის სათამაშო ხეივანში არიან, — მოგვეყვიროდა უცნობი და ბუჩქებში მიიკვლევდა გზას. — ძალღები, ძალღები. აქეთ ჯენტლმენებო! დავავიანეთ, ყველა წმინდა საფიცარს ვფიცავარ, დავავიანეთ!

ბუჩქები მოილია და ჩვენ მშვენიერ პატარა მღვდელზე აღმოჩნდით. საწინააღმდეგო მხარეს, დიდი მუხის ქვეშ, არაჩვეულებრივი სამეული დავლანდეთ. ჩვენი კლიენტი გოგონა მიყრდნობოდა ხეს და, ისედაც ცნობადაკარგულისთვის, პირი ცხვირსახოცით შეეკრათ. მის წინ ქერა ულვაშებიანსა და ბულდოგის სახიან ახალგაზრდა კაცს გაეჩაჩხა ფეხები. ერთი ხელით დოინჯი შემოეყარა, მეორე ხელში წეებლა ეჭირა.

ბულდოგის სახიანი კაცი გამარჯვებულის გამომხატველი ივრით ავადებულად შემოგვეცქეროდა. იქვე იდგა სამეულის მესამე წვერიც, ჰალარა წვერიანი ხნიერი მამაკაცი. მსუბუქ მატყლის კოსტუმზე მღვდლის ანაფორა წამოეხურა. საეჭვო არ იყო, რომ ამ სასულიერო პირს უკვე შეესრულებინა ჯვრისწერის ცერემონიალი. ჩვენი მისვლისას იგი ჯიბეში იღებდა ბიბლიას.

— ისინი დაქორწინდნენ! — თქვა მღვდლის სამოსში გამოწყობილმა მამაკაცმა და ხუმრობით „ქმარს“ მხრებზე ხელები მიუტყაპუნა.

— წინ! — წამოიძახა ჩვენმა მეგობრმა და ჩვენ იმათკენ ვავიქეციეთ.

ახალგაზრდა ქალი ის-ისაა უნდა წაქცეულიყო, მაგრამ ხელი დროზე სტაცა ხეს. ჩვენ მასთან ვავჩნდით. მღვდლისსამოსიანმა ულიამსონმა შეურაცხყოფელი ღმილით დაგვიკრა თავი. თავისი ონით კმაყოფილი ვუდლი სიხარულისაგან ხითხითებდა.

— მოიხსენი წვერი, ბობი, — უთხრა მან ჩვენს მეგობრს. — როგორც კი დაგინახე, მე შენ მაშინვე ვიცანი. მეგობრებთან ერთად დროზე მოხვედით. ეს ყველაფერი კარგი. ახლა ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ მისის ვუდლი.

ჩვენმა თანამგზავრმა მოულოდნელად მოიხსნა პარიკი. მას მოკრძო, არაჯანსაღი, სუფთად გაპარსული სახე ჰქონდა.

— დიან, მე ბობ კარრიუტერსი ვარ, — თქვა მან და თან ვუდლისკენ რევოლვერი მიაშვირა. ეს უკანასკნელი კი ქაღილითა და ხელებს ქნევით მისკენ მიიწევდა.

— მე ვავიქეცი ვეღვანს, რათა ეს შეურაცხყოფა ჩამოვრეცხო ამ ქალიშვილს. ვითხარი, რომ მისთვის თავი დაგენებებინა. მაღალ ღმერთს ვფიცავარ, მე შევასრულებ ჩემს სიტყვას.

— შენ დაიგვიანე, საყვარელო. ის უკვე ჩემი ცოლია!

— ცოლი კი არა, ქვრივია!

...რევოლვერის გასროლა და ვუდლის ჟილეტზე სისხლის გამოყონა ერთი იყო. ვუდლი შექანდა და მოწყვეტით დაეცა ძირს. საზიზღარი ავურისფერი სახე ერთიანად გადაუფითორდა.

ულიამსონს ჯერ კიდევ არ გაეხადა ანაფორა. უცებ ჯიბიდან ამოხიდა რევოლვერი და ისეთი სიტყვებით შეიგინა, საერთოდ რომ არ გამეგონა. ჰოლმსმა დაასწრო და რევოლვერის ლულა მიუშვირა.

— საკმარისია, — შესძახა მან. — დაადეთ რევოლვერი. უოტსონ, აიღეთ იარაღი. თქვენ კი მისტერ კარრიუტერსს, გთხოვთ, გადმოემცეთ თქვენი სასარლოი. კმარა სისხლისღვრა. მალე მომეცით.

— ვინა ხართ თქვენ? — იკითხა გოცებულმა კარრიუტერსმა.

— შერლოკ ჰოლმსი!

— შეუძლებელია!

— მით უკეთესი, თუ ესმენიათ ჩემი სახელი. ჰოლმსის მოსვლამდე მე ვიქნები ოფიციალური წარმომადგენელი.

— ეი, თქვენ, აქ მოდით, — ხეებში შეშინებული მეჯინებე გამოჩნდა. ჰოლმსმა ბლოკნოტის ფურცელზე რამდენიმე სიტყვა მიაწერა. წაიღეთ ეს ფურცელი და სასწრაფოდ გადადით ფარნემის საპოლიციო უბნის უფროსს. ჯერჯერობით კი მის მაგივრობას მე ვავწევ.

კარრიუტერსმა და ულიამსონმა დაჭრილი ვუდლი სახლში შეიყვანეს და ლოგინში ჩააწვინეს. შეშინებულ მისის სმიტს ხელი გავუწოდე და ჰოლმსის თხოვნით გულდასმით გავსინჯე. გობვინებით დამშვენებულ სასადილო ოთახში ჰოლმსის წინ ორი პატიმარი ჯენტლმენი იჯდა.

— ვუდლი იცოცლებს! — ამ სიტყვებით შევედი ოთახში.

— რაო? — კარრიუტერსი სწრაფად წამოიჭრა ფეხზე. — ახლავე ავალ ზევით და იმ ავზაკს ბოლოს მოვუღებ. ნუთუ თქვენ გინდათ, რომ ეს ანგელოსი მთელი სიცოცხლის მანძილზე ამ ურჩხულ ვუდლიზე იყო მიჯაჭვული?

— ამაზე ნუ იდარდებთ — თქვა ჰოლ-

170281

ქმარს კ. მარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.  
შეპროდუქცია

სსმა. — უკიდურეს შემთხვევაში მოძე-  
პოვება ორი მიზეზი, რომელიც მათ ქორ-  
წინებს გააბათილებს. პირველ ყოვლისა,  
ჩვენ დავყენებთ საკითხს: ჰქონდა თუ არა  
მისტერ უილიამსონს ჯვარისწერის უფ-  
ლება.

— მე ხარისხი მაქვს. — წაიხმულა  
ბებერმა არამზადამ.

— რომელიც შემდეგ ჩამოგართვეს. —  
მიუგო ჰოლმსმა.

— მღვდელი ყოველთვის მღვდლად  
რჩება.

— ქორწინების საბოლოო გადაწყვეტი-  
ლებაზე ეჭვი შეპარება. აბა, მაჩვენეთ ბი-  
ბლია?

— მე ის ჯიბეში მიღვეს.

— ასეთ შემთხვევაში, თალითური  
გზით იძულებითი ჯვარისწერა კანონიერი  
არ ვახლავთ. რაც შეგვხებათ თქვენ, მის-  
ტერ კარრიუტერს, უმჯობესი იქნებოდა, ეს  
ავბედითი იარაღი არც დავენახათ.

— მე ვხვდები, რომ თქვენ სწორი  
ხართ, მისტერ ჰოლმს, მაგრამ, გთხოვთ,  
სწორად გამიგოთ: მე იგი მარტო არსად  
არ გამოვიდა, რადგან ყველაფერი ვიცოდ  
ამ ავაზაკების თავყრილობის შესახებ. მე  
მას შორიახლოს მივდევდი ხოლმე ველო-  
სიპედით. სახით რომ არ ვეცანი, ნიღაბი გა-  
ვიკეთე. ლედი ისეთი თავდაჯერებული და  
ამაყია, ვიცოდი, თუ შემიძნობდა, უეჭვე-  
ლად მაშინვე დატოვებდა ჩემს სახლს.

— რატომ არ ვაფრთხილეთ?

— მე ეს არ შემიძლო. ასეთ შემთხვე-  
ვაში ის სულ წავიღოდა ჩემგან. მე მას  
არ ვუყვარდი. მე ბედნიერი ვიყავი მისით.

— მისტერ კარრიუტერს. — ველარ მო-  
ვითინე და დავქინე: — ნუთუ თქვენ ამას  
სიყვარულს ეძახათ? ჩემის აზრით, ამას  
ეგოიზმი ჰქვია.

— შეიძლება თქვენ მართალი იყოთ.  
ნუთუ სიყვარულს და ეგოიზმი ერთმანეთს  
არ ითანაბრებთ? ერთი სიტყვით, მე არ შე-  
მიძლო აზრად გამეკლო, რომ ის საქულა-  
ოდ დამტოვებდა. ამ ბანდიტებს გეგმე-  
ბი შაიძულდება, დამეცვა, ხოლო, როცა  
დეპეშა მოვიდა, მიხვდი, რომ ეს ძალ-  
თა პირება მოქმედებაზე გადავიდოდნენ.

— რომელ დეპეშაზეა ლაპარაკი?

— კარრიუტერსმა ჯიბიდან დეპეშა ამო-  
იღო.

— ინებეთ! — თქვა მან და დეპეშა გა-  
მოავიწოდა.

მისი შინაარსი მოკლე და უბრალო იყო:

— „მოხუცი ვარდაიცვალა“

— ჰმ, გგონი მიხვდი, — თქვა ჰოლმს-  
მა. — აი რატომ ითამაშა ამ დეპეშამ ასე-  
თი საბედისწერა როლი. მისტერ კარ-  
რიუტერს, პოლიციის მოსვლამდე იქნებ  
მოგვითხროთ იმ ამბავზე, რომელიც ჯერ  
ჩვენ არ ვიცით?

ბებერმა არამზადამ ლანძღვა-გინება და-  
გვატება თავს.

— ყოველ წმინდანს ვფიცავარ, — თქვა  
მან: — თუ დაგვასმენ, მაშინ შენც ჯეკ  
ვუდლის მდგომარეობაში აღმოჩნდები!  
რაც შეეხება ამ ქალიშვილს, რამდენჯე-  
რაც ვინდა, იმდენჯერ ნახე, ეგ შენი საქ-  
მეა, მაგრამ შენ თუ შეგობრებს ამ ჯენტ-  
ლმენტან დასმენ, მაშინ ძალი იქნები.  
გასაგებია?

— თქვენო უსამღვდელოესობავ, რატომ  
ნერვიულობთ? შეეპასუხა ჰოლმსი. — სა-  
ქმე ისედაც ნათელია. თუ მე რაიმე წერი-  
ლმანი მაინტერესებს, ეს მხოლოდ სუფთა  
ცნობისმოყვარეობის გამო. სხვათაშორის,  
თქვენ თუ არ ინებებთ, მე შევეცდები,  
თვითონ მოგიხროთ ყოველივე. მაშინ

მიხვდებით... თუ რა უმნიშვნელო რაღა-  
ცებებს მიმალავთ. უპირველეს ყოვლისა  
თქვენი სამეული... მხედველობაში მყავ-  
ხართ თქვენ — უილიამსონ, კარრიუტერ-  
სი და ვუდლი! თქვენ სუყველანი აფრიკი-  
დან ჩამოხვედით.

— აი პირველი ტყუილი! — დაიყვირა  
მღვდელმა. — აფრიკაში არასოდეს არ  
ვყოფილვარ. მე ესენი ორი თვის წინ გა-  
ვიცანი. შეგვერდოთ, ძვირფასო მაცხტრო:  
სხვის საქმეში ცხვარს ნუ ჰყოფთ!

— მართალი ბრძანებაა. ჩვენ მხოლოდ  
ორი თვის წინ გავიცანით ერთმანეთი, —  
დაუდასტურა კარრიუტერსმა.

— გასაგებია, ესე იგი თქვენ და ვუდლი  
აფრიკიდან ჩამოხვედით, ხოლო მისი უსა-  
მღვდელოესობა სამამულო წარმოების  
პროდუქტს წარმოადგენს. სამხრეთ აფ-  
რიკაში დაუმეგობრდით რაღვ სმიტს.  
თქვენ გრძნობდით, რომ იგი დიდხანს არ  
იციოცხლებდა და დაადგინეთ, მის შემკვი-  
რეობას მისი ძმისშვილი მიიღებდა. სწო-  
რედ ვმსჯელობ?

კარრიუტერსმა თავი ჩაღუნა. ხოლო  
უილიამსონმა კვლავ თავს დაგვატება  
წყევლა-კრულვა.

— ეს ქალიშვილი მისი ახლობელია.  
აქედან გამომდინარე, თქვენ იცოდით, რომ  
ბიძამისი ანდერსს თავის ძმისშვილს დაუ-  
ტოვებდა.

— რაღვმა წერა-კითხვა არ იცოდა, —  
ჩაერია საუბარში კარრიუტერსი.

— თქვენ ორივენი ჩამოხვედით იმ გან-  
ზრახვით, ლედი რომ მოგეძებნათ. ლედი  
ერთ-ერთს უნდა შეერთო ცოლად, თქვენ-  
გან მეორე კი, თავის წილ თანხას მიიღებ-  
და. ქმრის როლი ვუდლის ხედა წილად.  
ვერ გამოვიდა, როგორ მოხდა ეს?

— ჯერ კიდევ გეგმე ყოფნისას კარტი  
ვითამაშეთ. კარტი უნდა გადაეწყვიტა, ვინ  
იქნებოდა საქმრო. ვუდლიმ მომიგო.

— გასაგებია. ქალიშვილი თქვენს სახ-  
ლში მიიწვიეთ აღმზრდელად. ამით ვუდ-  
ლის საშუალება მიეცით, გოგონას გაარ-  
შეყვობდა. მაგრამ მისის სმიტი სწრაფად  
მიხვდა ამას. მას ლოთი არამზადის დანახ-  
ვაც კი ზიზღს ვგრძობდა. სამაგიეროდ, თქვენ  
შეიყვარეთ ახალგაზრდა ქალი. იმის ფიქ-  
რი, რომ ლედი იმ არამზადის საკუთრება  
შეიქმნებოდა, პირადად თქვენთვის ალ-  
ბათ აუტანელი იქნებოდა.

— ნამდვილად აუტანელი იქნებოდა! —  
წამოიძახა კარრიუტერსმა.

— თქვენს შორის დავა ატყდა. გაბრა-  
ხებულმა ვუდლიმ დატოვა შენი სახლი და  
საკუთარი გეგმის განხორციელებას შეუ-  
დგა.

— უილიამსონ, როგორც ხედავთ ამ  
ჯენტლმენტმა ყველაფერი იცის! — ამის  
თქმაზე კარრიუტერსმა მწარედ გადაიხარ-  
ხარა:

— დიახ, ჩვენ ჩხუბი მოგვივიდა. მან  
დამარტყა და ძირს დამცა. ყოველ შემთხ-  
ვევაში, ჩვენ ბარიბარში ვიყავით. შემდეგ  
ვუდლი გაქრა. იგი ამ წმინდა მამას გაეც-  
ნო. ისიც გახდა ცნობილი, მათ გზასთან  
ახლოს დაეჭირათ სახლი. ინტუიციით  
ვგრძნობდი, რომ რაღაც უკეთური ჩაიფი-  
ქრეს. მათი გეგმების გამოცნობის მოხნივ  
ზოგჯერ მათთან შევივლიდი ხოლმე, გუ-  
შინწინ ვუდლი ჩემთან დეპეშით გამოცხა-  
ლდა, დეპეშა რაღვ სმიტის გარდაცვალე-  
ბას იუწყებოდა. მან შემომთავაზა, მათ  
გარიგებაში გავრეულიყავი. ამაზე უარი  
განვაცხადე. მაშინ შემეკითხა, თანახმა ვი-  
ყავი თუ არა, იგი ცოლად შემეერთო, ხოლო  
მისთვის სამაგიეროდ შემკვირეობის ნა-

წილი მიმეცა. მე მივუგე, რომ თანა-  
ვიყავი, მაგრამ ქალი ამას არ ისურვებდა.  
შეიძლება ორი-სამი კვირის შემდეგ შე-  
ათი შეიცვალოსო. მე მივუგე, რომ ვი-  
ფრის გაკეთება არ შემეძლო. —  
ამ პასუხზე ვუდლიმ უკანასკნელი არა-  
მზადის აზრით დამიწყო ლანძღვა-გინე-  
ბა. წასვლის წინ კი მითხრა, რომ ამ შა-  
ბათს თავისას მიალწევდა.

მისი გადაკარგვის შემდეგ ეტლი შევი-  
ძინე, რომ სადგურამდე მებაღეს წაეყვანა  
ხოლმე ქალიშვილი. მიუხედავად ამისა,  
თავს მაინც მოუსვენრად ვგრძნობდი. ამი-  
ტომაც მას ველოსიპედით გამოვედევნე.  
სამწუხაროდ, მათ დიდი მანძილით გაეს-  
წროთ ჩემთვის. როცა ეტლს დავეწვი, მი-  
ვხვდი, დავაგვიანე. ეტლში ხომ მარტო  
თქვენ ისხედით.

ჰოლმსმა ნამწვაი ბუნარში შეავლო და  
წამოღდა.

— დომხალ საქმეში აღმოჩნდით.  
უოტსონ. ხომ ვითხარით ველოსიპედისტი  
ჰალსტუხს ისწორებდა, შემდეგ კი ბილი-  
კით სახლისაკენ წავიღა-მეთქი. ეს საკმა-  
რისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მთელი  
ისტორია ამომეხსნა. ასე თუ ისე ჩვენ შე-  
გვიძლია ერთმანეთს მივულოცოთ ესოდენ  
საინტერესო საქმის დამთავრება. სახლი-  
საკენ მომავალ სამ პოლიციელს ვხედავ.  
მოხარული ვარ, რომ ახალგაზრდა მეჭი-  
რნიე ასე ბეჭითად მოუყვანა მათ ყოველი-  
ვეს. სასამართლო ისიც, რომ არც ერთი  
პიროვნება არ აღმოჩნდა დღევანდელ თავ-  
გადასავლების მსხვერპლი. უოტსონ, მე  
გგონია, თქვენ მოგიხდება პროფესიო-  
ნალური ყურადღების მიპყრობა მისის სმი-  
ტის პიროვნებაზე. თუ ამჟამად იგი კარ-  
გადაა, შედასთან მივიყვანთ. საწინააღ-  
მდეგო შემთხვევაში გადავიტოვებ, რომ ჩვენ  
გავუზავნივთ დეპეშას მის საქმროს. ეს  
შეგეხებათ თქვენ, მისტერ კარრიუტერს,  
ინებეთ ჩემი ბარათი. სასამართლოს პრო-  
ცესის დროს თუ დახმარება დაუჭირდეთ,  
მე მაშინვე თქვენს განკარგულებაში ვიქ-  
ნები.

ალბათ შენიშნეთ, რომ ჩემთვის შეუძ-  
ლებელია დავამთავრო ჩემი ნარკვევი ისე,  
რომ არ გაუწყობთ ძირითადი ამბავი, რო-  
მელიც თქვენ გაინტერესებთ.

ასეთი ქარიშხლიანია და დაძაბული  
ჩვენი მოღვაწეობა... ყოველი საქმე მომ-  
დევნო საქმის გასაღებს წარმოადგენს...

ჩემს ჩანაწერებში მაქვს შენიშვნა, რო-  
მელიც აღნიშნულია, რომ მისის ვიო-  
ლეტ სმიტმა ნამდვილად მიიღო დიდი მე-  
კვირეობა. ამჟამად სირილ მორტონის  
მეუღლეა. იგი ვენტრისტერის ინჟინერ-  
ელექტრიკოსია და ამავე ფირმა „სოტო-  
ნის და კენელის“ უფროსი პარტიორიცი  
გახლავთ.

უილიამსონი და ვუდლი წარსდგენ სა-  
სამართლოს წინაშე. მათ წაუყენეს ბრალ-  
დება: ძალდატანებით მისის სმიტის გა-  
ტაცებისა და ნამალადევად ჯვარისწერის  
თაობაზე. უილიამსონს მიუსაჯეს შვიდი,  
ხოლო ვუდლის ათი წლით თავისუფლე-  
ბის აღკვეთა.

კარრიუტერის შესახებ არავითარი ცნო-  
ბები არ გამაჩნია. დარწმუნებული ვარ,  
რომ სასამართლომ მის მიმართ დიდი შემ-  
წყნარებლობა გამოიჩინა და რამდენიმე  
თვით პატიმრობა აკმარა, რაკი ცნობილი  
იყო, რომ ვუდლი საშუა ავაზაკის რეპუ-  
ტაციით სარგებლობდა.

თარგმან ოზარ უნიტაჰვილია.

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ადგილობრივი კურორტების როლი ისეთ მეტად მნიშვნელოვან სოციალურ საკითხში, როგორცაა მშრომელთა დასვენება.

ვესაუბრებით საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს „საქკურორტის“ მმართველს ზეზუბა ლულუნიშვილს:

დღეს „საქკურორტი“ 62 სანატორიუმს, დასასვენებელ სახლსა და პანსიონატს მოიცავს. ჩვენს დაქვემდებარებაში შემოდის ასევე ორი ბალნეოლოგიური სამკურნალო — ერთი თბილისში, მეორე კი სამტრედიისში.

რა ამოცანებს ისახავდა „საქკურორტის“ ჩამოყალიბება? პირველი, ესაა ადგილობრივ კურორტებზე ერთიანი გვეგმაზომიერი და მეცნიერულად დასაბუთებული მკურნალობის ჩატარება. მეორე — რესპუბლიკის უმძლავრესი პოტენცილის შემდგომი ათვისება. მესამეც, მართვის სრულყოფა.


ახლა ამ მიმართებით უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები. ადგილობრივი კურორტების მართვის ახალმა რგოლებმა თავისი დადებითი როლი შეასრულეს: სწორედ მათი მეშვეობით გახდა შესაძლებელი დაგვეწყო, მაგალითად, ბაკურიანის განაშენიანებისა და კეთილმოწყობის დიდი სამუშაოები. რომლებშიაც წილობრივ მონაწილეობას იღებს ამ კურორტზე განლაგებული თითქმის ყველა დასვენებისა და ტურიზმის ობიექტი.

ასევე მყარ ნიადაგზე დგას კურორტ საირმის კომპლექსური განაშენიანება. დაიწყო კურორტ ურეკის კომპლექსური განაშენიანებაც. მზად არის მანგლისის განაშენიანების პროექტი. წელს დაიწყება ბახმაროს განაშენიანების სამუშაოები.

ჩვენი საქმიანობის ძირითად და მნიშვნელოვან პრობლემად რჩება არა მხოლოდ საწოლთა ფონდის დაუსაბუთებელი და გაუთავებელი ზრდა (თუმცა საწოლთა ზრდა, რა თქმა უნდა, საჭიროა). მთავარია იმ არსებულ საწოლთა ფონდის წესრიგში მოყვანა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში თითქმის სრულ უვარგისობამდის მივიდა. ბაკურიანში, საირმეში, ურეკეში და სხვა კურორტებზე სწრაფი ტემპით მოგვეყვას წესრიგში საინჟინრო ქსელები, გზები, კავშირგაბმულობის კომუნიკაციები, ენერგეტიკული მეურნეობა, კანალიზაციისა და წყალსადენის სისტემები.

დამაფიქრებელია ადგილობრივი კურორტების საცხოვრებელ ფონდში შექმნილი მდგომარეობა. უვარგისია ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე განლაგებული საბაზანო შენობები, პოლიკლინიკები. ბუნებრივია, ორი-სამი წლის განმავლობაში კურორტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა შეუძლებელია. თუმცა ამ მხრივაც გადაიდგა ზოგიერთი ნაბიჯი.

უფრო ფართოდ დავიწყეთ დასვენების ისეთი ფორმის ორგანიზება, როგორიც საოჯახო იჯარის გამოყენებაა. აქ თავიანთი დადებითი როლი შეასრულეს ახლა-



# გასპინქაღია საქართველო

საქართველო თავისი ბუნებით, ისტორიული და არქიტექტურული კვლავით, სანატორიუმებით, დასასვენებელი სახლებით, ბარნატული ბაზებით, მინერალური და სპა-კურორტული წყლების სიხშირით ყოველწლიურად ანიათასობით დასასვენებელს იზიდავს. როგორც დასასვენებისა და ბარიზმის დღევანდელი ეფორმარეობა რუსულშია, მათი განვითარებისა და განაშენიანების უახლოესი პერსპექტივაში, — იმ, ომ ორი ძირითადი საკითხი, რაზედაც გვიწევს ვხედავოთ ჟარნალ „დროშის“ მკითხველს. საუბარი ჩაიწერა ჟარნალისტმა ვალეა სვანამ.

ხან ჩამოყალიბებულმა საქართველო მომსახურების ბიუროებმა.

დამსვენებელთა რაოდენობა ზაფხულში მნიშვნელოვნად მატულობს. ეს თავისთავად საკმაო სიმძლავრეს უქმნის საქართველო დარგის მუშაებს. ვცდილობთ, მომავალში ჩვენი კურორტები მაქსიმალურად დავეტვირთოთ მთელი წლის მანძილზე. მეტი ყურადღება გვმართებს დასვენების სხვა ფორმებზეც.

და აი, წლებულს ექსპლოატაციაში შევა საოჯახო დასვენების კომპლექსური ნაგებობა კურორტ ლესელიძეში, ჯავაში აშენდება ასადგილიანი ბავშვთა სანატორიუმი. ეს კი საშუალებას მოგვცემს არსებული სანატორიუმი დედათა და ბავშვთა დასვენების კერად ვაქციოთ. დედათა და ბავშვთა პანსიონატები მოემსახურებიან დამსვენებლებს მანგლისში, წყნეთში, სურამში. შავი ზღვის სანაპიროზე ექსპლოატაციაში შევა ახალი დასვენების კერები. საძინებელ კორპუსებთან ერთად, რესპუბლიკის ამ რეგიონში აშენდება ვაკრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, კულტურის, სპორტის ობიექტები. საფუძველი ჩაეყარა სამთო და საზღვაო დასვენების კომპლექსური ზონების შექმნას (ბახმარო, ნატანები, ურეკი, ბარცხანა, ვაგრა-ალბიური, ვაგრა-სანაპირო, ანაკლია-მალთაყვა).

რესპუბლიკის საქართველო პოტენცია-

ლი დღეისათვის პრაქტიკულად ამოუწურავია. მართო ის რად ღირს, რომ საბჭოთა კავშირში ცნობილი 5 ათასი მინერალური წყლიდან 2 ათასი ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზეა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მოპოვებული მინერალური და თერმული წყლების მხოლოდ 20-30 პროცენტია გამოყენებული. თავი იჩინა უწყებრივობამ. რესპუბლიკის ჰიდრომინერალური რესურსები დაიქსაქსა სხვადასხვა სამინისტროსა და უწყებას შორის.

მეტიც, ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობდნენ საბადოების დამუშავებაში, იფარგლებოდნენ მხოლოდ მინერალური წყლების მოპოვებით, ჩამოსხმისა და ბალნეოლოგიური მიზნებისათვის. საჭიროდ არ თვლიდნენ ვაელოთ მატერიალური და შრომითი დანახარჯები თუნდაც იმავე საბადოების განვითარებაზე. დაცვასა და კეთილმოწყობაზე.

ყოველივე ამან კი მძიმე, ზოგან გამოუსწორებელ შეცდომამდე მიგვიყვანა.

ერთიანი საქართველო პოლიტიკის გატარებაში, ჰიდრომინერალური ბაზის განვითარებისა და მისი რაციონალური გამოყენების საქმეში გადაწყვეტ ოლოს შეასრულებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის დადგენილება, რომლის საფუძველზე „საქკურორტის“ სისტემაში შეიქმნა ჰიდროგეოლოგიური სა-

რეჟიმო-საექსპლუატაციო ექსპედიცია. ექსპედიციის ამოცანებია: არსებული პირობების რესურსების განმტკიცება-დაცვა დაბინძურებისა და ადრეული გამოფიტვისაგან, ბალნეოტექნიკური და საკაპტაჟო სამუშაოების ორგანიზაციისა და მეთოდების სრულყოფა, საბადოების სწორი დამუშავების კონტროლი და ა. შ.

დღეისათვის „საქკურორტის“ სისტემაში ბალნეოლოგიური კურორტები ფუნქციონირებენ ოცდასამ ბაზაზე, ხოლო ახლო მომავალში მათი რიცხვი ერთი-ორად გაიზარდება.

მუშაობის გარდაქმნა, მისი სრულყოფა წარმოუდგენელია კვალიფიციური კადრების გარეშე. დღეისათვის ახალგაზრდა სამედიცინო და სამეურნეო კადრებით საკურორტო დაწესებულებათა დაკომპლექტება ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გარკვეული მუშაობა გავწიეთ საქართველოს სსრ განმრთელობის დაცვის სამინისტროსთან და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტთან ერთად. სისტემატურად ვხვდებით ახალდამთავრებულ ექიმებს. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია გადნაწილებისა თუ განაწილების პრაქტიკა. არ არის გადაწყვეტილი ექიმთა საყოფაცხოვრებო პირობებიც.


აუცილებელია უფრო მეტად გავაძლიეროთ ჩვენი კონტაქტები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან, პედაგოგიურ და ფიზკულტურის ინსტიტუტებთან, რადგან დღესდღეობით შესაბამისი პროფილის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მწვავე ნაკლებობას განვიცდით.

### ტურიზმი დღეს და ხვალ

**როგორია ტურიზმის დღევანდელი მდგომარეობა და მისი განვითარების უახლოესი პერსპექტივები საქართველოში?**

**გვესაუბრება საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ანზორ ბურჯანაძე.**

მოკავშირე რესპუბლიკათა შორის მოსახლეობის რაოდენობით საქართველოს მეშვიდე ადგილი უჭირავს, ხოლო ტურისტთა და ექსკურსანტთა მომსახურების მოცულობის ოდენობით, რომელმაც გასულ წელს 100 მილიონზე მეტი მანეთი შეადგინა — მესამე, რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის შემდეგ. ჩვენს გამგებლობაშია 12 ტურისტული სასტუმრო, 3 კემპინგი, 26 ტურბაზა, 37 საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურო, 4 ავტობაზა, 3 კეთილმოწყობილი მღვიმე, 8 ტურისტული კლუბი, ლისის ტბის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი და სხვა. ტურისტულ სასტუმროებში, ტურბაზებსა და კემპინგებში სულ 20696-საწოლიანი ადგილია. ამის გარდა, მშრომელთა გაზრდილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ჯერ კიდევ იძულებულნი ვართ, გამოვიყენოთ ორგანიზებული დასვენებისათვის კერძო სექტორის 18500 საწოლ-ადგილი. 1986 წელს მილიონ 480 ათას ტურისტსა და 14 მილიონ 831 ათას ექსკურსანტს გავუწიეთ მომსახურება და გვემა ყველა მაჩვენებელში ვადაპარბებით შევასრულეთ, რისთვისაც ტურიზმისა და



ექსკურსიების ცენტრალური საბჭოს და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა დავიმსახურეთ.

ეს არამც და არამც თვითდამშვიდების უფლებას არ გვაძლევს, მით უფრო, რომ მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს: ჩვენ მათ ნათლად ვხედავთ და თანამიმდევრულად ვასწორებთ. დავიწყეთ თუნდაც იმით, რომ მომსახურების ხარისხზე, რომლითაც მართლაც ვერ დავიკვებით; 1987 წელს 65 საჩივარი დაიწერა. ერთი შეხედვით, თითქოს ეს დიდი ციფრი არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ წლის განმავლობაში ერთი მილიონ სამასი ათასამდე ტურისტს და თხუთმეტ მილიონამდე ექსკურსანტს მოვემსახურეთ, თუმცა ვთვლით, რომ უკმაყოფილო გაცილებით მეტი იყო, მაგრამ ბევრმა მათგანმა თავს ნება არ მისცა, მასპინძლობა დაეწუხებინა და საჩივარი დაეწერა.

სადღეისო მოთხოვნებს ვერ პასუხობს ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გუდაუთისა და ოჩამჩირის სასტუმროებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო 14 წელია აშენებს და მის დამთავრებას ბოლო არ უჩანს. ამას თუ დაემატებთ დაპროექტების წლებს, გამოდის, სასტუმროების აშენება ოცი წლის წინანდელი ნორმებით ექსპლუატაციაში გაშვების მომდებრისათვის უკვე მოძველებული იქნება.

ამ ხნის განმავლობაში ერევნის ცენტრში ააშენეს და უკვე ათი წელია სტუმრებს ღებულობს 500-ადგილიანი უმაღლესი რანგის ტურისტული სასტუმრო „ერებუნი“. ამჟამად ამ სასტუმროს მეორე კორპუსს ამთავრებენ. ბაქოს ცენტრში ამუშავდა ათასორასადგილიანი, უმაღლესი „ლუქსის“ კატეგორიის ტურისტული სასტუმრო „აფშერონი“, რომელიც სულ 5-6 წელში აშენდარ.

რესპუბლიკის კლიმატურ-გეოგრაფიულ და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ თავისებურებათა გამო ჩვენ ძირითადად ტურისტებს ვღებულობთ და საგვემო მაჩვენებლებში ამ მიღებას დიდი ხვედრითი წონა ეჭირა, ადგილობრივი მოსახლეობის მომსახურებისადმი კი ყურადღება შესუსტებული იყო. ამჟამად მტკიცე კურსი ავიღეთ ამ დისპროპორციის ლიკვიდაციისაკენ. უკვე მიმდინარე წელს თითქმის ერთიორად გაიზარდება ადგილობრივი მოსახლეობის საოჯახო დასვენება და ამ სახის მომსახურებით 120 ათასი კაცი ისარგებლებს. ადგილობრივი მოსახლეობის საოჯახო დასვენებლებს უმეტესად მიიღებენ ბორჯომის, ფასანაურის, ბაზალეთის, ჩაქვის, ოქროს ნაპირისა და ბაკუ-

რიანის ტურბაზები. გარდა ტრადიციული საავტობუსო ექსკურსიებისა, ადგილობრივ მოსახლეობას ვთავაზობთ კრუიზულ რეისებს. სამდინარო და საზღვაო გემებით მოგზაურობებს ტურისტული მატარებლებითა და თვითმფრინავებით.

ადგილობრივი მოსახლეობის ტურისტულ-საექსკურსიო მომსახურების გაუმჯობესების ინტერესებით ვხელმძღვანელობდით, როცა შევქმენით ახალი საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროები წყალტუბოსა და სამტრედიის, ზესტაფონსა და გურჯაანში, კასპსა და ხელვაჩაურში; ტურისტული კლუბები ვანში, ჭიანჭურაში, თელავში, ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსები თბილისში, ლისის ტბაზე და ცხინვალში.

ჩვენს განმგებლობაში მივიღეთ, აგრეთვე სათაფლიისა და ნავენახევის მღვიმეთა კომპლექსები. ასეთი რეორგანიზაცია საშუალებას გვაძლევს, საექსკურსიო მიმოქცევაში შევიყვანოთ ახალი ისტორიულ-კულტურული ძეგლები: სერგო ორჯონიკიძის სახლ-მუზეუმი ლორეში, დავით კლდიაშვილისა და ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი სიმონეთსა და დიდ ჭიხაში. დიდი ოქტომბრის რევოლუციის საიუბილეო, სამოცდამეათე წელს ამუშავდა ახალი საექსკურსიო მარშრუტი — „ლენინის ქართველ თანამებრძოლთა ნაკვალავზე“, რომელიც იონებ სტალინის, სერგო ორჯონიკიძის, საშა გეგეჭკორის, მიხა ცხაკაიას, ფილიპე მახარაძისა და სხვათა მშობლიურ ადგილებზე გაივლის.

ჩვენი რესპუბლიკა საცხენოსნო ტურიზმის აღორძინების ერთ-ერთი პიონერია. ჩვენ სამი ასეთი მარშრუტი გვაქვს და ერთი მათგანი — ქუთაისი-საირმე (ცაგერის რაიონი), მწვანე კონცხი, ხანგრძლივი აპრობაციის შემდეგ 1987 წლიდან უკვე საკავშირო მარშრუტის კატეგორიაში გადავიდა. წელსვე დავიწყებთ საწყალოსნო ტურისტულ მარშრუტს მდინარე რიონზე ვანიდან ფოთამდე „ძველი არგონავტების ნაკვალავზე“ და ჩვენს ქვეყანაში პირველ სპელეოგრაფიულ მარშრუტს, რომელშიც ჩართვება შიომღვიმე, უფლისციხე, ვარძია, ნავენახევი, სათაფლია და ახალი ათონის მღვიმე.

გარკვეული წვლილი შეგვაქვს მთის რეგიონების, კერძოდ, პირიქითა ხევსურეთის გამოცოცხლების საქმეში. უკვე შედგენილია გიორგიშინდასა და შატლში შენობა-ნაგებობების ადაპტაცია-რეკონსტრუქციისა და ტურიზმის მიზნებისათვის მათი გამოყენების პროექტები და გვემბო. მათი ღირსება-ნაკლოვანებანი გასული წლის 26-27 სექტემბერს სახალხო დღესასწაულ „შატლობის“ მონაწილეთა სა-





- ანზორ ბურჯანაძე
- ოთარ ჭყონია
- ზეზვა ლულუნიშვილი

მსჯავროზე იქნა წარმოდგენილი. ამ გეგმით გათვალისწინებულია ათიოდე წლის წინათ არსებული, პოპულარული ქვეითი მარშრუტის აღდგენა ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან არგუნის ხეობითა და დათვისჯვრის უღელტეხილით საქართველოში. ტურისტები შატლიში ორ-სამ დღეს დარჩებიან, გაეცნობიან ხევსურულ ყოფას და მატერიალურ ძეგლებს. ჩაფიქრებული გვაქვს, აგრეთვე, ამ რეგიონში საცხენოსნო ტურიზმის განვითარება, განსაკუთრებით, ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

ძალზე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ექსკურსიამძღოლთა კადრების ხარისხობრივ გაუმჯობესებას. მათი ნაწილი არ გამოირჩევა მაღალი პროფესიულობით, აყალიბებს ხოლმე ისტორიულ ფაქტებს, იჩენს ცრუპატრიოტიზმს და სხვ.

1986 წლიდან ჩვენს ქვეყანაში პირველებმა გავაუქმეთ შტატიანი ჯგუფგამყოლების ინსტიტუტი, რომელთა საქმიანობაში ბევრ სამარცხვინო ფაქტს, ექსკურსანტებისაგან ფულის თვით გამოძალვასაც კი ჰქონდა ადგილი. ახლა მათ ნაცვლად ავიამოგზაურობის დროს ხელმძღვანელად მტკიცდება მოგზაურობის მონაწილე აქტივისტი, რომელიც რეკომენდებულია იმავე ორგანიზაციის მიერ. ამან სასიკეთო ნაყოფი გამოიღო.

მიმდინარე ხუთწლიდში დაიწყება, ზოგან დამთავრდება კიდევ, ახალი ბაზების მშენებლობა (მაიაკოვსკი, ზუგდიდი, ქულბაქი, ბახმარო, გრიგოლეთი, შეკვეთილი). მთავრდება კარსანის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის პირველი რიგის მშენებლობა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ზაქესის მახლობლად. დაიწყება აბსრკილის უნიკალური მღვიმის კეთილმოწყობა აფხაზეთში.

საგანგებო ყურადღება ექცევა სამრეწველო ცენტრების მცხოვრებთა მასობრივი დასვენების ზონების შექმნას თბილისში, ქუთაისში, რუსთავში...

ტურიზმი ნამდვილად უნდა გავხადოთ მშრომელთა დასვენებისა და ვაჯანსაღების ყველაზე მასობრივ და პოპულარულ საშუალებად, ხოლო ყველა ჩამოსულ ტურისტსა და ექსკურსანტს თან გავაყოლოთ საუკეთესო მთაბუნების-მოგონებანი ჩვენთან გატარებულ დღეებზე.

### მშენებლობის ჰორიზონტები

კურორტებისა და ტურიზმის განვითარების საქმეში ერთ-ერთი მთავარი როლი აკისრიათ მშენებლებს. რას აკეთებენ ისინი ამჟამად „დასვენების ინდუსტრიის“ წინსვლისათვის?

ინტერვიუს გვაძლევს ტრესტ „საქკურორტმშენებლობის“ მმართველი ოთარ ჭყონია:

— სამუშაოდ, წლების მანძილზე ტრადიციად იქცა მშენებლობის მიმართ უკმაყოფილების გამოთქმა. მე აქ მხედველობაში მაქვს არა მარტო მათ მიერ აშენებულ სანატორიუმთა, დასასვენებელ სახლთა თუ ტურისტულ ბაზათა რაოდენობა, არამედ მშენებლობის გაჭიანურებისა და მისი უხარისხობის შემთხვევებიც.

ადამიანს, რომელიც ჩვენთან ჩამოდის სამკურნალოდ ან სამოგზაუროდ, ყველა პირობა უნდა ჰქონდეს შექმნილი, რათა კუთვნილი შეგებულება კარგად და შინაარსიანად გაატაროს.

ასევე, კომფორტი და დასვენების ყველა პირობა უნდა შეფუქნათ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებსაც. ჩვენს გეგმას თუ თვალს გადავაგვლებთ, ვნახავთ, რომ მარტო 1985 წელს რესპუბლიკის დასვენების ფონდს ორიათასამდე დამატებითი აწილი შეეძინეთ. მეთორმეტე ხუთწლიდის პირველ სამ წელიწადში ჩვენი ტრესტი რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში დამატებით ააშენებს სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებს.

კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ცნობა: წელიწადში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისათვის ჩვენმა ტრესტმა ჩვიდმეტი მილიონი მანეთი უნდა აითვისოს. ეს კი პატარა საქმე როდია.

ექსპლუატაციაში გადავეციტ სამედიცინო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი პოლიკლინიკა კურორტ გავრაში. შეიძლება გაგვიკვირდეთ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: სამი წელი მოგუწდით, რომ საკავშირო კურორტ ბორჯომში აგვეშენებინა რესპუბლიკის მასშტაბით ერთ-ერთი ულამაზესი ნაგებობა — პო-

ლიკლინიკა, რომელიც სამი ათას კაცს მოემსახურება. აქვე მინდა დაგვხსნათ, რომ ეს ულამაზესი ნაგებობა მთლიანად ქიზიბურთობის სახსრებით შენდება და უახლოეს პერიოდში მიიღებს პირველ დამსვენებლებს.

ყველასათვის კარგად არის ცნობილი კურორტ მენჯის სამკურნალო წყლების სიკეთე. ათასობით საბჭოთა მშრომელი ყოველწლიურად ისვენებს აქ და იკაიებს სხეულს. რა დასამალია და, მისი დღევანდელი სახე ვერ ამართლებს მოთხოვნისადაც. უახლოეს წლებში მენჯი ერთ-ერთი კეთილმოწყობილი კურორტი გახდება. აქ ექსპლუატაციაში შევიდა ბევრი ობიექტი. მათგან გამოვყოფთ რაიონულ საქვაბეს, რომელიც მთელ კურორტს მოემსახურება. სამუშაოდ, ასეთი საქვაბეები ჩვენი რესპუბლიკის კურორტებზე ადრე არ შენდებოდა. ცუდი იყო გათბობა. უამინდობის დროს დამსვენებლები ოთახებში „ქურქებჩაცმულნი“ იხსნდნენ.

დიდი სამშენებლო სამუშაოებია მომავალშიც შესასრულებელი ქალაქ ფოთში.

ჩვენი რესპუბლიკის თითოეული მცხოვრებისათვის ძვირფასია ქალაქი-მუზეუმი მცხეთა. რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ უახლოეს მომავალში კიდევ უფრო გალამაზდება და დამშვენდება საქართველოს ძველი დედაქალაქი. აქ გათვალისწინებულია მსხვილი ტურისტული კომპლექსის შექმნა. ამ საშვილიშვილო საქმეში ბევრი რამ უნდა გააკეთონ როგორც ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, ასევე დამპროექტებლებმა და, რაც მთავარია, ჩვენმა მშენებელ-მემონტაჟეებმა. პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. ტურბაზის ტერიტორიაზე ავაშენეთ ოთხმოცდაათობმეტადგილიანი საძინებელი კორპუსი.


დიდი სამუშაოებია გათვალისწინებული ასევე კურორტ ახალ ათონში. მომავალში იგი ერთ-ერთი კეთილმოწყობილი კურორტი გახდება არამარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მთელ კავშირში.

ბოლო წლებში სასიკეთო ძეგრები იგრძნობა რესპუბლიკის მაღალმთიანი კურორტების განვითარების საქმეში. სამონტაჟო-სამშენებლო სამუშაოები აქ ძირითადად შაბათობის სახსრებით მიმდინარეობს. ჩვენს მშენებლებს იხილავთ კურორტ ჯავაში, ბაკურიანში, ნაბეღლავში...

მართალია, უნდა ვაშენოთ სწრაფად, იაფად და ხარისხიანად. მაგრამ რა ტემპზეა ლაპარაკი, როდესაც ზოგიერთი ორგანიზაცია, რომელზეც ჩვენი ბედ-იღბალია დამოკიდებული, „გვალატობს“. პირველ რიგში მხედველობაში მაქვს კასპის ცემენტის ქარხანა. კასპელებმა 840 ტონა ცემენტი დაგვაკლეს. ვვიჭირს ქვიშა, საკმარისი არაა ამწეები და სხვა მექანიზმები.

მომავლის გეგმებზე როდესაც ვლაპარაკობთ, ჩვენ ვფიქრობთ მუშაობაში ახალი ფორმებისა და მეთოდების გამოძენაზე. სწორედ ასეთად მიგვაჩნია, კოლექტიური იჯარა, რომელსაც ასე ენერგიულად მოვიკიდეთ ხელი. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მან სასიკეთო შედეგები მოგვითანა.





თარგმანად: 8. საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგი; 8. ფრანგი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, ფიზიკოსი და მწერალი; 9. ვულკანური კონუსის წვეროზე ძაბრისებრი ზერელი; 10. იაპონიის ფირმა; 11. საგანგებო შენობა, სადაც იმართება ლოცვა, წირვა; 13. დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; 15. მცენარის გვარი ქოლგოსანთა ოჯახში; 17. ოთხთვალა, ანუ...; 18. ეშმაკობა, შუაკვრობა; 19. ტემპერატურის მუდმივობის შესანარჩუნებელი ხელსაწყო; 22. თამბაქოს ერთ-ერთი სახეობა; 23. ვაზის შესაწამლი შხამქიმიკატი; 24. ქიმიური ელემენტი; 25. ბამბის ხამი ქსოვილი; 27. ქალაქი იაპონიაში; 29. მ. ტურგენევის მოთხრობა; 31. მათემატიკის ერთი დარგი; 32. სარწმუნეობა; 33. ქალაქი აშშ-ში.

შპეულად: 1. სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალთა ერთობლიობა; 2. გამოჩენილი რუსი მწერალი; 4. დასაჯდომი ავეჯი; 5. მოკლე აღფეროილი მოთხრობა; 6. შექსპირის ტრაგედია; 7. ქალაქი საფრანგეთში; 12. სომეხი პოეტი, აშული; 14. გაერთიანება, შეკავშირება; 15. უ. ბიზეს ოპერა; 16. მინერალი; 20. სახეცნი ნიშანი; 21. ქალაქი-ნავსადგური თურქეთში; 26. მოთეთრო ფერის ნაწიბური თვალის რქოვანა გარსზე; 28. დასავლეთგერმანელი ფეხბურთელი, ევროპის ჩემპიონი; 29. ჰაერის მოსანიავებელი ნივთი; 30. სამხიდიანი სატვირთო ავტომობილი.

შეადგინა რამაზ კოპალაიანი

„დროშა“ №12-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარგმანად: 1. ალტმანი; 7. ბანკო; 8. დერგი; 10. მაროკო; 11. ლამონი; 13. ვლადი; 15. ამირანი; 17. ამილახა; 19. უსპენსკი; 20. ხარაგოცა; 22. ტირანია; 26. ბაუმანი; 29. „მლადა“; 30. მანტია; 31. ლიტერი; 32. იორლა; 33. აორტა; 34. მილიცია.

შპეულად: 2. ლეონოვი; 3. მეცენატი; 4. „ნედელია“; 5. ანგოლა; 6. ბრამსი; 7. ბრახი; 9. იონჯა; 12. ვახუშტი; 14. კასაკია; 16. ნისლი; 18. მარკა; 21. ტრაქტატი; 23. რვალი; 24. ნატურა; 25. აჰანათი; 26. ბალზამი; 27. უსტარი; 28. ატრია.

„დროშა“ №1-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

შპეულად: 1. ბარაკი; 2. ბიბლია; 4. ცელინოგრადი; 5. ბურსა; 6. პრაია; 7. კასკადი; 9. ალიანსი; 10. მონომეტალიზმი; 12. აქსელერომეტრი; 13. პლენარული; 14. ბეტატრონი; 16. იაგუარი; 17. მალარია; 23. არაქნოლოგია; 24. მიჩმანი; 26. ინფანტი; 28. იზიდა; 29. ლიგრი; 30. იშემია; 31. პიემია.

თარგმანად: 3. აბსცესი; 7. კომუნიკე; 8. რიტორიკა; 10. მიმიკრია; 11. ატრაქცია; 15. ინსულინი; 17. მანეკენი; 18. აფიშა; 19. ეტიმოლოგია; 20. უნცია; 21. ტენოზომეტრი; 22. რიალი; 24. მეგალითი; 25. ადენოიდი; 27. იმელმანი; 29. ლოკატორი; 32. იაგდტაში; 33. სინდრომი; 34. ინსაიდი.

გარეკანის პირველ გვერდზე: ამოდის, ნათდება! ფოტოგრაფიული არნოდ გეგმეკორისა. გარეკანის მეორე გვერდზე: მეფოლავე ჯამბულ ურიადმყოფელი. გარეკანის მეოთხე გვერდზე: თბილისური პეიზაჟი.



ამ რამდენიმე წლის წინ გაზეთ „კომუნისტი“ დაიბეჭდა ორი ფოტოსურათი, რომელთაც მცირე განმარტება ახლდა- სათაურით „ქანდაკეები... მთაში“. პირველ ფოტოსურათზე ჩვენი სახელოვანი მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი და მისი მოწაფე მერაბ ფირანიშვილი, ხოლო მეორეზე — უზარმაზარი, ოთხმეტრიანი ლოდის გასწვრივ დგას მალალ ხარაჩოზე ჩაქუჩითა და საჭრეთლით შეიარაღებული ჭაბუკი, თვითონ მერაბ ფირანიშვილი.

მერაბ ფირანიშვილი რამდენიმე ახალგაზრდული რესპუბლიკური გამოფენის მონაწილეა. მისმა სკულპტურულმა პორტრეტებმა („ალექსანდრე ყაზბეგი“, „ვაჟა-ფშაველა“, „არწივი“) სპეციალისტებისა და სახვითი ხელოვნების მოყვარულთა მალალი შეფასება დაიმსახურეს. ეს არის ვეებერთელა შვილი-ათონიანი მონუმენტები, რომელთა გრანდიოზულობა პირდაპირ გაცეკვას იწვევს მარტო შესახედაობით კი არა, გააზრებისა და დამუშავების თავისთავადობითაც.

ჭაბუკი მოქანდაკე, თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული მერაბ ფირანიშვილი, სნოს მკვიდრია და ყაზბეგის რაიონში ბუნების დაცვის საქმესაც ხელმძღვანელობს. იგი ზედმიწევნით იცნობს დარიალის ხეობის მთელ არეალს, მის რელიეფს და, ამ რელიეფის არა მარტო ცხად, არამედ ფარულ ხასიათს. მონუსხულია ამ „წმინდა და უძველესი ამბების კლდოვანი მატრიანეთი“...

ბრჭყალბში მოყვანილი ფრაზა ანდრეი ბელის ეკუთვნის, მწერალს, რომელსაც ღრმა ინტუიციით აქვს შეცნობილი ხეობისა და მთელი ამ კუთხის „შინაგანი აზრი“:

...„ამ მხარეს არაფერი ატყვიან „ველურობისა“... პირიქით, აქაურობას უკიდურესი დახვეწილობისა და რაფინირების ბეჭედი აზის... არავითარი „ნატურა“, თავიდან ბოლომდე „კულტურა“, კულტურა უძველესი მისტერიებისა. გრძნობ, რომ აქ არის უძველესი რასის ძირი. მოტაცებული ცეცხლით აქ დაეშვა ციდან პრომეთე“.

და აი ამ „კულტურით“ ასულდგმულ რელიეფში ახალი შტრიხი გაჩნდა. 1980 წელს, კვირეს მთაზე, ერთ ნახევრად დანგრეული ციხის კედელზე მერაბ ფირანიშვილმა თავისი ხელით გამოქვეყნებული ექვსმეტრიანი ხმალი დაჰკიდა ბოლნური ჯვრით დამშვენებულ ფართან ერთად. ამავე მთაზე, ცოტა ზემოთ, 1984 წელს, მანვე აავო შავი ფიქალით (ჭაჭის ქვეთ) ძველი სალოცავის საძირკველზე ახალი საყდარი და მით ახალი თვალი გაუხსნა. „დაბრმავებულ“ პეიზაჟს. მაგრამ ასეთი ძალისხმევას არ დაუცხრია ახალგაზრდა მოქანდაკის შემოქმედებითი ენერგია. მის გულში მწიფდებოდა გაბედული აზრი: სამხედრო გზიდან ორი კილომეტრის მოშორებით, სნოს გადასახვევთან, ელიას მთის ძირში სამკუთხედად მოვაკებულ ველზე (ამ სამკუთხედის თითოეული გვერდი დაახლოებით სამასი მეტრია) დაედგა მრავალტონიანი ლოდებისგან გამოთლილი ქანდაკეები ქართველი გმირებისა, მწერლებისა და სახელმწიფო მოღვაწეებისა...

„მთელი დარიალის ხეობა გოთური პორტალია. ჩვენს თავზე ფაქიზი, მოზაიკური „ხატები“ გადმოკიდულან, ალაგ მორუხო-მოვარდისფრო, ალაგ მოყვითალო-მოყავისფრო. ამავე დროს, ყოველ წუთს მოსალოდნელია ასე, ხუთასფუთიანი კენჭი მოწყდეს და თავზე დაგეცეს...“ ანდრეი ბელის ეს სიტყვები გარკვეულ კავშირშია მოქანდაკის ჩანაფიქრთან: მერაბს განზრახული აქვს ელიას მთის ძირში მწვერვალიდან „დაგორებული ქანდაკეებით“ აავსოს სამკუთხა მოედანი, აავსოს „ხუთასფუთიანი კენჭებით“ მოფენილი სადგომი, სადაც ერთი და ორი, ოცი და ოცდაათი ქანდაკეა კი არ იქნება თავმოყრილი, არამედ, როგორც თვითონ ამბობს, ხუთასი მრავალტონიანი მონუმენტი.

კადნიერი წადილია, მაგრამ ისეთი, განხორციელება რომ უწყე-რია.




მწამს, მოქანდაკის შეუპოვარი განზრახულიც ასევე განხორციელდება.

გადაეცა წარმოებას 10. 12. 87 ხელმოწერილია დასაბეჭდად 1. 11. 88. უფ 01228 ქალაღლის ზომა 70x108/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,89. ტირაჟი 50 000. შეკვეთა 2898. ფახი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.  
Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.  
Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:  
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.  
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგებების 93-28-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



0693360 76056

6 95/41



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

